

მიხეილ მაჭავარიანს საყვედურების მოსმენა მობეზრდა A2



„მოძრაობა" სუფთა ჰაერზე A3



თავისუფლების მოედანზე ნასროლი ყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში იყო A5



www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 9 დეკემბერი, 2005 წელი. №273 (1133)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### პარლამენტში თევზი აყროლდა

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი რომან მელია საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებს. მისი მტკიცებით, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" წევრის მერაბ ბოცვაძის უკან დგანან მაფიოზური ჯგუფები, რომლებიც თევზის რეწვით ითბობენ ხელს.

A2

## ამბები

### სამეთვალყურეო საბჭოების „შენახვა" ძვირი ჯდება

სახელმწიფო საწარმოების ერთი ნაწილი მომავალი წლიდან სამეთვალყურეო საბჭოების გარეშე რჩება. ამ გადაწყვეტილების აუცილებლობას ხელისუფლებაში შექმნილი ობიექტური მიზეზებით ხსნიან. ვინ გააკონტროლებს საბჭოს გარეშე დარჩენილ საწარმოებს და რა პრინციპით შეირჩა გასაუქმებელი სამეთვალყურეო საბჭოები?

A2

## ბიზნესი

### რატომ შეიძლება დაინტერესდნენ იაპონელები ქართული პროდუქტებით?

მართალია, იაპონიაში ჯერ მხოლოდ ერთეულებმა იციან საქართველოს შესახებ, მაგრამ, როგორც იუმიო აოკი, იაპონიაში საქართველოს ეროვნული კულტურისა და ვაჭრობის ცენტრის წარმომადგენელი ამბობს, ძალიან მალე მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 9/12 | 10/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 13 |
| ყვარელი | 17 | 16 |
| სოხუმი | 16 | 13 |
| გორი | 13 | 11 |
| ონი | 8 | 8 |
| ზუგდიდი | 18 | 16 |
| ახმეტა | 16 | 13 |
| სამტრედია | 18 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7921 |
| ევრო | 2.1064 |
| ბირთანეთი სტერლ. | 3.1086 |
| რუბლი | 0.0620 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ბიზნესი | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| თვალსაზრისი | A 8 |
| პუბლიკაცია | B 2 |
| ტენდერი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# NO COMMENT

სოფიკო ჩხაიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებით, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისში, "ჭრელ აბანოებში", დააკავეს კრიმინალური ავტორიტეტი, "კანონიერი ქურდი" დავით ქურასბედიანი, მეტსახელად "წრიპა", რომელსაც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნარკოტიკების რეალიზაციის გამო მისჯილი აქვს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ამ გადაწყვეტილების თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა ყოფილიყო.

გაგრძელება A5 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

"ვირის აბანოდან" გოგირდის აბანოში გასეირნების დასასრული.

# ჩვენი თაობის პრივილეგია

## ზურაბ ჟვანიას ლექციების კურსი

*ახალი წიგნი - "ჩვენი თაობის პრივილეგია" - წარმოადგენს ზურაბ ჟვანიას ლექციების კურსს იმაზე, თუ რა არის თანამედროვე ქართული პოლიტიკა, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ძირითადი პრინციპები. ლექციები წაკითხულ იქნა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში 2002 და 2003 წლებში; კურსი ეკითხებოდათ სახელმწიფო მმართველობისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების მაგისტრებს. წიგნში განხილულია დემოკრატიული თეორიის ძირითადი ფილოსოფიური, პოლიტოლოგიური, დიპლომატიური და ისტორიული ასპექტები, ამ კონტექსტში გაანალიზებულია თანამედროვე ქართული პოლიტიკა, განხილულია საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივა და პრობლემები. წიგნი საინტერესო იქნება საზოგადოებრივი მეცნიერებების, პოლიტოლოგიისა და მათთან ახლოს მდებარე დარგების სტუდენტებისთვის, აგრეთვე, თანამედროვე ქართული პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის. დღეს, ზურაბ ჟვანიას დაბადების დღეს, ამ წიგნიდან გთავაზობთ ერთ ლექციას: "საქართველო და კავკასია".*

გაგრძელება B1 გვერდზე



# "იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმა იდამჭნაროს"

## ისევ შოთა რუსთაველის ფრესკის გამო

მზია მარსაგიშვილი

"მთელი საქართველო ამ ქმნილებაზე იზრდება - ესაა ჩვენი მეორე სახარება". ეს სიტყვები გრიგოლ ფერაძეს ეკუთვნის ქადაგებიდან "ვინ არის ჩვენთვის შოთა რუსთაველი?", რომელიც 1937 წელს ქართული სადღესასწაულო ღვთისმსახურების დროს წარმოითქვა ვარშავის სამიტროპოლო ეკლესიაში და შოთა რუსთაველის შემოქმედების 750 წლისთავს მიეძღვნა ("არტანუჯი", საისტორიო ჟურნალი, 2002წ. გვ. 63). რუსთველოლოგია ჩვენი ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა, რომლის დასაწყისად 1712 წელი ითვლება, როდესაც "ვახტანგ მეექვსემ "ვეფხისტყაოსანი" დაბეჭდა და მას ვრცელი კომენტარები ანუ "თარგმანი" დაურთო.

გაგრძელება A8 გვერდზე



შოთა რუსთაველის დაზიანებული ფრესკა.

# „ნაციონალურად" თუ ჯეფერსონის სისტემით?

## საარჩევნო კვოტების განაწილება

*საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პროექტი, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა.*

ნანა ქადაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტის თანახმად, საარჩევნო სისტემა 85 მაჟორიტარი დეპუტატიდან 50 მაჟორიტარზე უნდა გადაეწყოს. რაიონებში მანდატების რაოდენობა კი შემდეგნაირად ნაწილდება: აჭარა, თბილისი, ქუთაისი – 5 მანდატი; მესხეთი, ქვემო ქართლი, კახეთი – 4 მანდატი; გურია, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, სვანეთი, რაჭა – 2 მანდატი; აჭარა – 5 მანდატი, აფხაზეთი – 5 მანდატი, სამაჩაბლო – 3 მანდატი. პარტიებმა ოთხკაციან კვოტაზე, მინიმუმ, 8 კანდიდატი უნდა წარადგინონ. **"ამ გზით სარეზერვო ფონდს შევქმნით და შუალედური არჩევნები საჭირო აღარ გახდება. თუკი რომელიმე დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყდება, მისი ადგილი რეზერვიდან შეივსება. რაც შეეხება კვოტებს, არჩევნებში გამარჯვებული პარტია რაიონისთვის გამოყოფილ მანდატებს მთლიანად დაიკავებს,"** – აცხადებს რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე ედვარდ სურმანიძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

# შერეული საკონტროლო კომისია ხაჭაპურიძეების ცხედრების გადმოცემამდე არ შეიკრიბება

შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ცხინვალში არ შედგება მანამ, სანამ ოსური მხარე გატაცებული მძევლების ცხედრების დაბრუნებას არ უზრუნველყოფს. ამის შესახებ "24 საათთან" საუბარში განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ.

ცხინვალში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის დანიშვნის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ განაცხადა. მისი ინფორმაციით, **"ცენტრალურ ადგილს კომისიის მუშაობაში კინფლიქტის ზონაში დაძაბულობის ზრდის მიზეზების ანალიზი, ასევე ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიანი პროცესის უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება დაიკავებს."**

გუშინვე თბილისში, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად, რუსეთმა შსკ-ს თანათავმჯდომარე, საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი მოავლინა.

თუმცა, გოგა ხაინდრავა, შსკ-ს თანათავმჯდომარე ქართული მხრიდან, რუსეთის მიერ სხდომის ცალმხრივად დანიშვნას აღშფოთებით შეხვდა. **"განცხადება სხდომის დანიშვნის შესახებ აბსოლუტურად არაკორექტულია, ვინაიდან შეთანხმება ამის შესახებ არ ყოფილა. მათ თავი ისევ საბჭოთა კავშირში ჰგონიათ,"** - განაცხადა ხაინდრავამ. მისი თქმით, ვალერი კენიაკინი მასთან კონსულტაციების ჩასატარებლად ჩამოვიდა. ასევე რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩი გუშინ საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელს როი რივსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეხვდა.

გიორგი ხაინდრავას თქმით, მან განუმარტა ქართული მხარის მოთხოვნები ვალერი კენიაკინს, რომლის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ "სრულიად ადეკვატური იყო".

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთის ალტერნატიული ბაზრის ათვისება საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს

დავით ზარიძე
საქართველოს ეროვნული კულტურისა და ვაჭრობის ცენტრი

მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ, საქართველოსთვის სულ უფრო და უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ახალი, რუსეთის ალტერნატიული ბაზრის ათვისება და მასზე დამკვიდრების აუცილებლობა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ისეთი ქვეყნის ბაზარი, როგორიცაა იაპონია, სადაც ქართული პროდუქციის შეტანისათვის გარკვეული ხელშემწყობი პირობები არსებობს.

წინა პუბლიკაციაში (გაზეთი "24 საათი", 14 ოქტომბერი) ჩვენ საუბარი გვქონდა იმ პოტენციალისა და შესაძლებლობების შესახებ, რაც შეიძლება გააჩნდეს ჩვენს ქვეყანას მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული და, ამავე დროს, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვების პროდუქტების იაპონურ, ძალიან პრეტენზიულ და მომთხოვნ ბაზარზე შეღწევისა და დამკვიდრების საქმეში. არ არის გამორიცხული, რომ ეს შესაძლებლობები სხვა, თანამედროვე პროდუქტებზეც გავრცელდეს, რომლებიც ზემოხსენებულ კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ ამჟამად იწარმოება საქართველოში.

ამავე დროს, ჩვენ საუბარი გვქონდა იმ პრობლემებზეც, რომლებიც შეიძლება მეწარმეებს ამ გზაზე დახვდეს. ამ პრობლემებიდან კი უმთავრესად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მსოფლიოს ფართო საზოგადოებისათვის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს შესახებ, ჯერჯერობით, თითქმის არაფერია ცნობილი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების, კულტურის, ხელოვნებისა და ზემოხსენებული პროდუქტების შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ.

საუბარი გვქონდა, აგრეთვე, იმაზეც, რომ იაპონია წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმსხვილეს იმპორტიორს და ინვესტორს წარმოების ამ სფეროში. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ იგი კვების პროდუქტებისა და სასმელების მრავალი სხვადასხვა სახის გამოფენათა ორგანიზატორად გვევლინება. ხოლო ასეთი გამოფენების მოწყობას იაპონელები ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ამის საშუალებით ხდება მათთვის ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი პროდუქტებისა და სასმელების გამოვლენა, დათვალიერება და, მოწონების შემთხვევაში, მათთვის გზის გახსნა იაპონურ ბაზარზე შესაღწევად.

გაგრძელება A4 გვერდზე

# PMDI ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მონიტორინგის შედეგებს აქვეყნებს

*დღეს სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გაიმართება, რომელზეც მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა (PMDI) წარმოადგენს ანგარიშს ნავთობსადენის გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შესახებ.*

ნინო ნარჩემაშვილი

ანგარიში მოიცავს 16 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მონიტორინგის დროს აღმოჩენილ მიგნებებს შემდეგ სფეროებში: ნარჩენების მართვა, აღდგენების პროცესი (მშენებლობის დერეფნის აღდგენა საწყის კონდიციამდე), სოციალური და ადამიანის უფლებათა დაცვა მილსადენის მშენებლობის რეგიონში. მესამე ანგარიშში ყურადღება ეთმობა მილსადენზე დასაქმების, BTC-ს მიერ მიწების შესყიდვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებს.

პროექტის მეორე ციკლი, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება, მოიცავს როგორც დაწყებული მონიტორინგის გაგრძელებას, ასევე მონიტორინგის ისეთ ახალ სფეროებს, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობა, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმა და მიწით სარგებლობის უფლების უკან დაბრუნება. არასამთავრობო ორგანიზაციები ყურადღებას მიაქცევენ, რამდენად იქნა გათვალისწინებული მათ მიერ აღმოჩენილი შეუსაბამობები და შესრულდა თუ არა რეკომენდაციები.

პროექტი ხორციელდება ევრაზიის ფონდის მიერ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და BP-ს (ბრითიშ პეტროლეუმ) და მისი პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერით. პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს პროფესიული მონიტორინგისა და პროგრამული აუდიტის განხორციელებაში და მათ საშუალებას აძლევს, შეამოწმონ BTC-ს მიერ ვალდებულებების შესრულების ხარისხი, შეამცირონ მილსადენის მშენებლობის უარყოფითი გავლენა გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროში.

ანგარიში გამოქვეყნდება და ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცემა, მონიტორინგის შედეგებს გაეცნოს.

**"მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამოქალაქო სექტორის ჩართვა BTC-ს მშენებლობისა და ოპერირების პროცესში. ჩვენ მივესალმებით მილსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივის განხორციელებას,"** - განაცხადა IFC-ს ნავთობის, გაზის, წიაღისეულის მოპოვებისა და ქიმიკატების დირექტორმა რაშად კალდანმა. საქართველოში UNDP-ს წარმომადგენლის თქმით კი, ეს პროექტი ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მონიტორინგისა და აუდიტის პროფესიულ დონეზე ჩატარებაში ეხმარება და ასევე, ხელს უწყობს დიალოგს არასამთავრობო სექტორსა და BP-ს შორის.

# "ფერო" ელექტროენერგიის შეღავათიანი ტარიფით "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციამდე ისარგებლებს

"ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა" ელექტროენერგიის შეღავათიანი ტარიფით "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციამდე ისარგებლებს. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, მართალია, პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანების შესაბამისად, ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმს" შეღავათიანი 1, 83-ცენტიანი ტარიფი 2008 წლამდე დაუმტკიცა, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებით, სემეკ-ს უნდა ეთხოვოს, "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმის" ტარიფებს მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით გადახედოს.

ამ ინიციატივის მიუხედავად, მთავრობაში მიაჩნიათ, რომ მართებული არ არის "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციამდე "ფეროსთვის" შეღავათიანი ტარიფის გაუქმება. ამიტომ, სემეკ-ისთვის ტარიფის გადაანგარიშების მოთხოვნით მიმართვა დროებით გადაიდო.

გასულ კვირაში გამართულ მთავრობის სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობას პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებაში შესატანი ცვლილების პროექტი შესთავაზა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მთავრობას სემეკ-ისთვის "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმის" ტარიფების გადახედვა უნდა ეთხოვა. ამჟამად ფერო 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაში 1,93 ცენტს იხდის, თუმცა, მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით გადაანგარიშების შემთხვევაში, ტარიფი 3, 897 ცენტამდე გაიზრდება. **ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი კოვზანაძე "კულუარულ მანევრებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს"

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მხარს უჭერს, მაგრამ "კულუარულ მანევრებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს".

"საბიუჯეტო პროცესი ქვეყანაში ცივილიზებული ქვეყნისთვის დამახასიათებელ ჩარჩოებს უახლოვდება და ეს უთუოდ მისასალმებელია. ამაში დამსახურება მიუძღვის როგორც მთავრობას, ისე პარლამენტს. ხარვეზები რა თქმა უნდა არის, რომელიც უნდა გამოსწორდეს" - განაცხადა "ინტერპრესნიუსთან" საუბრისას კოვზანაძემ.

კოვზანაძე ორი დღის წინ, დეპუტატ დავით კირკიტაძის მიერ მის მიმართ გამოთქმულ კრიტიკასაც ეხმაურება და აღნიშნავს, რომ კირკიტაძე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერია და თუ მისი შენიშვნები საყურადღებო იქნება, აუცილებლად გაითვალისწინებს.

"მაგრამ, მინდა განვმარტო, რომ ფინანსები სპეციფიკური სფეროა და ნებისმიერი დასკვნა მხოლოდ და მხოლოდ პროფესიულ ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს. ჩემს წინამორბედს თავისი მუშაობის სტილი ჰქონდა, მე მაქვს ჩემი მიდგომები. ბიუჯეტი ციფრებია, რომელშიც ყოველთვის იმალება ეშმაკი. ჩემი ვალია, ვიყო მაქსიმალურად ყურადღებიანი. ბიუჯეტზე მსჯელობისას კონიუნქტურა და კულუარული მანევრები ჩემთვის მიუღებელია. არც ეფექტებზე მუშაობის მომხრე ვარ. ჩემთვის მთავარი პროფესიონალიზმი და საქმის ინტერესია", - განაცხადა კოვზანაძემ.

# საერთაშორისო ტენდერი "ხუდონჰესისთვის"

"ხუდონჰესისთვის" საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტის შედგენის მიზნით, ენერგეტიკის სამინისტრომ მსოფლიო ბანკთან ერთად საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, მსოფლიო ბანკისა და ენერგეტიკის სამინისტროს ინიციატივით, "ხუდონჰესის" მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია და ეკონომიკური დასაბუთება, სავარაუდოდ, 18 თვეში შეიქმნება, თუმცა მას შემდეგ, რაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება. მსოფლიო ბანკმა პროექტის შედგენისათვის საქართველოს 3 მილიონი დოლარის ოდენობის გრანტი გამოუყო.

**"ტენდერი ერთ თვეში დასრულდება, შედეგები და შეფასებები კი ორ თვეში გახდება ცნობილი. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ 14-18 თვეში საქართველოს ხუდონჰესის მშენებლობისთვის საჭირო ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი ექნება,"** - განაცხადა ხეთაგურმა. **ინტერპრესნიუსი**

# ენერგეტიკის სამინისტრომ პროექტები გადააგზავნა

ენერგეტიკის სამინისტრომ "გაზპრომთან" გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტები გადააგზავნა. როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა განაცხადა, მოსკოვში გადაგზავნილია 2 ხელშეკრულება "გაზპრომთან" თანამშრომლობისა და გაზის მოწოდების შესახებ. ხეთაგურის განცხადებით, საქართველოდან "გაზპრომში" გაგზავნილ ხელშეკრულების პროექტებში არ არის მითითებული რუსეთიდან მოწოდებული გაზის საფასური.

**"გაზის საფასურის ინიციატივით "გაზპრომის" მხარე გამოვიდა, ამიტომ ხელშეკრულებაში მოწოდებული აირის ღირებულებაც მან უნდა დააფიქსიროს,"** - განაცხადა ხეთაგურმა

არ არის გამორიცხული, რომ ხელშეკრულების საკუთარი ვარიანტი მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულმა, "გაზპრომის" გამგეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ალექსანდრ რიაზანოვმა ჩამოიტანოს. მისი ჩამოსვლა თბილისში მიმდინარე კვირას იგეგმებოდა, თუმცა, როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, რიაზანოვის ვიზიტი თბილისში, სავარაუდოდ, მომავალი კვირისთვის გადაიდება. **ინტერპრესნიუსი**

# მიხეილ მაჭავარიანს საყვედურების მოსმენა მობეზრდა

გიორგი ასანიშვილი



"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის თქმით, ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ცდილობდა, "ჩუმად გაეპარებინა" "თბილისის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებები, რომლებიც დედაქალაქის საკრებულოსა და მერიის კომპეტენციების გამიჯვნას ითვალისწინებს. დეპუტატის განცხადებით, არსებობდა შეთანხმება, რომ აღნიშნული დოკუმენტი, თვითმმართველობის საკითხების საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, საღამოს უნდა განხილულიყო, მაგრამ მაჭავარიანმა კანონპროექტი პავლე კუბლაშვილს მაშინ გამოატანინა, როდესაც შესვენების გამოცხადებამდე რამდენიმე წუთიღა რჩებოდა და სხდომათა დარბაზი თითქმის ცარიელი იყო.

მამუკა კაციტაძის ბრალდებამ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ძალიან აღაშფოთა. "**პაკეტში არა, "კულიოკში"! თქვენგან საყვედურებს ვერ მივიღებ. ვანკა-ვსტანკა კი არა ვარ, ყოველ წუთს მიბრახუნოთ,"** - მიკროფონი გამოურთო სხდომის წამყვანმა ბრალმდებელს.

იმის დასტურად, რომ არაფრის "გაპარებას" არ აპირებდა, მიხეილ მაჭავარიანმა მამუკა კაციტაძის მოთხოვნა შეასრულა და "თბილისის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე მსჯელობა რამდენიმე საათით, საღამოს სხდომისთვის გადადო.

# პარლამენტში თევზი აყროლდა

*ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი რომან მელია საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებს. მისი მტკიცებით, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების" წევრის მერაბ ბოცვაძის უკან დგანან მაფიოზური ჯგუფები, რომლებიც თევზის რეწვით ითბობენ ხელს.*

გიორგი ასანიშვილი

**"შავ ზღვაზე თევზის რეწვის უფლების მოსაპოვებლად გამართულ აუქციონში გაიმარჯვეს ფირმებმა, რომლებიც პირობას დებდნენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში 15 მილიონ ლარს შეიტანდნენ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ 600 ათასი ლარი გადაიხადეს. ქართველი მებადურების ინტერესები ილახება, ამ დროს კი უცხოელები, ქართულ მაფიოზურ დაჯგუფებებთან ერთად, დიდძალ თანხებს იჯიბავენ,"** - აცხადებს რომან მელია.

დეპუტატის თქმით, მას შემდეგ, რაც ქართველ მებადურებს რეწვის უფლება ჩამოერთვა, თევზი საგრძნობლად გაძვირდა და მისი ფასი 80 თეთრიდან სამ ლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება მერაბ ბოცვაძის ბრალეულობას, რომან მელია ირწმუნება, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი უცხოურ კომპანიებს ლობირებს და თევზჭერის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით გამოცხადებულ აუქციონზე მათ შუამავლობა გაუწია.

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის განცხადებით, ამ აუქციონში მონაწილე შუამავალ ფირმებს საკუთარი გემები და თევზის გადამამუშავებელი საწარმოები არ გააჩნიათ და უცხოელ გემთმფლობელებთან არაოფიციალურ გარიგებებში იმყოფებიან.

**"გემები უცხოეთიდან შემოჰყავთ და ქართველ მებადურებს თევზჭერის და გადამუშავების საშუალებას არ აძლევენ. ასე თევზის ფასი ძვირდება და საქართველოს კუთვნილი თანხები ვიღაცეების ჯიბეში ილექება,"** - აღშფოთებას გამოთქვამს რომან მელია.

პარლამენტარი თხოვნით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, რომ მან ეს საკითხი პირადად შეისწავლოს და კონტროლზე აიყვანოს.

მისივე თქმით, აღნიშნულ ბრალდებებს ის იმის გამო არ აყენებს, რომ ოპოზიციაში გადასვლა სურს, თუმცა, მისი ქმედებები სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებს საკმაოდ აღიზიანებს: ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ფოთის მაჟორიტარ დეპუტატს გამოსვლა შეაწყვეტინა და განაცხადა, რომ ბოცვაძის სახელს იგი პირადი ანგარიშსწორებისთვის იყენებს.

**"ყელში ამოვიდა. თქვენ სხდომის არევა გინდათ, რასაც არ დავუშვებ,"** - თემის გაგრძელებას ვეტო დაადო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ.

# სამეთვალყურეო საბჭოების „შენახვა" ძვირი ჯდება

## არის თუ არა მათი გაუქმება ერთადერთი გამოსავალი?

*სახელმწიფო საწარმოების ერთი ნაწილი მომავალი წლიდან სამეთვალყურეო საბჭოების გარეშე რჩება. ამ გადაწყვეტილების აუცილებლობას ხელისუფლებაში შექმნილი ობიექტური მიზეზებით ხსნიან. ვინ გააკონტროლებს საბჭოს გარეშე დარჩენილ საწარმოებს და რა პრინციპით შეირჩა გასაუქმებელი სამეთვალყურეო საბჭოები? "24 საათი" გუშინ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდა.*

ეთერ მამულაშვილი

სახელმწიფო საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოების ლიკვიდაციის პროცესი ამ დღეებში დაიწყება და ის, სავარაუდოდ, რამდენიმე თვეში დასრულდება. ასეთი გადაწყვეტილება საწარმოთა მართვის სააგენტომ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად, ორიოდე დღის წინ მიიღო. მიზეზი მარტივია: საწარმოთა ისედაც რთული ფინანსური მდგომარეობა, სამეთვალყურეო საბჭოების სახელფასო ანაზღაურება მძიმე ტვირთად აწევს თავად ამ საწარმოთა ბიუჯეტებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ხსნიან სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოში.

საწყის ეტაპზე დაგეგმილია სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმება ორმოცდაათამდე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფო ამ დროისთვის აქციების საკონტროლო პაკეტს, ანუ 50 პროცენტზე მეტს ფლობს. **"საწარმოთა რთული ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქების და დირექტორების მეშვეობით სახელმწიფო წილების პირდაპირი მართვის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესაბამისი პროცედურების დაცვით, სამეთვალყურეო საბჭოები გაუქმდეს ცენტრალური და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებულ ყველა შპს-ში, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საწარმოებისა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ სერგო ტოპრაკაშვილმა.

ამ ლოგიკით, სამეთვალყურეო საბჭოები შენარჩუნდება "საქართველოს რკინიგზაში", "ფოთის პორტში", "თბილისის საერთაშორისო აეროპორტში", "ბათუმის პორტსა" და სხვა მსგავსი ტიპის სახელმწიფო საწარმოებში. უნდა აღინიშნოს, რომ სამეთვალყურეო საბჭოებს ყველაზე დიდი ხელფასები სწორედ ასეთი ტიპის საწარმოებში აქვთ. ამ საწარმოთა ბიუჯეტებში, ხელფასების გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სამივლინებო, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის ხარჯები კიდევ ცალკეა გათვალისწინებული (ამაზე უფრო დეტალურად ქვემოთ მოგახსენებთ).

რამდენი მილიონი ლარი დაიზოგება ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების შედეგად? ამის შესახებ ზუსტი მონაცემი არც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და არც საწარმოთა მართვის სააგენტოში არ გააჩნიათ. საუბარია თვეში დაახლოებით 30-35 ათას ლარზე, რაც, შესაბამისად, წელიწადში 360-410 ათას ლარამდე აღწევს (შენიშვნა: ასეთი სახელფასო ფონდი მხოლოდ წვრილ და საშუალო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოებს გააჩნიათ). ამას ემატება კიდევ საბჭოს წევრების სატრანსპორტო, კომუნიკაციისა და საკანცელარიო ხარჯები, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა 500 ათას ლარამდე აღწევდეს.

მოხმარდება თუ არა დანაზოგი თანხა თავად ამ საწარმოების გაჯანსაღებას და ინვესტირებას? "24 საათის" ამ კითხვას სერგო ტოპრაკაშვილი ასე პასუხობს: **"რა თქმა უნდა, ეს თანხა თავად ამ საწარმოებს დარჩებათ. თუმცა, რაში დახარჯავენ, ეს ამ საწარმოთა აქციონერების გადასაწყვეტი იქნება. შესაძლოა, ეს თანხა საწარმოს ფინანსურ გაჯანსაღებას, კრედიტორული დავალიანების გასტუმრებას, ან თანამშრომელთა ხელფასების გაზრდას მოხმარდეს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტული საწარმოსთვის ამ ეტაპზე რა უფრო საჭიროა და აქტუალური."**

ჯანდაცვის დაახლოებით 15 ობიექტი მოყვა იმ ნუსხაში, სადაც მომავალი წლიდან სამეთვალყურეო საბჭოები ფუნქციონირებას შეწყვეტენ და აქ, ისევე როგორც დანარჩენ 35 საწარმოში, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ამ ობიექტის დირექტორები მიიღებენ. სერგო ტოპრაკაშვილი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში დირექტორების გადაწყვეტილებას და საწარმოთა ეფექტურ მუშაობას სააგენტო გააკონტროლებს.

ამ ეტაპზე სააქციო საზოგადოებებში სამეთვალყურეო საბჭოები შენარჩუნდება. მათი გაუქმების შემთხვევაში მეწარმეთა შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა აუცილებელი გახდება. ცნობისათვის, მოქმედი კანონმდებლობით შპს-ებში სამეთვალყურეო საბჭოების ფუნქციონირების აუცილებლობას თავად ამ საწარმოს დამფუძნებლები წყვეტენ.

როგორ აფასებენ ექსპერტები საწარმოთა მართვის სამინისტროს ხსენებულ გადაწყვეტილებას? ქონების მართვის ყოფილი მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურა გარაყანიძე ვარაუდობს, რომ სამეთვალყურეო საბჭოების გარეშე დარჩენილი ასეთი საწარმოების პრივატიზაციის პროცესი დაჩქარდება. **"თითქმის ყველა სახელმწიფო საწარმოში სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრი, როგორც წესი, საწარმოთა მართვის სააგენტოს რომელიმე თანამშრომელია, რომელიც ამ საწარმოში სოლიდურ ხელფასს ღებულობს. ბუნებრივია, ის ყოველთვის მაქსიმალურად ხელს შეუშლის ამ საწარმოს საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვედრას. არადა, დღეს ასეთი საწარმოების პრივატიზება ხელისუფლების პრიორიტეტი უნდა იყოს. ვფიქრობ, რომ კუთხით საწარმოთა მართვის სააგენტოს ეს გადაწყვეტილება მისასალმებელია,"** - აღნიშნა გარაყანიძემ.

### რა "ღირს" სამეთვალყურეო საბჭოები მსხვილ და სტრატეგიულ ობიექტებში?

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მსხვილი საწარმოების ყოველწლიური შემოსავლებიდან საკმაოდ სოლიდური ნაწილი სამეთვალყურეო საბჭოების "შენახვაზე" იხარჯება. აქ, ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურების გარდა, საწარმოთა ხელმძღვანელები საბჭოს წევრების სამივლინებო და საკომუნიკაციო ხარჯებზეც ზრუნავენ. თუ რამდენი უჯდება სახელმწიფოს წელიწადში ასეთი საბჭოების შენახვა, ზუსტი ციფრის გარკვევა "24 საათმა" იმ მიზეზით ვერ მოახერხა, რომ ყველა საწარმო მასთან არსებულ სამეთვალყურეო საბჭოს თავად "ინახავს". დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს ციფრი 6-7 მილიონი ლარის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.

მსხვილ სახელმწიფო საწარმოებში არსებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ყოველთვიური ხელფასი 1500-დან 5000 ლარამდე მერყეობს. სამეთვალყურეო საბჭოები ხშირ შემთხვევაში სამი წევრისგან არის დაკომპლექტებული.

ექვსი ყველაზე მსხვილი სახელმწიფო საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა ერთად 30-ს აღწევს, მათი წლიური შრომითი ანაზღაურება კი - 1 მილიონ 300 ათას ლარს. ეს მაშინ, როცა, ცალკეული ექსპერტების შეფასებით, სამეთვალყურეო საბჭოების მუშაობა არაეფექტურია და ისინი მათზე დაკისრებულ ვალდებულებას სათანადოდ ვერ ასრულებენ. ესეც რომ არ იყოს, საინტერესოა თავად სტატისტიკური თანაფარდობა სახელმწიფო საწარმოების მოგებებსა და სამეთვალყურეო საბჭოების შენახვის ხარჯებს შორის.

სს "საქნავთობის" წლიური მოგება 2 მილიონ ლარზე ცოტა ნაკლებია, ამ თანხის დაახლოებით მეოთხედი კი საწარმოს ექვსკაციან სამეთვალყურეო საბჭოს ხმარდება.

სს "მადნეული", რომელიც უკანასკნელი ორი წელიწადია, წმინდა მოგებიდან ბიუჯეტში დივიდენდებს იმ მიზეზით ვერ რიცხავს, რომ მისი წმინდა მოგება ძალიან მცირეა და ის საწარმოს რეინვესტირებასაც ძლივს ჰყოფნის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე ყოველწლიურად თითქმის 500 ათას ლარს ხარჯავს.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: გასულ წელს შპს "საქართველოს რკინიგზას" სამეთვალყურეო საბჭოს შენახვა დაახლოებით 600 ათასი ლარი დაუჯდა, თუმცა საბჭოს 12-კაციანი შემადგენლობიდან მხოლოდ სამი ღებულობდა ხელფასს. დღეს უკვე "საქართველოს რკინიგზაში" მხოლოდ სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭოა, რომლის 2005 წლის სახელფასო ფონდი, ოფიციალური მონაცემებით, 146 ათას 544 ლარით არის განსაზღვრული.

## მოკლედ

### პარლამენტარები ჰაიდი ტალიავინს ტერმინის შეცვლას სთხოვენ

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისია საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ ჰაიდი ტალიავინს შეცდომას უსწორებს.

როგორც დღეს გამართულ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ განაცხადა, კომისიამ წერილით მიმართა ჰაიდი ტალიავინს და სთხოვა, ტერმინი "ქართულ-აფხაზური კონფლიქტი" აღარ გამოიყენოს.

მალაშხიას განცხადებით, ჰაიდი ტალიავინის თითოეული სიტყვა გაერო-ს დოკუმენტებში ფიქსირდება, ამიტომ, მან კონფლიქტებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში შეცდომა არ უნდა დაუშვას.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ტალიავინმა ერთ-ერთ ინტერვიუში კონფლიქტი აფხაზეთში "ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად" მოიხსენია. "საქართველოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არ მომხდარა. ჩვენ გვქონდა კონფლიქტი აფხაზეთში და კონფლიქტი სამაჩაბლოში," - აღნიშნა პარლამენტარმა შოთა მალაშხიამ. **ინტერპრესნიუსი**

### აშშ-ს ელჩს სოხუმში განუცხადეს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებლობას არ დათმობს

სეპარატისტული სოხუმის პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრ ანქვაბმა საქართველოში აშშ-ს ელჩთან ჯონ ტეფტთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკონომიკური რეაბილიტაცია სოხუმის ხელისუფლებას დამოუკიდებლად არ შეუძლია და ინვესტორების, პირველ რიგში კი, რუსი ინვესტორების ძიებაშია.

"ჩვენი აღმოსავლელი მეზობელი სამხედრო რიტორიკას არ წყვეტს, ამიტომ იძულებულნი ვართ, საბიუჯეტო სახსრები შეიარაღებული ძალების დაფინანსებისთვის გამოვყოთ," - განაცხადა ანქვაბმა.

მისი თქმით, აფხაზური მხარე საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე არასდროს დათანხმდება.

"არ შეგვიძლია, გავიზიაროთ მოსაზრება, რომ აფხაზეთს ვინმე ნებისმიერ ფასად დაუბრუნებს საქართველოს. ჩვენ თავისუფალი ხალხი ვართ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაშენებთ," - აცხადებს ალექსანდრე ანქვაბი. **მედიანიუსი**

### საქართველო და რუსეთი საზღვრის მონაკვეთზე ჩატარებულ ღონისძიებებს შეაჯამებენ

9 დეკემბერს საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, დასახლებულ პუნქტ "ყაზბეგში" საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის, ჩრდილოკავკასიის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელ პირთა (გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ზაბროდინი) გეგმური შეხვედრა გაიმართება.

შეხვედრაზე ქართულ მხარეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სახმელეთო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი კობა ბოჭორიშვილი უხელმძღვანელებს.

შეხვედრის მიზანი 2005-2006 წლებში საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე მხარეთა მიერ ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების განხილვა და შეჯამებაა. გარდა ამისა, საზღვარზე არსებული ვითარების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა და ურთიერთქმედებათა ორგანიზების საკითხების შემუშავება და დაზუსტება. **მედიანიუსი**

### ახალ წლამდე ყველა ბაზარს შეამოწმებენ

ახალი წლის დადგომამდე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია აგრარული ბაზრების შემოწმებას იწყებს.

რეიდები საქართველოს ყველა რაიონში ჩატარდება.

როგორც "მედიანიუსს" სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა დავით მესხიშვილმა განუცხადა, შემოწმების დროს ყურადღება გამახვილდება როგორც გასაყიდი პროდუქციის ხარისხზე, ასევე ბაზრებში არსებულ სანიტარიულ მდგომარეობაზე.

"აგრარულ ბაზრებს შაბათკვირაობით შევამოწმებთ. იმის მიუხედავად, რომ სანიტარიულ სამსახურში ამჟამად რეორგანიზაცია მიმდინარეობს, საქმე გასაკეთებელი არ უნდა დარჩეს. ჩვენი მიზანია, საახალწლო სამზადისისთვის ბაზარში მისულ მოსახლეობას იქ ყველანაირად მოწესრიგებული მდგომარეობა დახვდეს," - განუცხადა "მედიანიუსს" სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზვიად გოგოჭურმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# „მოძრაობა" სუფთა ჰაერზე

თამარ მაისურაძე

სალომე ზურაბიშვილი, როგორც თავად აცხადებს, ქვეყნისთვის ღირსების დაბრუნებას აპირებს. თავის სამომავლო გეგმებს სტუდენტებსაც "უმხელს" და მოუწოდებს, ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში ჩაერთონ.

არაორდინარულ შეხვედრას, რომელიც გუშინ ვაკის პარკში გაიმართა, მიტინგს ან აქციას ნამდვილად ვერ უწოდებდი. მართალია, საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სტუდენტები ვაკის პარკში დაიბარა, მაგრამ, როგორც აღნიშნა, ამ შეხვედრის ინიციატორები თავად სტუდენტები იყვნენ. რამდენიმე დღის წინ "მოძრაობის" ოფისში მისულებს დიალოგის გასამართად ფართის სიმცირემ შეუშალათ ხელი, ამდენად, შეხვედრა სუფთა ჰაერზე დაიგეგმა.

სტუდენტები ზურაბიშვილს კითხვებს უსვამდნენ, ზურაბიშვილიც პასუხობდა. შეხვედრაზე, რომელსაც ფიზკულტურის, უცხო ენების, საავიაციო, პოლიტექნიკური და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ, პირველი კითხვა ზურაბიშვილის პოლიტიკური პროგრამის შესახებ დაისვა.



საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სტუდენტები ვაკის პარკში დაიბარა.

**"მთავარია, ჩვენს ქვეყანას დავუბრუნოთ ღირსება. რათა, იმ პენსიონერებმა, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში მთავრობის სასახლესთან იდგნენ, ასევე იმ გლეხებმა, რომლებსაც სამეგრელოში ყოფნისას შევხვდი, იმ სტუდენტებმა, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ და რომლებიც ამ ქვეყნის ყველაზე დიდი კაპიტალია, თავიანთ ქვეყანაში ღირსეულად იცხოვრონ,"** – განაცხადა ზურაბიშვილმა.

სტუდენტებისთვის იმის შეხსენების შემდეგ, რომ ხელისუფლებამ გზიდან გადაუხვია, რომ სახელმწიფოში კანონი და სამართალი არ მოქმედებს, სალომე ზურაბიშვილმა დასძინა: **"საქართველოს არ სჭირდება ახალი რევოლუცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას იმის უფლება აქვს, ხალხს გადაუაროს."**

ქაჯები ვაკის პარკშიც ახსენეს. **"ქაჯებს ღირსეულად უნდა ებრძოლო,"** – ჭკუა დაარიგა ზურაბიშვილმა სტუდენტებს, რომლებმაც თავიანთი "მოძრაობის" შექმნა გადაწყვიტეს და მომავალში, ალბათ, ზურაბიშვილის "მოძრაობასთან" ითანამშრომლებენ.

# „ნაციონალურად" თუ ჯეფერსონის სისტემით?

პირველი გვერდიდან

აღნიშნულ კანონპროექტს ოპოზიცია "ნაციონალურ მოძრაობაზე" მორგებულად მიიჩნევს. **"უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი მაჟორიტარული არჩევნების წესისგან ძალიან შორს დგას. მაჟორიტარული პრინციპი იმას ჰქვია, როცა ამომრჩეველი კონკრეტულ პიროვნებას აძლევს ხმას და არა პარტიულ სიას. ამ გზით მხოლოდ იმას მივიღებთ, რომ ერთმანეთისგან განსხვავებული ოპოზიციური პარტიები ერთ ბლოკად გაერთიანდებიან, რათა არჩევნებში გამარჯვება შეძლონ. ეს კი საქართველოს ორ ბანაკად დაყოფს. "მოქალაქეთა კავშირისა" და "აღორძინების" მაგალითზე ვიცით, რომ ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს,"** – აცხადებს "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილი.

ოპოზიციას მაჟორიტარული მანადატების გადანაწილების პრინციპიც ძალიან აკვირვებს. **"რატომ არის თბილისსა და ქუთაისში საარჩევნო კვოტების ერთი და იგივე რაოდენობა, როცა თბილისის მოსახლეობა ქუთაისისას ბევრად აღემატება?"** – კითხულობს ბერძენიშვილი. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტში კანონპროექტის პირველი მოსმენისას ოპოზიციურმა ფრაქციებმა თბილისში მანდატების რაოდენობის გაზრდაც მოითხოვეს, მაგრამ უმრავლესობას მათი მოთხოვნა არ გაუთვალისწინებია.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ირაკლი მელაშვილი თბილისში საარჩევნო კვოტების სიმცირეს იმით ხსნის, რომ რაიონების მოსახლეობასთან შედარებით, დედაქალაქის მოსახლეობა პოლიტიკურად უფრო განათლებულია და, შესაბამისად, "ნაციონალურ მოძრაობას" არჩევნებში გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს. "თავისუფლების ინსტიტუტი" კი მაჟორიტარული კვოტების გადანაწილების ასეთ პრინციპს მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დარღვევად მიიჩნევს და მანდატების გადანაწილებას მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად მოითხოვს. ინსტიტუტის წარმომადგენელთა გათვლებით, ქვეყანაში მაჟორიტარული მანდატები ჯეფერსონის სისტემით უნდა გადანაწილდეს: თბილისი – 8 მანდატი; იმერეთი – 6; სამეგრელო, ქვემო ქართლი – 5; აფხაზეთი, კახეთი – 4; აჭარა, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი – 3; გურია, მცხეთა-მთიანეთი, სამაჩაბლო – 2 და სვანეთი – 1.

"თავისუფლების ინსტიტუტი" პარლამენტისთვის საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტის საკუთარი ვარიანტის შეთავაზებასაც აპირებს. თუმცა, ცვლილებების პროექტის ალტერნატიული ვარიანტის წარდგენა, ალბათ, ვეღარ მოესწრება, რადგან გუშინ პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო უმრავლესობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი მეორე მოსმენით გავიდა.

# რეზერვისტების ბოლო შეკრება და მომავალი გეგმები

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისთვის"

*9 დეკემბერს საჩხერეში ეროვნული გვარდიის ბაზაზე, საზეიმოდ დაიხურება მე-17 და, ამ წლის განმავლობაში, ბოლო სარეზერვო შეკრება, რომელიც ამჯერად თბილისის საკრებულოსა და მერიის აპარატის თანამშრომლებს შეეხოთ. თუმცა, კვლავაც აქტუალურია შეკითხვა - წავლენ თუ არა მეორე წრეზე მოხელეები, თუ სარეზერვო შეკრება მართლაც ზეპარტიული გახდება.*

რეზერვისტთა ბატალიონს, რომელიც თბილისიდან ნოემბერის მეორე დეკადაში გაემგზავრა საჩხერეში, თავად საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი მეთაურობს. განაწესის თანახმად, სარეზევრო შეკრებაზე მყოფი თანამდებობის პირი თავისუფლდება ადრე დაკისრებული მოვალეობისაგან. თუმცა, ბატონი ბეგაშვილი და რამდენიმე რეზერვისტი-დეპუტატი თბილისის ბიუჯეტის განსახილველად ორი დღით ჩამოვიდნენ თბილისში. ზოგიერთი მათგანი კი, გასულ პარასკევს საკრებულოში გამართულ ცემა-ტყეპაშიც მონაწილეობდა.

სარეზერვო შეკრებაზე მყოფ დეპუტატს რომ საველე ბანაკის დატოვების უფლება არა აქვს, ამას პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ რურუაც ადასტურებს.

ცოტა ხნის წინ ამერიკის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდლობასთან ერთად შემუშავდა რეზევრისტთა გადამზადების ახალი პროგრამა, რომელიც მომავალ წელს ამოქმედდება. ამ პროგრამის მომზადებაში აქტიურად არის ჩართული საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რეზერვის უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე შალამბერიძე.

**"გვქონდა შეხვედრა ამერიკის რეზერვისტთა მთავარ გენერალ პოეტრისთან და ჩვენ გაისადაც ვაგრძელებთ ამ პროგრამას. დეტალები დაზუსტდება იანვარში, როდესაც შემდეგი შეხვედრა გვექნება,"** -განმარტავს შალამბერიძე.

აღსანიშნავია, რომ შარშან თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან რეზერვისტთა მომზადების პროგრამაზე 6 მილონი ლარი დაიხარჯა. წელს რეზერვისტთა ბანაკები მთლიანად თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან დაფინანსდება. თუმცა, მომავალი წლის ბიუჯეტის თავდაპირველ პროექტში თავდაცვის სამინისტროს ამ პროგრამისთვის მხოლოდ ერთი მილიონი აქვს გამოყოფილი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რეზერვისტების კვებით კმაყოფა, ფორმითა და ტყვია-წამლით უზრუნველყოფა სამხედრო უწყებას ეკისრება, უნდა ვივარაუდოთ - გაისადაც რეზერვისტების მომზადებაზე საკმაოდ დიდი თანხა დაიხარჯება. როგორც ხელისუფლება ვარაუდობს, რეზერვისტების შენახვა ქვეყანას მაინც ორჯერ ნაკლები თანხა უჯდება. თანაც, პროფესიულ არმიაზე გადასვლის კვალობაზე, საქართველოში საკმაოდ დიდი გასაწვევი რესურსი გროვდება, რომლის გადამზადების ერთადერთ ფორმას სწორედ სარეზერვო შეკრება წარმოადგენს.

უცხოეთი

# ნობელის პრემიის ლაურეატი მსოფლიო ლიდერებს აკრიტიკებს

## ერაყული კამპანია არა სიმართლე, არამედ ძალაუფლებაა

მიმდინარე წელს ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, ბრიტანელი დრამატურგი ჰაროლდ პინტერი აშშ-ს პრეზიდენტისა და საკუთარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კრიტიკით გამოვიდა. ჯორჯ ბუშსა და ტონი ბლერს 75 წლის დრამატურგმა ერაყული კამპანიის წამოწყებისთვის სამხედრო დამნაშავეები უწოდა.

**"ერაყში შეჭრა სახელმწიფოებრივი ტერორიზმის ბანდიტური აქტი იყო. თუმცა, ბუში გაცილებით საზრიანი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში, მან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნას მაინც არ გაუკეთა რატიფიცირება,"** - აღნიშნა ჰაროლდ პინტერმა.



ჰაროლდ პინტერი.

ერაყული კამპანიის წამოწყება, დრამატურგის შეფასებით, "ცრუ ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადს ეყრდნობოდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ძალაუფლების მქონე პირთაგან". მისი თქმით, ამ კამპანიით მსოფლიო ლიდერებმა საერთაშორისო სამართლის ნორმებისადმი სრული დაუდევრობა გამოამჟღავნეს.

ზემოაღნიშნული განცხადებები, პინტერმა ნობელის კომიტეტისათვის გაგზავნილ ვიდეოჩანაწერში გამოთქვა. ვიდეომიმართვა "ხელოვნების, სიმართლისა და პოლიტიკის" სახელწოდებით გაიგზავნა. მის პირველ ნაწილში საუბარია ხელოვნებაში სიმართლის არსებობის მნიშვნელობაზე, რის შემდეგაც ხანშიშესული დრამატურგი აქცენტს უკვე პოლიტიკაში სიმართლის მნიშვნელობაზე აკეთებს.

პინტერის თქმით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ს ხელისუფლება არა მარტო მხარს უჭერდა, არამედ ხშირ შემთხვევაში თავადვე იყო მსოფლიოში სამხედრო დიქტატურის წარმოქმნის ხელშემწყობი.

**"მე მხედველობაში მაქვს ინდონეზიის, საბერძნეთის, ურუგვაის, ბრაზილიის, პარაგვაის, ჰაიტის, თურქეთის, ფილიპინების, გვატემალის, სალვადორისა და რასაკვირველია, ჩილეს მაგალითები,"** - განაცხადა ბრიტანელმა დრამატურგმა.

რაც შეეხება საკუთარი ხელისუფლების ქმედების შეფასებას, ნისლიანი ალბიონი ჰაროლდ პინტერმა "აშშ-ს ღვედზე გამობმულ პატარა, დამფრთხალ კრავს" შეადარა.

ბრიტანული ომისშემდგომი დრამატურგიის კლასიკოსი, 75 წლის ჰაროლდ პინტერი ავადმყოფობის გამო შაბათს სტოკჰოლმში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიას ვერ დაესწრება, რის გამოც მისი მიმართვის ჩაწერა ვიდეოფირზე მოხდა. **ბი-ბი-სი**

# აფეთქება ავტობუსში - ერაყში ტერაქტების სერია გრძელდება

ერაყის დედაქალაქში ახალი ტერაქტი განხორციელდა. კამიკაძემ თავი მგზავრებით გადაჭედილ ავტობუსში აიფეთქა. წინასწარი მონაცემებით, 30 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 25 დაიჭრა.

აფეთქების შედეგად ავტობუსი, რომელიც ბაღდადის ცენტრალური ნაწილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე შიიტური ქალაქის ნასირიისაკენ მიემართებოდა, მთლიანად განადგურდა. ადგილობრივ სამართალდამცველთა თქმით, გარდაცვლილთა იდენტიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია.

იმავე დღეს ბაღდადის დასავლეთში უცნობ შეიარაღებულ პირებთან შეტაკებაში ორი ერაყელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა და კიდევ ორი დაიჭრა. ბოევიკებმა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს.

ვარაუდობენ, რომ ორივე ზემოაღნიშნული შემთხვევა სუნიტებისა და შიიტების წინააღმდეგ მებრძოლი უცხოელი ბოევიკების ნამოქმედარია.

კიდევ ერთი ინციდენტი გუშინ ბაღდადის აღმოსავლეთ ნაწილშიც მოხდა, სადაც ამერიკული სამხედრო კოლონა გზაზე დამონტაჟებულ ფუგასურ ნაღმზე აფეთქდა. როგორც იუწყებიან, აფეთქების შედეგად სამი ამერიკელი სამხედრო დაიჭრა.

ზემოაღნიშნული აფეთქებები კი სწორედ აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ წარმოთქმულ სიტყვას მოჰყვა. აშშ-ს პრეზიდენტმა ერაყის ხელისუფლება ნაჯაფსა და მოსულში სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებისთვის შეაქო და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

*24 საათი*

# შერეული საკონტროლო კომისია ხაჭაპურიძეების ცხედრების გადმოცემამდე არ შეიკრიბება

პირველი გვერდიდან

გიორგი ხაინდრავას თქმით, ოსური მხარისთვის ცნობილია დამნაშავეთა ვინაობა და მოლაპარაკებათა განახლება შსკ-ს ფორმატში იმ შემთხვევაში მოხდება, **"თუ დარჩება პოტენციალი ცივილიზებული ურთიერთობისათვის."**

კონფლიქტის ზონაში ექვსი თვის წინ გატაცებული ხაჭაპურიძეების ახლობლებს მეხუთე დღეა გადაკეტილი აქვთ ცხინვალი-ჯავის საავტომობილო გზა. ისინი ოსური მხარისაგან ცხედრების გადაცემას მოითხოვენ. ამ ზომებს გატაცებულთა ახლობლებმა მას შემდეგ მიმართეს, რაც გამტაცებლებმა მათ ცხედრების ნაწილები გაუგზავნეს და მიცვალებულთა გამოსყიდვა შესთავაზეს.

დღეს ვალერი კენიაკინი ცხინვალში გაემგზავრება და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს. **"ჯერჯერობით, გვაინტერესებს საკითხები, რომლებიც დაძაბულობის ზრდას უკავშირდება. მე ორმხრივი შეხვედრები მექნება და თუ შსკ-ს სხდომის ჩატარებას გადავწყვეტთ, ეს ჩვეულებრივი, ოთხმხრივი სხდომა იქნება,"** - განაცხადა კენიაკინმა.

*24 საათი*

# უცნობი თავისუფლება

FM უცნობი 98.0

## რადიო "უცნობის"სტუმრები არიან ინგა ალავიძე და ეკა ჭანაშია

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ეკა, თქვენ წარმოადგენთ გაზეთს "მთავარი იმერეთში". თქვენ უფრო იმფორმირებული იქნებით, რა მოხდა აკაკი ბობოხიძესა და ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს შორის?

**ეკა ჯანაშია:** გუბერნატორს პირდაპირი ეთერის დებატებში დაუსვეს ირაკლი იმნაიშვილი, რომელიც იმ პერიოდში იმყოფებოდა ქუთაისში. პირველი ფრაზა, რაც ირაკლიმ უთხრა, იყო: პარტიამ დაგრთოთ პირდაპირ ეთერში მოსვლის ნება? ამის მერე დაიწყო გუბერნატორის მხრიდან: შენ ხარ უზრდელი, თავხედი, ტყუილებს იძახი, და ა.შ. პრინციპში, 15 წუთიც არ გრძელდებოდა ეს დიალოგი. ირაკლიმ გუბერნატორს უთხრა, უზრდელობაზე ლექციები ოჯახს, პარტიასა და კაბინეტს წაუკითხეო. ამის შემდეგ აკაკი ბობოხიძემ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ დებატებს აღარ აგრძელებს, სხვანაირად და სხვაგან დაელაპარაკება მას და ათ წუთში გარეთ ელოდება. ანუ, ეს იყო ტიპური ქუჩური გარჩევა. გუბერნატორი დახვდა გარეთ და სცემა ჟურნალისტი.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ცემის ფაქტი ტელეკომპანიის შენობაში მოხდა. თქვენი აზრით, ეს ჩხუბი რატომ არ, თუ ვერ გადაიღეს ოპერატორებმა?

**ეკა ჯანაშია:** იმის მაგივრად, რომ ტელეკომპანიას მომხდარ ფაქტზე აღშფოთება გამოეთქვა, პირიქით, განაცხადა, ირაკლის ზედმეტი მოუვიდაო...

**ინგა ალავიძე:** სამართალდამცავ ორგანოებს ასეთი შემთხვევის დროს კანონი ავალდებულებს, რომ მოახდინონ რეაგირება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

**ეკა ჯანაშია:** ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით ხელისუფლება ყოველთვის არაადეკვატურ შეფასებას აკეთებს. ჩვენ გვყავს ფსევდოგმირები, ფსევდოვაჟკაცები და ა.შ. გმირად იქცა კირკიტაძე, რომელმაც დაცვის თანამშრომელი, 18 წლის ბიჭი სცემა და მერე ბოდიში მოუხადა. მისი ქუჩური საქციელი უმრავლესობამ ვაჟკაცობად მონათლა.

**ინგა ალავიძე:** ხელისუფლებამ ბობოხიძის დასაცავად განაცხადა, რომ ირაკლი იმნაიშვილმა გუბერნატორს შეურაცხყოფა მიაყენა და ამიტომ გაუსწორდაო. ბობოხიძემ თუ ჩათვალა, რომ მას ჟურნალისტმა მიაყენა შეურაცხყოფა, მაშინ, თანამდებობის დატოვების შემდეგ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიემართა და გამოეძიებინათ ეს საქმე. ეს იქნებოდა არაკრიმინალური აზროვნება.

**ეკა ჯანაშია:** აკაკი ბობოხიძე დაინიშნა ნაციონალური პარტიის კოორდინატორად იმერეთის რეგიონში. მინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, უფრო მაღალი თანამდებობაა, ვიდრე გუბერნატორობა, რადგან რეგიონში ყველაფერს პარტია აკონტროლებს.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** ურტყამს თუ არა მთავრობა ყველას?

**ინგა ალავიძე:** ბოლო დროს რაც ხდება სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, ეს არის მთავრობის დარტყმა სასამართლო ხელისუფლებაზე, ქვეყანაზე და ხალხზე. შევარდნაძის პერიოდში ეს ხელისუფლება სასამართლოს უწოდებდა "ჯიბის სასამართლოს". დღეს კი მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ხელისუფლებამ სასამართლო ჯიბეში ჩაისვა. ჯანსაღ ხელისუფლებას ხელს არ უნდა აძლევდეს მსგავსი ფაქტები.

**ეკა ჯანაშია:** ირაკლი იმნაიშვილმა აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლოს. ამ ხელისუფლებას უნდა დავანახოთ, რომ კანონი ყველაზე მაღლა დგას. აკაკი ბობოხიძე არაფრით არ შეიძლება იყოს ხელისუფლებისანი, რადგან მან ხელისუფლების რეიტინგზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

**ინგა ალავიძე:** ნუ ვიქნებით ხელისუფლების იმედზე. გავზარდოთ ეს ხელისუფლება.

**მსმენელი:** რაც აკაკი ბობოხიძემ ჩაიდინა, არის თუ არა სისხლის სამართლის დანაშაული?

**ინგა ალავიძე:** რა თქმა უნდა, ბობოხიძის მიერ ჩადენილი ფაქტი არის სისხლის სამართლის დანაშაული.

**სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"**

წევრებს (ვისაც დადებული აქვს ადვოკატის ფიცი) ატყობინებს, რომ 2005 წლის **17 დეკემბერს 8:30 სთ-ზე** რკინიგზელთა კულტურის ცენტრში (მის: დ. აღმაშენებლის გამზ. №127) შედგება ასოციაციის საერთო კრება, რომელზეც საქართველოს კანონში "ადვოკატთა შესახებ" შესული ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად აირჩევა აღმასრულებელი საბჭო, ეთიკისა და სარევიზიო კომისიები. აგრეთვე კენჭი ეყრება წესდების შეთანხმებულ პროექტს, რომელიც გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათის" უახლოეს ნომერში და რომლის ხელზე მიღება წევრებს შეუძლიათ ასოციაციის მისამართზე: ხეთაგუროვის ქუჩა №26.

**პატივისცემით კახაბერ ასლანიშვილი.**
**სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციის" თავმჯდომარე.**

Kuzanov Clinic კუზანოვის კლინიკა

1. რინოპლასტიკა
2. მკერდის კორექცია
3. მკერდის აღდგენითი ოპერაციები მასტექტომიის შემდეგ
4. მუცლის პლასტიკა
5. სახის ცირკულარული დაჭიმვა
6. ლიპოსაქცია
7. კელოიდური ნაწიბურების მოცილება
8. დამწერობისშემდგომი კონტრაქტურების პლასტიკა
9. შეძენილი და თანდაყოლილი დეფექტების კორექცია
10. პერიფერიული ნერვების მიკროქირურგიული აღდგენა
11. ვარიკოზული ვენების ამოკვეთა
12. ადენოიდებისა და პოლიპების ენდოსკოპიური ამოკვეთა
13. მხედველობის ქირურგიული კორექცია
14. ოპერაციები მენისკებზე

თქვენი არჩევანი - ჩვენი პროფესიონალიზმია
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com

# კომპანია "ყაზბეგმა" მოსკოვის საერთაშორისო კონკურსზე 2 ოქროს მედალი მიიღო










მოსკოვში ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მეცხრე საერთაშორისო კონკურსში კომპანია "ყაზბეგის" **ლუდმა "თბილისი" და გამაგრილებელმა სასმელმა "ნოსტალგია"** ოქროს მედალი მიიღო.

კონკურსში ევროპისა და თანამეგობრობის ქვეყნებიდან 100 კომპანია მონაწილეობდა, კონკურსი სამ ნომინაციაში გაიმართა - წლის საუკეთესო ლუდი, საუკეთესო გამაგრილებელი სასმელი და საუკეთესო მინერალური წყალი. კონკურსზე წარმოდგენილ პროდუქციას 10 საერთაშორისო ექსპერტ-დეგუსტატორი აფასებდა.

ლუდი "თბილისიც" და გამაგრილებელი სასმელი "ნოსტალგიაც" კომპანია ყაზბეგმა 2005 წელს გამოუშვა.

"ნოსტალგია" ნაღებისა და შოკოლადის არომატიზატორისაგან ორიგინალური რეცეპტით შექმნილი გამაგრილებელი სასმელია, რომლის ინგრედიენტები მზადდება ნატურალური პროდუქციისაგან სს "ყაზბეგის" სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

მოსკოვის საერთაშორისო კონკურსზე **"წლის საუკეთესო ლუდის "** ნომინაციაში გამარჯვებული "თბილისი" პილზნერის ტიპის ლუდია, ის 0,5 ლიტრიან მინის ბოთლებში ისხმება, მისი სიმკვრივე 12 %-ია, ალკოჰოლის შემცველობა 4,8 %.

**გოგი თოფაძე, სს "ყაზბეგის" პრეზიდენტი**: " მოსკოვში ქართული ლუდის აღიარება საამაყოა, "თბილისი" ახლებური ქართული ლუდია, შესანიშნავი გემოთი და დასახელებით. როგორც მოველოდით, დიდი წარმატება ჰქონდა ნაღებისა და შოკოლადისაგან დამზადებულ სასმელს, რომელსაც "ნოსტალგია" დავარქვით. მოსკოვის კონკურსის შემდეგ მოწვევა არაერთ საერთაშორისო გამოფენასა და კონკურსში მონაწილეობაზე მივიღეთ."

მადრიდის, ბრიუსელის, მოსკოვის და სხვა ქვეყნების ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების საერთაშორისო კონკურსებზე წინა წლებში "ყაზბეგის" პროდუქციას არაერთი ჯილდო აქვს მიღებული.

მოსკოვის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების შემდეგ "ყაზბეგის" პროდუქციის ექსპორტით დაინტერესდნენ ფინური და შვედური კომპანიები, ამჟამად "ყაზბეგის" საექსპორტო პოტენციალი 16 ქვეყანას მოიცავს-აშშ, ირლანდია, საბერძნეთი, კვიპროსი, თანამეგობრობის ქვეყნები. კომპანია საექსპორტო პოტენციალს ყოველწლიურად ზრდის.

*სს "ყაზბეგის"*
*საზოგადოებასთან*
*ურთიერთობის სამსახური*

# რუსეთის ალტერნატიული ბაზრის ათვისება საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს

პირველი გვერდიდან

როგორც წესი, ასეთი სახის გამოფენები (ფორუმები) და ბაზრობები უამრავ მონაწილეს იზიდავს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან და ეს გამოფენები, იმავე დროს, შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ იაპონელებისათვის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის განკუთვნილ ღონისძიებებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ასეთ გამოფენებს განსაკუთრებით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. რადგან ეს არის კვების პროდუქტების ბიზნესში დაკავებულ მეწარმეთა ფართო წრისათვის გასაცნობად და გასასინჯად ქართული პროდუქტების მცირე დანახარჯებით გატანის განუმეორებელი შესაძლებლობა.

მთავარია, ნავსი გატყდეს და გახდეს ცნობილი, რომ ჩვენთან ნაწარმოები პროდუქცია სხვა ქვეყნებში წარმოებულს ხარისხით არ ჩამოუვარდება და არის ეკოლოგიურად სუფთა. ჩვენის ღრმა რწმენით, არ არის გამორიცხული, რომ მიზანდასახული და კვალიფიციური მარკეტინგისა და მენეჯმენტის შემთხვევაში სულ ცოტა დრო დასჭირდეს ჩვენში კვების პროდუქტების წარმოების აღორძინებას, მათ შეღწევას და მათზე მოთხოვნილების ზრდას, თუნდაც, იაპონურ ბაზარზე, რომელიც პროდუქტების ხარისხისადმი ლამის ყველაზე მკაცრი მოთხოვნებით გამოირჩევა.

ასეთი ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ქართული წარმოების კვების პროდუქტების 2003 წლის ტოკიოს ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვების პროდუქტების ყოველწლიურ გამოფენაზე და ოსაკის 2004 წლის ყოველწლიურ ბაზრობაზე წარდგენით გამოწვეული პირველი შედეგები.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ზოგიერთი სახის ქართული პროდუქტის (ღვინის, მინერალური წყლის, თაფლის და სხვ) ექსპერიმენტული მცირე პარტიის (2 კონტეინერის მოცულობით) იაპონიაში 6 თვის განმავლობაში მიმდინარე "EXPO 2005"-ის განმავლობაში განხორციელებული ექსპორტის წარმატება.

ქვემოთ გვინდა მოგითხროთ 2003 წლის ტოკიოს, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვების პროდუქტების გამოფენის შესახებ (იხ. ფოტოები), სადაც ჩვენს მიერ პირველად მოხდა ქართული პროდუქტების წარდგენა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ასეთი გამოფენა იმართება ყოველწლიურად, 7-9 ოქტომბერს და მისი მთავარი ორგანიზატორები არიან იაპონიის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, იაპონიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ტოკიოს მუნიციპალიტეტი. ამ გამოფენას 400 000 დამთვალიერებელი დაესწრო, რომელთაგან თითქმის ყველამ იხილა მოკრძალებული ზომების მქონე ქართული პავილიონი, სადაც წარმოდგენილი იყო გორის საკონსერვო ქარხნის "გორკონისა" და შპს "გრების" საკონსერვო პროდუქცია, შპს "წყალი მარგებელის" მინერალური წყლები "ნაბეღლავი" და "ზახმარო", მილდიანის ღვინის ქარხნის ღვინოები, ქართული მაწონი "მარიამი" და სხვა (იხ. ფოტო). წრიული დიაგრამა გვიჩვენებს, თუ როგორი იყო დამთვალიერებელთა ინტერესი ცალკეული სახის პროდუქტის მიმართ. როგორც დიაგრამიდან ჩანს, განსაკუთრებული ინტერესით ტყემლის საწებელი სარგებლობდა.

ქართული პავილიონისადმი ინტერესი გამოხატა და საკუთარი კოორდინატები დატოვა 120-მა კომპანიამ. მათგან, ერთი ნაწილისათვის, ჩვენი ქვეყნის სახელი უცნობი იყო და აღმოჩენას წარმოადგენდა, რომ არსებობს ასეთი სახელმწიფო. შესაბამისად, ისინი ტურისტებივით იქცეოდნენ და, ცხადია, მათი დაინტერესება სერიოზულად არ აღიქმებოდა.

მეორე ნაწილი წარმოადგენდა მცირე მეწარმეების კატეგორიას, როგორებიცაა, მაგალითად, მცირე მაღაზიათა მფლობელები და ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც პროდუქტების მცირე პარტიებით, ძირითადად, ადგილობრივი საბითუმო სავაჭრო ობიექტებიდან მარაგდებიან და პროდუქტების დიდი პარტიის შეკვეთის საშუალება არ გააჩნიათ.

გამომდინარე იქიდან, რომ ასეთ დიდ მანძილზე ერთ საზღვაო კონტეინერზე ნაკლები რაოდენობის მქონე პროდუქტების ექსპორტს აზრი არ აქვს, ჩვენთვის საინტერესო შემკვეთთა კატეგორიას ეს მეორე ნაწილიც არ წარმოადგენდა.

დამთვალიერებელთა მესამე ნაწილს შეადგენდა საშუალო და მსხვილ მეწარმეთა და საბითუმო მოვაჭრეთა კატეგორია, რომელთა წლიური ბრუნვა 300 მილიონიდან 1 მილიარდ აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. სწორედ ასეთ კომპანიათა კატეგორიასთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარება და გაღრმავება ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს. ჩვენი პავილიონით დაინტერესება გამოხატა და თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ცამეტმა ასეთმა კომპანიამ. მათი სია მოყვანილია მესამე სურათზე.

ყველა ზემოხსენებული ღონისძიება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო, გარდა ნიმუშების ღირებულებისა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათი იაპონიამდე ტრანსპორტირებისა, იაპონიაში საქართველოს ეროვნული კულტურული ცენტრის (ხელმძღვანელი ბატონი იუმიო აოკი) მიერ. იგივე ორგანიზაცია ახდენდა საექსპოზიციო პროდუქტების გამოფენის მონაწილეთათვის წარდგენას - მათი ხარისხისა და თვისებების შესახებ განმარტების მიცემას, მიწოდების პირობებისა და ექსპორტთან დაკავშირებული სხვა დეტალების გარკვევას. ბუნებრივია, რომ ასეთ ცალმხრივ და მხოლოდ იაპონელთა – მწარმოებელთა უშუალო მონაწილეობის გარეშე, თუნდაც ძალზე მონდომებულმა აქტივობამ საეჭვოა, ფინალურ შედეგამდე, ანუ დიდი შეკვეთების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე მიგვიყვანოს. ჩვენის ღრმა რწმენით, ქართული პროდუქცია ქართველმა მწარმოებელმა უნდა წარადგინოს და მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე ასეთ გამოფენებზე, ბაზრობებზე და სხვა სახის ფორუმებზე შეუძლებელია რაიმე სერიოზული შედეგის მიღწევა.

ეს გაითვალისწინა იაპონურმა მხარემ და გვთავაზობს მონაწილეობის მიღებას მომავალი წლის გამოფენათა სერიაში, რომელიც იწყება ტოკიოს FOODEX-2006-ით, რომელსაც 30 წელზე დიდი ხნის ისტორია გააჩნია და იმართება ყოველწლიურად, 14-17 მარტს. მასზე მსოფლიოს 75 ქვეყნის 2400 კომპანიის 90 000 პროფესიონალის მონაწილეობას ელოდებიან. შესაბამისად, კვების პროდუქტების ასორტიმენტი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან იქნება წარმოდგენილი.

მომდევნო ფორუმი, რომელიც მაისში უნდა გაიმართოს, ოსაკის ბაზრობაა. ის ფართოდ არის ცნობილი INTEX FESTA-ს სახელწოდებით.

სრული ინფორმაციის მიღება დაინტერესებული პირებისათვის შესაძლებელია შესაბამისი ვებსაიტების მეშვეობით.

ამ ორ ღონისძიებაზე სპეციალურად ქართული პავილიონების შესაქმნელად "საქართველოს ეროვნულ კულტურულ და სავაჭრო ცენტრს" დაბევებული აქვს, შესაბამისად, 45 და 25 კვადრატული მეტრი.

ამ ღონისძიებებში მონაწილეთა გამოვლენის მიზნით აქტიურად ჩაერთო თელავის რაიონის ხელმძღვანელობა გამგებლის, ბ-ნ გოჩა მამაცაშვილისა და მისი მოადგილის, ბ-ნ ვასილ დავითაშვილის სახით. ინტერესი გამოთქვა საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო პალატამაც. თელავურმა ღვინის ქარხნებმა შპს "შუმმა" და შპს "ძველმა მარანმა" უკვე განაცხადეს FOODEX 2006-ში მონაწილეობის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ "ძველი მარანი"-ს პროდუქცია მთლიანად უძველესი, ქართული წესით და მხოლოდ ქვევრის, საწნახელისა და სხვა ბუნებრივი, ტრადიციული აქსესუარების გამოყენებით იქნება დამზადებული.

იმედი გვაქვს, რომ კვების პროდუქტებისა და სასმელების არც სხვა მწარმოებლები დატოვებენ უყურადღებოდ იაპონელთა ინიციატივას და შეეცდებიან, არ გაუშვან ხელიდან შესაძლებლობა, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის, ჩვენთვის ტრადიციული კვების პროდუქტების წარმოების აღორძინებისა და გაფართოების საწინდარი შეიძლება გახდეს.

# რატომ შეიძლება დაინტერესდნენ იაპონელები ქართული პროდუქტებით?

*მართალია, იაპონიაში ჯერ მხოლოდ ერთეულებმა იციან საქართველოს შესახებ, მაგრამ, როგორც იუმიო აოკი, იაპონიაში საქართველოს ეროვნული კულტურისა და ვაჭრობის ცენტრის წარმომადგენელი ამბობს, ძალიან მალე მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ქართული თაფლი, ღვინო, მაწონი და მინერალური წყლები - ეს ის პროდუქტებია, რომლებიც, ბატონი იუმიოს მტკიცებით, იაპონელებს ძალიან მოეწონებათ და მათ საქართველოსადმი ინტერესს გაუღვიძებს. ის ამ დღეებში საქართველოში მორიგი ვიზიტით იმყოფებოდა. "24 საათი" თბილისიდან გამგზავრებამდე იუმიო აოკის ესაუბრა.*

მარიამ ჭაჭვაძე

**- რა არის ამჟერად თქვენი საქართველოში ჩამოსვლის მიზეზი?**

- ის, რომ თქვენთვის რამდენიმე კარგი ამბავი ჩამომეტანა. პირველი რიგში, იაპონიის მხარე თბილისის მერიას რამდენიმე სამედიცინო ავტობუსს გადასცემს, რომლებიც აღჭურვილია რენტგენის თანამედროვე აპარატებით. ეს არის ერთგვარი მოძრავი დიაგნოსტიკური ცენტრი. ჩემი აქ ჩამოსვლის მეორე მიზეზი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრსა და იაპონიის შესაბამის კულტურულ ცენტრებს შორის ურთიერთობების გაღრმავების შესახებ მოლაპარაკებების წარმართვა და თეატრის დირექტორთან შეხვედრა.

კიდევ არის ერთი უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც მე საქართველოში ჩამოვედი - შეხვედრა ქართველ მწარმოებლებთან და მათთვის იმის ახსნა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია კვების მრეწველობის გამოფენას, რომელიც იაპონიაში ყოველ წელიწადს იმართება. ცნობისათვის, ეს არის ტრადიციული ყოველწლიური გამოფენა, ყველაზე წარმომადგენლობითი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მომავალს წელს ეს, რიგით 31-ე გამოფენა მარტში ჩატარდება და მასში მონაწილეობას ღებულობს 75 ქვეყანა. გაისად ამ გამოფენის ორგანიზატორები დაახლოებით 90 ათასამდე პროფესიონალ დამთვალიერებელს ელოდებიან.

**- რატომ უნდა მიიღონ ქართველმა მეწარმეებმა ამ გამოფენაში მონაწილეობა?**

- ამ გამოფენაზე არის ძალიან დიდი შანსი, რომ ქართული წარმოების პროდუქტებმა დიდი წარმატება მოიპოვოს. იმ ქართულ კომპანიას, რომელიც დაინტერესდება და გამოფენაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს, სტანდარტული პირობებისა და მომსახურების გარდა, სხვა დამატებითი მომსახურებაც მიეწოდება. ჩვენი ცენტრი ამ ყველაფერს უძღვება შემოქმედებითი თვალსაზრისით, რაშიც, პირველ რიგში, სპეციალური რეკლამა იგულისხმება. ქართული პროდუქტი ამ გამოფენაზე წარდგენილი იქნება, როგორც ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტი. სპეციალურად შეიქმნება იაპონურ ენაზე დაბეჭდილი ტექსტები, სადაც აღწერილი იქნება ამ პროდუქტის საუკეთესო მხარეები. ეს სარეკლამო ბროშურები გამოფენის ყველა მონაწილეს უფასოდ დაურიგდება.

აუცილებელია, იაპონიაში ხალხს შეექმნას წარმოდგენა (და ჩვენ სწორედ ამ კუთხით ვმუშაობთ), რომ ქართული პროდუქტები არის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტები. ის, ვინც საქართველო იცის, აქვს წარმოდგენა, რომ ქართველები ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტებს მიირთმევენ და სწორედ ამის გამო ცხოვრობენ დღეგრძელად. ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტებში, პირველ რიგში, ვგულისხმობ თაფლს, მაწონს, ღვინოს, მინერალურ წყლებსა და ზოგიერთ ბოსტნეულს.

**- კიდევ რას აკეთებს თქვენი ცენტრი საქართველოს პოპულარიზაციისთვის?**

- ჩვენი ცენტრი იაპონიაში საქართველოზე საუბრისა და იაპონელი ხალხისთვის მისი გაცნობის დროს ყურადღებას ამახვილებს თქვენი ქვეყნის განუმეორებელ ბუნებაზე, კულტურასა და ეკოლოგიურ სისუფთავეზე. ეს კი კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმას, რომ ქართული პროდუქტები ქიმიურ ინგრედიენტებს და დანამატებს არ შეიცავს. ვფიქრობ, თქვენს ქვეყანაში წარმოებულ პროდუქტებს სწორედ ეს უპირატესობა აქვს. ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემის შესახებ მინდა გიამბოთ. წლევანდელ გამოფენაზე, ორგანიზატორების დაკვეთით ჩატარდა კვლევა: რა ტიპის პროდუქტებით დაინტერესდნენ ყველაზე მეტად დამთვალიერებლები. აღმოჩნდა, რომ რეიტინგით პირველ ადგილზე (30 პროცენტით) იყო ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვების პროდუქტები, რომელსაც მოყვებოდა ალკოჰოლური სასმელები. ეს კვლევა აშკარად მიუთითებს იმას, რომ თქვენს ქვეყანას ამ მხრივ უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

უახლოეს მომავალში ჩვენ იაპონიიდან რამდენიმეკაციანი დელეგაციის ჩამოყვანას ვაპირებთ, რათა მათ საკუთარი თვალით ნახონ ის ქვეყანა, რომლის შესახებაც ჩვენი ცენტრი დაულალავად, ბევრს საუბრობს, ნახონ და თავად შეაფასონ ის პოტენციალი, რაც თქვენს ქვეყანას გააჩნია. ვფიქრობ, ასეთი ტურები, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ქვეყანაში იაპონელი ტურისტების მომრავლებას.




## სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული საწარმოო ლაბორატორიული კორპუსისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის რეალიზების თაობაზე

*ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:*

- გამყიდველი - სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".
- მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი - ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24,
ტელ. 77 90 02.
- აუქციონის ჩატარების თარიღი - გაზეთში გამოცხადების დღიდან 30-ე დღის დამთავრების შემდეგ;
- ქ. თბილისში, დელისის მე-3 შესახვევ N22-ში მდებარე ლაბორატორიული კორპუსი მასზე დამაგრებულ მიწის ფართობთან ერთად. საწყისი ფასი განსაზღვრულია 7380000 (შვიდი მილიონ სამას ოთხმოცი ათასი) ეროვნულ ვალუტაში. საწყის ფასში გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი.
- შენობა არის 6 სართულიანი, შენობის მთლიანი ფართობი შეადგენს 8104 მ2-ს, მასზე დამაგრებული მიწის ფართობი - 7644 მ2, კორპუსის მშენებლობა დაწყებულია 1982 წელს. ამასთან ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ ადგილზე გაეცნოს სარეალიზაციო ქონებას.
- აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება წარმოებს გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დღის 17 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.
- "ბეს" სიდიდე განისაზღვრება გასაყიდი ქონების საწყისი გასაყიდი ღირებულების არანაკლებ 20%-ის ოდენობით. თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს ანგარიშზე:

*სს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი.*
*საიდენტ. კოდი 204900919;*
*ა.ანგარიში 007609318*

- "ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ღირებულების 5%-ს.

*სააუქციონო პირობები:*

- აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე ნოტარიუსით დამოწმებული მინდობილობით განსაზღვრულ პირს, თუ იგი მოქმედებს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის სახელით;
- აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს გაზეთში გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 სთ-დან 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24, მე-4 სართული, ოთახი N2.
- აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია სააუქციონო კომისიის მიერ გადაეცემა კორპორაციას, რაც მტკიცდება 10 დღის ვადაში.
- აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში "მყიდველმა" ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეიტანოს ნაღდი ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ დასახელებულ საბოლოო ფასს.
- აუქციონის შედეგების ოქმზე გამარჯვებული მონაწილის მიერ ხელმოწერის უარის შემთხვევაში მას ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება;
- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონი არ შედგა, იმ მიზეზით, რომ აუქციონის "მონაწილეები" ესწრებოდნენ აუქციონს და არ მიიღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა, მაშინ მონაწილეებს შეტანილი "ბე" არ უბრუნდებათ;
- აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი "ბე" ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებაში;
- აუქციონში დამარცხებულ "მონაწილეს" აუქციონის შედეგის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში "მონაწილის" მოთხოვნით "ბე" უბრუნდება "ბეს" შეტანის ქვითრის წარდგენის შემდეგ.

*საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:*
- განაცხადი, დამტკიცებული ფორმის მიხედვით (აუქციონში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა ადგილზე);
- "ბეს" შეტანის ქვითარი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, თუ ფიზიკური პირია, იურიდიული პირის შემთხვევაში ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით;
- აუქციონის ფორმით გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ "მყიდველს" (აუქციონში მონაწილეს), რომელიც ვაჭრობის პროცესში "გამყიდველს" ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

*სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".*

# NO COMMENT

პირველი გვერდიდან

მაგრამ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესამსახური გვამცნობს, ქურასბედიანი დანაშაულებრივ გარიგებაში შევიდა იუსტიციის სამინისტროს საბადრაგო სამსახურის თანამშრომლებთან, რომლებმაც, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, იგი გამოიყვანეს თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოდან, სადაც ის ორიოდ დღის წინ გადაიყვანეს, და ბიძასთან, ასევე კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტთან, ტარიელ ქურასბედიანთან ერთად, მისივე მანქანით გოგირდის აბანოებში წაიყვანეს.

ეს მეტად საინტერესო ოფიციალური ინფორმაცია გვირგვინდება ცნობით იმის შესახებ, რომ პატიმარ ქურასბედიანის დაკავებისას, იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებმა და კრიმინალურმა ავტორიტეტებმა სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს.

არსებობს მოვლენები, ფაქტები, რომელთა არსში გასარკვევად საჭირო არ არის არც დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, არც ექსპერტთა შეფასებები და არც არავითარი ანალიზი ან კომენტარი. ამგვარი მოვლენების თუ ფაქტების მიმართ დამოკიდებულების გამოსავლენად არც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაა საჭირო, არც საქმეში ჩახედულთა აზრის მოსმენა და, წარმოიდგინეთ, არც სხვადასხვა პოზიციაზე მყოფ ადამიანთა დებატები – იმ უბრალო მიზეზით, რომ ამ შემთხვევებში განსხვავებული პოზიციების არსებობა, თითქმის, წარმოუდგენელია.

სწორედ ასეთ ფაქტებს უნდა მივაწეროთ ის, რაც გუშინ "ჭრელ აბანოებში" მოხდა და რისი ანალოგიაც, საეჭვოა, რომელიმე, თუნდაც ნაკლებგანვითარებული ქვეყნის სასჯელაღსრულებითი სისტემის ისტორიაში ვიპოვოთ.

თბილისის ცენტრში შვიდწლიან პატიმრობამისჯილი პირის დაკავება, რომელსაც ციხის ბადრაგი, პირადი დაცვის სახით, არა მარტო თან ახლავს, არამედ პოლიციასაც კი უწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას, კომენტარს ნამდვილად არ საჭიროებს.

ფაქტი თავისთავად მეტყველებს, რა ხდება იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში – ამას აღარც მოკვლევა სჭირდება, აღარც გამოძიება. ცხადია - პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ამდენი ხნის მანძილზე, რეფორმებზე ამდენი საუბრის შემდეგ, ციხეებში სიტუაცია უცვლელია, შესაძლოა, ყველაზე ნაკლებად იმ ბადრაგს ეკისრება, რომელმაც კრიმინალური ავტორიტეტი აბანომდე მიაცილა ან საბადრაგო სამსახურის იმ რამდენიმე ხელმძღვანელს, რომლებიც გუშინ ღამით დააკავეს.

საჭიროდ და აუცილებლად ამ შემთხვევაში ერთადერთი რამ შეიძლება ჩაითვალოს: ის, რაც გუშინ მოხდა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ მონიტორინგის საბჭოების მიერ წარდგენილი ბრალდებები კი არ არის, რომლებსაც შეიძლება პასუხი გასცე ან კონტრბრალდებები წამოაყენო, არამედ ფაქტი, რომელსაც ვერსად წაუხვალ და, რომელმაც, წესით, ქვეყნის ხელისუფლებას უნდა აპოვნინოს საკუთარ თავში ძალა საიმისოდ, რომ დაივიწყოს პირადი ურთიერთობები, პირადი სიმპათიები და იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უმაღლეს ეშელონებში ცვლილებები მოახდინოს. ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში გახდება საჭირო, თუ თავად ეს ადამიანები არ გადადგამენ უკანასკნელ ნაბიჯს ღირსების შესანარჩუნებლად და უარს არ იტყვიან იმ თანამდებობებზე, რომლებზეც აშკარად ვერ გაამართლეს.

# თავისუფლების მოედანზე ნასროლი ყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში იყო

*10 მაისს, "თავისუფლების მოედანზე" აშშ-ს პრეზიდენტის გამოსვლის დროს მომხდარ ინციდენტში ბრალდებულ ვლადიმერ არუთინიანის სასამართლო პროცესზე გუშინ აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტთა ჯგუფის წევრები დაკითხეს.*

ბრალდების მხარემ სასამართლოზე FBI-ს ექვსი ექსპერტი გამოიძახა. ბრალდების მიერ ასევე, გამოძახებულია ქართველ ექსპერტთა ჯგუფიც, რომლებმაც შემთხვევის ადგილიდან და არუთინიანის საცხოვრებელი კორპუსის სარდაფიდან ამოღებული მტკიცებულებების ექსპერტიზა ჩაატარეს და დასკვნა მოამზადეს.

სასამართლო პროცესზე გუშინ დაკითხულმა ფედერალური ბიუროს ერთ-ერთმა ექსპერტმა თომას მანელიმ განაცხადა, რომ მათ საქართველოს მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე, დაევალათ შეესწავლათ



მტკიცებულებები და მოემზადებინათ დასკვნა. კონკრეტულად საუბარი იყო 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე აღმოჩენილ ხელყუმბარაზე. ამერიკელ ექსპერტებს უნდა დაედგინათ, იყო თუ არა ხელყუმბარა სროლისას საბრძოლო მდგომარეობაში. FBI-ს ექსპერტის განცხადებით, ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში იყო და მხოლოდ იმიტომ არ აფეთქდა, რომ მასზე ცხვირსახოცი იყო შემოხვეული, რის გამოც, სასხლეტი წვეტი არასაკმარისი ძალით დაეშვა ნალმკაპსულისკენ.

თომას მანელის განმარტებით, ცხვირსახოცმა ყუმბარის ფუნქციონირებას ხელი შეუშალა. **"ამ ხელყუმბარის აფეთქებისას, ადამიანები სხეულის დამწვრობას 20 მეტრის რადიუსში მიიღებდნენ. ვინაიდან, ამგვარი ტიპის ხელყუმბარა აფეთქების შემთხვევაში ფოლადის 10 ნაწილად იმსხვრევა. სავარაუდოდ, პოტენციურ მსხვერპლთა რაოდენობა დიდი იქნებოდა",** - განაცხადა FBI-ს ექსპერტმა.

პროცესზე დაიკითხა ასევე, არუთინიანის რამდენიმე მეზობელი და რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალი, სადაც არუთინიანს ოპერაცია გაუკეთდა. მედ-პერსონალის განცხადებით, არუთინიანმა ნარკოზიდან გამოსვლის შემდეგ, თავისი სურვილით დაიწყო ლაპარაკი და აღიარებდა თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარის სროლის ფაქტს და აგრესიას გამოხატავდა ბუშის წინააღმდეგ.

საქალაქო სასამართლო მოწმეთა, დაზარალებულთა და ექსპერტთა დაკითხვის შემდეგ დაცვის პოზიციას მოისმენს. როგორც ცნობილია, თავისუფლების მოედანზე, 10 მაისს მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილი ვლადიმერ არუთინიანი, 20 ივლისს, შს სამინისტროს მიერ ჩატარებული მოულოდნელი სპეცოპერაციის შედეგად, ვაშლიჯვარში დააკავეს. დაუგეგმავი სპეცოპერაციის დროს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი ზურაბ ქვლივიძე დაიღუპა.

"მე ვესროლე ყუმბარა ბუშს"... – განაცხადა დაჭერის დღესვე ვოვა არუთინიანმა, რომელიც ახლა ფაქტობრივად, უარყოფს ბრალდებებს, ქართულ მართლმსაჯულებას უნდობლობას უცხადებს და ამბობს, რომ მისთვის გამოსატანი განაჩენი უკვე დაწერილია. იგი სასამართლო პროცესზე საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევას ითხოვს.

*24 საათი*

# კოტე კემულარია ზატულინს „შავ იუმორს" უწუნებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, კოტე კემულარია „შავ იუმორს" უწოდებს ოსი სეპარატისტების წარმომადგენლის დიმიტრი მედოევის მიერ მოსკოვში გაკეთებულ განცხადებას საქართველოში აშშ-ს საიდუმლო ციხეების არსებობისა და იქ ადამიანთა წამების შესახებ.

**„ეს განცხადება ზატულინის „ბუნაგში" მომზადდა და არის უბადრუკი რეაქცია ეუთო-ში საქართველოს წარმომადგენლობის მიერ მიღწეული წარმატების გამო. 60-ზე მეტმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ აღიარა საქართველო ევროპის ნაწილად და ცნო საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივა ცხინვალის რეგიონში, რამაც ზატულინები და ბაბურინები გააღიზიანა",** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

მისი თქმით, ეუთოში მიღწეულ წარმატებას აუცილებლად მოყვება საქართველოსა და მთლიანად კავკასიის რეგიონში ეუთო-ს გააქტიურება, რაც კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საფუძველია.

*24 საათი*

# ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლება დეზინფორმაციას ეწევა

*ცხინვალის რეგიონის თვითმარქვია ხელისუფლებამ ქართველი მძევლების გათავისუფლების შესახებ განცხადება გაავრცელა. ამავე დროს, ცხინვალის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, არცევის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილეს ვლადიმერ გუძიევს, რომლის დაკავებასაც დაუკავშირეს ქართველი მძევლების აყვანა, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.*

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში ცხინვალის დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, არცევის პოლიციის უფროსის მოადგილის ვლადიმერ გუძიევის სასამართლო პროცესი 2 საათით დაგვიანებით დაიწყო.

მოსამართლის, გიორგი ჩემიას გადაწყვეტილებით, სასამართლო პროცესი დახურულ კარს მიღმა წარიმართა და ჟურნალისტებს მასზე დასწრების საშუალება არ მიეცათ.

როგორც ცნობილია, ვლადიმერ გუძიევი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ 6 დეკემბერს, ერგნეთის საგუშაგოსთან, ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დააკავა. ორმხრივი სროლის შედეგად გუძიევი დაიჭრა. იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩხრეკის შედეგად მას დიდი ოდენობით ყალბი დოლარები, ცეცხლსასროლი იარაღი და ხელყუმბარა აღმოაჩნდა.

სახელმწიფო ბრალმდებლის ვალერი შავგულიძის განცხადებით, ვლადიმერ გუძიევს ბრალი სამი მუხლით - "ყალბი ფულის დამზადება-გასაღების", "ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარების" და "პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის" მუხლებით აქვს წაყენებული. აქედან, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას "ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარება" წარმოადგენს და 8-15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამ ბრალდებებიდან გამომდინარე, პროკურორის აზრით, სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ მოსამართლე დააკმაყოფილებდა ბრალდების მხარის პოზიციას და ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას შეუფარდებდა.

აღსანიშნავია, რომ გუდიევისთვის სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი ელენე ქობალია სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებს.

მისი თქმით, რადგან ბრალდებული დუმილის უფლებით სარგებლობს, გადაწყვეტილების გასაჩივრებას მხოლოდ მის მიერ ჩვენების მიცემის ან ახალი გარემოების აღმოჩენის შემთხვევაში ექნება აზრი.

**"თუ მის მიერ ჩვენების მიცემის შემდეგ, საქმეში თუ ახალი გარემოებები დასახელდება, მხოლოდ ამის შემდეგ გავასაჩივრებთ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ ვერდიქტს,"** - განაცხადა ქობალიამ.

გუშინ კი, სამთვიან პატიმრობა მისჯილი გუდიევი სამხედრო ჰოსპიტლიდან იუსტიციის სამინისტროს ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

რაც შეეხება გუდიევის დაპატიმრებისთანავე, ოსების მიერ ოთხი ქართველი პოლიციელის მძევლად აყვანას და შემდეგ მათ გათავისუფლებას, სეპარატისტული ცხინვალის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ოსურმა მხარემ ქართველი მძევლები უბრალოდ კი არ გაათავისუფლა, არამედ ქართველების მიერ დაკავებულ ოსებში გაცვალა.

**"ოთხი ქართველი პოლიციელი ლენინგორის რაიონის ადმინისტრაციის ოთხ თანამშრომელზე გაიცვალა",** - ნათქვამია სეპარატისტთა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ოსური მხარის ცნობით, ქართველმა პოლიციელებმა 6 დეკემბერს, ახალგორის რაიონში, რომელსაც ოსები "ლენინგორად" მოიხსენიებენ, ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჰამლეტ დრიაევი და მისი სამი თანამშრომელი - ალან ხოზიევი, ხაზბი ძუკაევი და თეიმურაზ ავლოხოვი დააკავეს.

**"დაკავებულთა გაცვლაზე კონფლიქტის ზონაში დაძაბული ვითარების განმუხტვის მიზნით დავთანხმდით. გაცვლა ქართული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებისა და შერეული სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელების შუამავლობის შედეგად მოხდა"**, - ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებით გავრცელებულ ფაქტებს არც შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის განყოფილებაში და არც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში არ ადასტურებენ.

სამხარეო პოლიციაში აცხადებენ, რომ ქართველი მძევლების გათავისუფლების შესახებ მოლაპარაკებებს პოლიციის უფროსის მოადგილე შალვა ტრამაკიძე აწარმოებდა და არავის გაცვლაზე საუბარი არ ყოფილა.

თავდაცვის სამინისტროში კი ირწმუნებიან, რომ ახალგორის რაიონში სამხედრო პოლიციას არავითარი სპეცოპერაცია არ ჩაუტარებია და ცხინვალის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა სიცრუეა

*24 საათი*

## მოკლედ

### მოსამართლეთა საქმის განხილვა შაბათს გაგრძელდება

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის სხდომა შაბათს, 10 დეკემბერს გაგრძელდება. სავარაუდოდ, კოლეგია ამ დღეს დაიწყებს 18 მოსამართლის დისციპლინური დევნის საკითხის არსებით განხილვას. მოსამართლეებს ბრალი პროცესუალურ დარღვევებში ედებათ. მოსამართლეებს შორის არის ის სამი მოსამართლეც (ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა და დავით სულაქველიძე), რომლებიც დაუფარავად საუბრობენ სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლის ფაქტებზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის სხდომა ამ საკითხზე 5 დეკემბერს დაიწყო. რიგით მესამე სხდომა კი 7 დეკემბერს განახლდა. თუმცა, იმის გამო, რომ სხდომაზე მოსამართლეთა დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, იგი შაბათისთვის გადაიდო.

*მედიანიუსი*

### ასლან აბაშიძის საკასაციო საჩივარს დღეს განიხილავენ

დღეს აჭარის უმაღლესი სასამართლო ავტონომიის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის საკასაციო საჩივარს განიხილავს. აბაშიძის ადვოკატის შალვა შავგულიძის ცნობით, საკასაციო საჩივრით ისინი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 5 დეკემბრის გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, რომლითაც აბაშიძეს დაუსწრებლად სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. **"დაცვა ამ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მისი დაკმაყოფილება ნაკლებად სავარაუდოა",** - აღნიშნა ადვოკატმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ასლან აბაშიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით გენერალურმა პროკურატურამ მიმართა. პირველი ინსტანციის სასამართლომ აბაშიძეს დაუსწრებლად სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, რომლის საფუძველზეც, გენპროკურატურამ პროცესუალური ნორმების გათვალისწინებით ძებნა გამოაცხადა.

გამოძიების მასალებით, ასლან აბაშიძეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და დიდი ოდენობით თანხების მითვისება-გაფლანგვაში ედება ბრალი. პროკურატურა მას 100 მილიონ აშშ დოლარამდე ფინანსურ მაქინაციებში ედავება.

*პრაიმ-ნიუსი*


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)**

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ბორჯომის რაიონის, ტაბაწყურის საკრებულოს სოფელ მოლითის სკოლის რეაბილიტაცია.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ბორჯომის რაიონის ტაბაწყურის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ტაბაწყურის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ბორჯომის რაიონი, ტაბაწყურის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი: არმენ არუთინიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **12** დეკემბრიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ბორჯომის რაიონი, ტაბაწყურის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი: არმენ არუთინიანი, საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2006 წლის 10 იანვრის 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



United Nations Development Programme
UNDP Georgia

UN DP

გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი პროექტის GEO/00036279 "საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ეფექტურობისა და ტრანსპარენტობის გაუმჯობესება" ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს:

"ციფრული საგამომცემლო-საწარმოო სისტემის მიწოდება საქართველოს პარლამენტისათვის".

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (2005 წლის 12 დეკემბრიდან 16 დეკემბრამდე, 12:00-13:00სთ) ან ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

1. ქ.თბილისი, ერისთავის ქ. № 9, გაეროს სახლი, ოფისი 112;
   საკონტაქტო პირი: პროექტის აღმასრულებელი კოორდინატორი, ქ-ნი მანანა სალუქვაძე; ტელ: 253203
2. http://www.undp.org.ge/news/tenders.html
3. http://www.parliment.ge (ინფორმაცია -> ტენდერები)



**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ცენტრი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლინის" შენობის ხელი საროული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0177 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

მოკლედ

### მარადონა კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს

დიეგო მარადონამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიელო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრაზე. პელემ, ფრანც ბეკენბაუერმა, ლოთარ მათეუსმა და იოჰან კრუიფმა მიწვევა მიიღეს. "ჩვენ მოვიწვიეთ ის და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას შეტყობინება გავუგზავნეთ, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ. გული მწყდება, რომ მარადონა ლაიფციგში არ ჩამოვა", - განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა. მარადონას უარის მიზეზი უცნობია.

### დელ პიერომ რეკორდი გაიმეორა

ტურინის "იუვენტუსის" ფორვარდმა ალესანდრო დელ პიერომ ჩემპიონთა ლიგის მატჩში "რაპიდის" კარში ორი გოლი გაიტანა, რითაც ერთი საკლუბო რეკორდი გაიმეორა. ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებულ თავის 77-ე მატჩში ტურინული კლუბის ლიდერი "იუვენტუსის" მე-300 გოლის ავტორია ყველაზე პრესტიჟულ ევროპულ ტურნირზე. საიუბილეო გოლი მან 35-ე წუთზე გაიტანა. შვიდი წუთის შემდეგ 31 წლის დელ პიერომ საგოლე პასი მიაწოდა ზლატან იბრაგიმოვიჩს, ხოლო კიდევ სამ წუთში შვედმა ფორვარდმა ვალი დააბრუნა და დელ პიეროს საშუალება მისცა დუბლი შეესრულებინა. ეს გოლი დელ პიეროსთვის 182-ე გახდა "ზებერი ქალბატონის" შემადგენლობაში. ასე რომ, დელ პიერომ გაიმეორა კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის ჯამპიერო ბონიპერტის მიღწევა. თუმცა, ფორვარდმა რეკორდი საკმაოდ მოკრძალებულად მიიღო. "გოლების რაოდენობა ადამიანს დიდ ფეხბურთელად არ აქცევს, - განაცხადა დელ პიერომ, - ამის მიუხედავად, ძალიან მიხარია, რომ "იუვენტუსის" შემადგენლობაში ამდენი გოლის გატანა მოვახერხე. ახლა მე მეტოქის კარს რეგულარულად ვაწიოკებ და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება".

### ჩვენი ადგილი მეექვსე კალათშია

უეფამ გამოაქვეყნა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის განთესილთა ნუსხა. კენჭისყრა 27 იანვარს გაიმართება. ავსტრია და შვეიცარია, როგორც ტურნირის მასპინძლები, ავტომატურად მოხვდებიან ფინალურ ეტაპზე. დანარჩენი 50 ქვეყანა შვიდ შვიდგუნდიან ქვეჯგუფად დაიყოფა (მხოლოდ ერთ ჯგუფში იქნება რვა გუნდი). ფინალური ეტაპის საგზურს ჯგუფების ორ-ორი გამარჯვებული მოიპოვებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა თავისი უნიათო თამაშის წყალობით ბოლოსწინა, მეექვსე კალათში ამოყო თავი და წინ გაუშვა ისეთი გუნდები, როგორებიც არიან ალბანეთი, ესტონეთი და ლიტვა.

**პირველი კალათა:** საბერძნეთი, ჰოლანდია, პორტუგალია, ინგლისი, ჩეხეთი, საფრანგეთი, შვედეთი.

**მეორე კალათა:** გერმანია, ხორვატია, იტალია, თურქეთი, პოლონეთი, ესპანეთი, რუმინეთი.

**მესამე კალათა:** სერბეთი, რუსეთი, დანია, ნორვეგია, ბულგარეთი, უკრაინა, სლოვაკეთი.

**მეოთხე კალათა:** ბოსნია, ირლანდია, ბელგია, ლატვია, ისრაელი, შოტლანდია, სლოვენია.

**მეხუთე კალათა:** უნგრეთი, ფინეთი, ესტონეთი, უელსი, ლიტვა, ალბანეთი, ისლანდია.

**მეექვსე კალათა:** საქართველო, მაკედონია, ბელორუსი, სომხეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, კვიპროსი, მოლდოვა.

**მეშვიდე კალათა:** ლიხტენშტაინი, აზერბაიჯანი, ანდორა, მალტა, ფარერები, ყაზახეთი, ლუქსემბურგი, სან-მარინო.

### მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატის განრიგი

ფიფამ გამოაქვეყნა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მონაწილე გუნდების სათამაშო განრიგი. პირველ ეტაპზე, 11 დეკემბერს, ერთმანეთს შეხვდებიან "ალ-იტიხადი" (საუდის არაბეთი) და "ალ-ახლი" (ეგვიპტე). "სან პაულუ" ტურნირს 14 დეკემბერს ნახევარფინალიდან ჩაერთვება და ამ წყვილში გამარჯვებულს შეხვდება. "ლივერპული" 15 დეკემბერს "სიდნეისა" (ავსტრალია) და "დეპორტივოს" (კოსტა-რიკა) შორის გამარჯვებულს გაეჯიბრება. ფინალური მატჩი 18 დეკემბერს გაიმართება.

### დიუფს მართვის მოწმობა წაართვეს

ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის "ბოლტონის" ფორვარდს ელ ჰაჯი დიუფს ერთი წლით მართვის მოწმობა წაართვეს. 24 წლის სენეგალელი 3000 გირვანქა სტერლინგითაც დაჯარიმდა. საჭესთან დაჯდომამდე სამი საათით ადრე დიუფმა სამი ჭიქა შამპანური მიირთვა.

### რედნაპი "პორტსმუთში" დაბრუნდა

ჰარი რედნაპი "პორტსმუთის" მწვრთნელად დაინიშნა. ამ კლუბში რედნაპი ერთი წლის წინათ მუშაობდა, ვიდრე "საუთჰემპტონში" გადავიდოდა. გუშინ ახალი მწვრთნელი გუნდს წარუდგინეს. კლუბში ის გათავისუფლებულ ალენ პერენს შეცვლის. კონტრაქტის გაწყვეტისთვის "პორტსმუთმა" "საუთჰემპტონს" კომპენსაცია გადაუხადა.

### ედმუნდო "პალმეირასში" ითამაშებს

ედმუნდომ "პალმეირასთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. ადრე ფეხბურთელი "ფიგუირენსეს" ღირსებას იცავდა. "პალმეირასში" კი ედმუნდო 1990-იან წლებში თამაშობდა და კლუბთან ერთად ბრაზილიის ჩემპიონის ორი ტიტული მოიგო. ამ სეზონში "ფიგუირენსეს" შემადგენლობაში მან 15 გოლი გაიტანა, 7 გოლით ნაკლები, ვიდრე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა რომარიომ.

### აგასი ავსტრალიის ღია ჩემპიონატს გამოტოვებს

ვეტერანმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ შეიძლება ავსტრალიის ღია ჩემპიონატი გამოტოვოს. მან დღემდე ვერ მოიშუშა ტრავმა. თვითონ სპორტსმენმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით ზუსტად ვერაფერს იტყვის. აგასიმ ჯერ კიდევ ოქტომბერში იტკინა ფეხი, როცა მეგობართან ლას-ვეგასში თამაშობდა. "ორი კვირის განმავლობაში სიარულსაც ვერ ვახერხებდი", - განაცხადა აგასიმ. ამ ტრავმის გამო მასტერსის ტურნირზე მან მხოლოდ ერთი მატჩის ჩატარება შეძლო.

### ოლიმპიური ჩირაღდანი აპენინებს ეწვია

იტალიის პრეზიდენტმა კარლო აძელი ჩამპიმ ოლიმპიური ცეცხლი მარათონულ გარბენში გადასცა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს სტეფანო ბალდინის, რომელმაც დაიწყო კიდეც ოლიმპიური ესტაფეტა იტალიის ტერიტორიაზე. პრეზიდენტის სასახლეში გამართული საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ბალდინიმ ოლიმპიური ჩირაღდნით ტრევის შადრევნამდე ირბინა. ბალდინის შემდეგ ჩირაღდანს კიდევ ერთი მარათონელი სტეფანო დონატი წაიღებს.


**სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი აცხადებს კონკურსს სავაჭრო წარმომადგენლის შესარჩევად**

**ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:** კანდიდატს მოეთხოვება მოახდინოს კომპანია ალდაგის დაზღვევის პროდუქტების რეალიზაცია კომპანიის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. ვალდებულია დაიცვას კომპანიის იმიჯი და მომსახურების დამტკიცებული სტანდარტები იურიდიულ და კერძო პირებთან მუშაობისას.

**ანაზღაურება გამომუშავებით.**

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**:
- უმაღლესი განათლება;
- სამუშაო გამოცდილება 5-7 წლამდე, სასურველია გაყიდვების და/ან მარკეტინგის განხრით;
- სასურველია ფლობდეს რუსულ და ინგლისურ ენებს.

შერჩეულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ სპეციალურ ტრენინგი სადაზღვევო კომპანია ალდაგში.

**განცხადების წარდგენის პირობები**: ავტობიოგრაფიული მონაცემები, 1 ფოტოსურათი და წერილი, სადაც თქვენს მიერ დასაბუთებული იქნება თქვენი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა სადაზღვევო აგენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, შეგიძლიათ გამოგზავნოთ შემდეგ რეკვიზიტებზე: ელ-ფოსტა: HR@aldagi.com.ge ან მისამართზე: მელიქიშვილის გამზ.16.

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 16 დეკემბერი.**


ფეხბურთი

# ევროტაბლოიდური ინტეგრაციის მსხვერპლნი

*ჩემპიონთა ლიგის ეტაპის მთავარ სენსაციად თავისუფლად შეიძლება მოვნათლოთ D ჯგუფში განვითარებული მოვლენები. სენსაციის "ავტორია", ერთი მხრივ, "ბენფიკა", მეორე მხრივ - "მანჩესტერ იუნაიტედი". "ბენფიკა" იმიტომ, რომ "მანიუზე" გაიმარჯვა, "მანჩესტერ იუნაიტედი" კი იმიტომ, რომ "ბენფიკასთან" წააგო. მოვლენათა ასეთ განვითარებას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. ბრიტანული ტაბლოიდები ახლა ზარალს ითვლიან. ევროტაბლოიდურმა ინტეგრაციამ ქართველი "ტოტალიზატორშიკებიც" აზარალა. გამოსავალი? ბრიტანული კანტორები ალექს ფერგიუსონის გადადგომას მოითხოვენ, ყოველ შემთხვევაში, ცხელ გულზე ასე ფიქრობდნენ.*

ბიგა გურასაშვილი

მანჩესტერელებს ისედაც გულზე არ ეხატებოდათ სათაყვანებელი კლუბის ამერიკული ხელმძღვანელობა და ახლა – მით უმეტეს.

ბრიტანულ კლუბს ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში დაატყდა თავს უბედურება, როდესაც გუნდის სადავეები ხელში ჩაიგდო ამერიკელმა მაგნატმა მალკოლმ გლეიზერმა საკუთარი ვაჟებითურთ. კლუბში გლეიზერთა მოსვლაში მანჩესტერელები ჯადოს ხედავენ და საამისო არგუმენტებიც აქვთ. ზედიზედ ცხრა წელიწადია, "მანიუ" ლიგის ძირითად ეტაპზე გადიოდა და ყოველ ჯერზე პლეიოფებამდე იკვლევდა გზას, რაც ესენი (გლეიზერები) მოვიდნენ, ჩვენი საქმე უკან მიდისო.

...ფერგიუსონი ცხრა წელიწადია კლუბს წვრთნის, ერთხელ კი "წითელ ეშმაკუნებს" სანუკვარი ჯილდოც მოაგებინა. დიდი ბრიტანეთისთვის გაწეული სამსახური მას სერის წოდებით დაუფასეს.

უსამართლობა იქნებოდა, ჯოხი ერთ კონკრეტულ ადამიანზე გადატეხილიყო. წააგო მწვრთნელმა და წააგეს მოთამაშეებმა.

ბოლო წლებია, "მანიუს" სერიოზული მეტოქეები გამოუჩნდნენ ბრიტანულ მინდვრებზე "ჩელსისა" და "არსენალის" სახით, რამაც მანჩესტერელთა ბატონობა შეასუსტა. თუმცა, მიუხედავად ამისა, კლუბი კვლავაც ყველაზე მომგებიან საწარმოდ ითვლება მსოფლიოში. ამის დასტურია თავად გლეიზერის მიერ კლუბში ჩადებული თანხა – 790 მილიონი ფუნტი სტერლინგი!

ერთი სიტყვით, სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის დასკვნით ჯგუფურ ეტაპზე ლისაბონის "ბენფიკასთან" ჩაფლავებამ კლუბის თაყვანისმცემლები დაზაფრა. მანჩესტერელებზე წინ აღმოჩნდნენ ისეთი ფრანგული თუ ესპანური გუნდები, რომლებიც ბრიტანელებს გაქანებით აშკარად ჩამორჩებიან, წაგებით კი პორტუგალიელებთან წააგეს.

ახლა რა ხდება? ბრიტანელებმა იანგარიშეს, კლუბის ზარალი გამოითვალეს, რომლის მიხედვითაც ლიგიდან გავარდნით კლუბმა 15 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაკარგა. ზარალის ასანაზღაურებლად გლეიზერს ურჩიეს, ვარსკვლავთა ერთ ნაწილსა და მწვრთნელთა ამალას უნდა შეელიოო. ერთნი იმასაც ამბობენ, ფეხბურთელებს ხელფასები შეუმცირეთო.


გლეიზერს გულშემატკივარი რეფორმებს სთხოვს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "მანჩესტერ იუნაიტედის" ირგვლივ ვნებათაღელვა არ ცხრება. "მანჩესტერ იუნაიტედმა" "ბენფიკასთან" წააგო, ხოლო ალექს ფერგიუსონმა – პორტუგალიელთა ჰოლანდიელ ვიზავთან რონალდ კუმანთან.

ჰოდა, ალაპარაკდნენ. აბა, ვნახოთ, შეძლებს თუ არა ფერგიუსონი ადგილის შენარჩუნებასო. გამოსავალი ერთია: ჩემპიონატში დაეწიოს "ჩელსის" და მერე კლუბს პრემიერ-ლიგა მოაგებინოს. სხვა დანარჩენი ვარიანტები კი არ განიხილება.

და მაინც, "მანიუს" შოტლანდიელ დამრიგებელს ძალზე გაუჭირდება ლონდონელ "არისტოკრატებთან" გაჯიბრება. მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსი" ერთბაშად რამდენიმე ფრონტზე იბრძვის, ლონდონელები მანჩესტერელებს ახლოს არ გაიკარებენ. ერთნი თავს ინუგეშებენ, ათი წლის წინათ ამაზე დიდ გასაჭირში ვიყავით, მაგრამ ფეხზე წამოვდექითო.

...ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის სერიაში მონაწილეობის სარეკორდო ნუსხა კი 1995 წლიდან იწერება. იყო დრო, როდესაც მანკუნიანელები უეფას თასზე თამაშს არ კადრულობდნენ, ახლა კი ამის საშუალებაც დაკარგეს. ბოლო ათი წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როცა "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჯგუფური ლიგის ეტაპი ვერ გადალახა.

# დევიდ ბექჰემი - ყველაზე მდიდარი ფეხბურთელი

ჟურნალმა Four Four Two გამოაქვეყნა ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ ფეხბურთელთა ნუსხა. სიას სათავეში მოექცა ინგლისის ნაკრების კაპიტანი და მადრიდის "რეალის" ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი. მისი ქონება 75 მილიონ გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული. ყველაზე მდიდარ ფეხბურთელთა სამეულში აღმოჩნდნენ ლონდონის "არსენალის" ჰოლანდიელი ფორვარდი დენის ბერგკამპი (37 მილიონი) და ინგლისის ნაკრებისა და "ნიუკასლ იუნაიტედის" თავდამსხმელი მაიკლ ოუენი (30 მილიონი გირვანქა სტერლინგი).

უკვე რამდენიმე წელია ბექჰემი სათავეში უდგას დიდი ბრიტანეთის უმდიდრეს ფეხბურთელთა ნუსხას. მადრიდის "რეალის" ფეხბურთელის რანგში მან რამდენიმე ხელსაყრელი კონტრაქტი გააფორმა. მისი ყოველკვირეული ხელფასი 116 ათასი გირვანქა სტერლინგია.


ბექჰემის ქონება 75 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

ლონდონის "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი კი სათავეში უდგას საერთო სიას, რომელშიც ბრიტანეთის 100 ყველაზე მდიდარი ადამიანია წარმოდგენილი, ისინი, ვისაც ბრიტანულ ფეხბურთთან შეხება აქვს. მისი ქონება ჟურნალმა Four Four Two 10 მილიარდ გირვანქა სტერლინგად შეაფასა. ჯოზეფ ლუისი, რომელიც ლონდონის "ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და "გლაზგო რეინჯერსის" აქციათა მსხვილი პაკეტის მფლობელია, უმდიდრესთა სიაში მეორე ადგილზეა. მისი ქონება 2 მილიარდ გირვანქად არის შეფასებული.

რაც შეეხება მწვრთნელებს, აქ ლიდერის პოზიცია უჭირავს "ჩელსის" მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს. მისი ქონება 20 მილიონ გირვანქას შეადგენს. მწვრთნელთა ნუსხის ლიდერად მოურინიო "ჩელსისთან" გაფორმებულმა კონტრაქტმა და American Express-სა და Samsung-თან სარეკლამო შეთანხმებამ აქცია. ასეულში ადგილი დაიმკვიდრეს "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა (18 მილიონი) და ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა (12 მილიონი გირვანქა სტერლინგი).




# ეკა და ჟურნალისტები

**ეკა კვესიტაძე**: დღევანდელი "დიალოგების" თემაა ქართული მედია, კონკრეტულად აკაკი ბობოხიძისა და ირაკლი იმნაიშვილის ინციდენტი. სტუმრები არიან ჟურნალისტები: ნინია კაკაბაძე, ია ანთაძე და ნათია აბრამია. მე მაინტერესებს თქვენი კომენტარი იმ შეფასებებზე, რომლებიც გაჩნდა პირველივე დღეს. მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლა. მან განაცხადა: ძალიან სამწუხაროა, რომ ჟურნალისტები თავნებობენ ეთერში. ამას მოჰყვა ასევე ქუთაისელი ჟურნალისტების განცხადება, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ჟურნალისტი უფრო გამომწვევად იქცეოდა ეთერში, ვიდრე იმერეთის რწმუნებული. მათ წერილობით მიმართეს პრეზიდენტს თხოვნით, რომ ბობოხიძე არ გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან.

**ნინია კაკაბაძე**: ამ ფაქტის შემდეგ ყველაზე ალმაშფოთებელი იყო ის, რასაც ვხედავდით და ვისმენდით ტელეეკრანებზე. ვგულისხმობ პარლამენტის თავმჯდომარის, შემდეგ პრეზიდენტის გამოსვლას, როცა მან აღნიშნა, რომ ბობოხიძე ღირსეული ადამიანია, პარტიის ერთგული წევრი. მას ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული და ერთი სიტყვაც არ თქვა, ეთიკის გამო მაინც, რომ ბობოხიძეს პატარა შეცდომა მაინც მოუვიდა... პრაქტიკულად მიხეილ სააკაშვილმა დააკანონა, რომ პარტიის ერთგულ წევრებს თამამად შეუძლიათ ურტყან ურჩ ჟურნალისტებს.

**ეკა კვესიტაძე**: აკაკი ბობოხიძემ დატოვა თანამდებობა. ბუნებრივია, რომ ეს მხოლოდ მისი გადაწყვეტილებით არ მომხდარა. ასე გადაწყვიტა ხელისუფლებამ და ბევრი მიიჩნევს, რომ ეს საკმარისია.

**ნინია კაკაბაძე:** ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს საკმარისია. ეს იყო თეატრალიზებული აქტი. ბობოხიძემ კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი. ის არის საჯარო მოხელე, რომელსაც ამგვარი თავნებობის უფლება არა აქვს. დარწმუნებული ვარ, ის საზოგადოების დასაშოშმინებლად გაათავისუფლეს. დარწმუნებული ვარ, რომ სამომავლოდ ბობოხიძეს დიდი კარიერა ელის.

**ია ანთაძე**: არ მინდა, ამ სიტუაციას მარტივად შევხედოთ. დღეს ახალგაზრდა ჟურნალისტებს გავესაუბრე. მათ აღნიშნეს ბობოხიძის დანაშაულიც, თუმცა, იმნაიშვილის გამაღიზიანებელ ტონზეც მიუთითეს. ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლება გვაქვს, მაგრამ საკითხს მაინც უნდა შევხედოთ კანონის პოზიციიდან. უნდა გავარკვიოთ, რომელმა მათგანმა დაარღვია კანონი. სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის შესახებ კანონი იმნაიშვილს არ დაურღვევია. ამ კანონში არაფერი წერია ისეთი, რაც ირაკლის საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალებას არ აძლევდა, თუნდაც იმ ფორმით, რა ფორმითაც მან ეს გააკეთა. ამავე დროს, სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის კანონი ბობოხიძეს აძლევდა იმის უფლებას, რომ იმნაიშვილისთვის უზრდელი ეწოდებინა, და ეს არ იყო კანონდარღვევა. ირაკლი არ იყო წამყვანი, არამედ ერთ-ერთი მხარე გახლდათ დებატებში და აგრესიული ტონი მისთვის ამ შემთხვევაში დასაშვები იყო. კანონი გადაცემის მსვლელობისას არც ერთს არ დაურღვევია. მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, არანაირ კითხვის ნიშანს აღარ იწვევს. კანონი დაარღვია ძალიან მაღალი რანგის საჯარო მოხელემ: პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის მხარეში. სხვადასხვა ადამიანების შეფასებას არა აქვს არანაირი აზრი, როცა საქმე ეხება სამართლებრივ საკითხს. მან ერთმნიშვნელოვნად დაარღვია კანონი, მან ჩაიდინა ქმედება, რისთვისაც ნებისმიერი ადამიანი ისჯება. მიმაჩნია, რომ ყველაზე მართებული იქნება ის, რომ მისდამი განხორციელდეს იგივე ქმედება, რაც განხორციელდებოდა ნებისმიერი ადამიანისადმი ასეთ ვითარებაში. რაც შეეხება ქუთაისის ჟურნალისტების განცხადებებს ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, ამ ადამიანებმა სრულებით არ იციან კანონი. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ისინიც აღმოჩნდნენ, როგორც მხარე, რაც მათი არაპროფესიონალიზმის ყველაზე დიდი ნიშანია.

**ნათია აბრამია**: ტელეკომპანია "რიონის" მფლობელი და ამავდროულად მენეჯერი არის ნაციონალური მოძრაობის წევრი, რაც ლოგიკურად ხსნის იმას, თუ რატომ მიმართეს ტელეკომპანიის თანამშრომლებმა პრეზიდენტს ბობოხიძის "შეწყალებისთვის". როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა ხელისუფლებასთან თბილ დამოკიდებულებას ანაცვალეს საკუთარი პროფესიული ეთიკა. საერთოდ, რეგიონში კიდევ უფრო მწვავედ ჩანს ის პრობლემები, რასაც ჩვენ ვაწყდებით დედაქალაქში. აქ მასშტაბები უფრო დიდია, ხშირად პრობლემა ნაწილდება ბევრ ადამიანზე, საკითხები ნაწილდება სხვადასხვა მედიასაშუალებებზე, ამიტომ ზეწოლაც არ არის თვალშისაცემი. რაც შეეხება რეგიონს, იქ ეს ყველაფერი უფრო აკუმულირებულია. სხვათა შორის, იმ ტოქშოუს ფარგლებში ირაკლიმ სწორად თქვა, რომ ის არხები, რომლებიც მთელ საქართველოზე მაუწყებლობენ, მთავრობის მიერ უკვე კონტროლირებულია, ახლა კი რეგიონული არხების დრო დადგა.

**მსმენელი**: განიცდის თუ არა მედია ზეწოლას? ხშირად ვამჩნევ, რომ მედიის საშულებით წამოიწევს რაიმე აქტუალური საკითხი, მაგრამ მასზე მსჯელობა მალევე წყდება.

**ეკა კვესიტაძე**: ია, თქვენ მუშაობდით ომბუდსმენის ოფისში და პირდაპირი კავშირი გქონდათ მედიაზე ზეწოლის ფაქტებთან.

**ია ნათაძე**: ყველაზე გახმაურებული ამ წელიწადში იყო ცემის ფაქტები. გურჯაანში არ იყო მხოლოდ ცემა, გაზეთ "იმედის" რედაქტორს ოთხი ტიპის სერიოზული ზიანი მიაყენეს: დაარბიეს ოფისი, შემდეგ ცემეს და თავის არეში სერიოზული დაზიანებები ჰქონდა და მერე ორი ფაქტი, როცა ეზოში აუფეთქეს ხელყუმბარები. ასეთივე სერიოზული ფაქტი იყო გორშიც, როდესაც გაზეთ "ხალხის" თანამშრომელი სერიოზული წნეხის ქვეშ მოყვა, მის მიმართ განხორციელდა მუქარები და ამას ჰქონდა სისტემატური ხასიათი. ასეთი ფაქტი ძალიან ბევრია. არის პირდაპირი ზეწოლა, როცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ემუქრებიან ჟურნალიტებს. არის კიდევ ამოუცნობი ზარები სხვადასხვაგვარი მუქარის სახით.

**ეკა კვესიტაძე**: გუშინწინ მოხდა უპრეცედენტო ფაქტი ქართულ მედიასინამდვილეში: კახეთში თითქმის ყველა გაზეთის რედაქტორებმა გადაწყვიტეს, რომ გამოეშვათ ცარიელი ფურცლები, რომლებზეც მხოლოდ SOS იქნებოდა დაბეჭდილი. რა კონკრეტული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ აქციას? ნაციონალური გამოცემებისა და მაუწყებლობის შემთხვევაში ზეწოლა ბევრად უფრო დახვეწილი და ძნელად აღსანუსხავია, როგორც ფაქტი. იბლოკება გადაცემები, სიუჟეტები და ზოგადად გარკვეული ინფორმაცია.

**ნინია კაკაბაძე**: სამწუხაროდ, დიდად შედეგიანი არ იქნება ჩვენს მიერ დაფიქსირებული პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ მაინც ვიტყვი: ჟურნალისტის მიერ გარკვეული პრობლემების იგნორირება არის პროფესიონალურ ვალდებულებებზე უარის თქმა. თითოეული ჟურნალისტი, რომელიც ცენზურას ექვემდებარება, ისეთივე დამნაშავეა, როგორიც თუნდაც შალვა რამიშვილი, რომლის დანაშაულსაც არ უარვყოფთ და ამ ამბავზე ხშირად ვსაუბრობთ. მხოლოდ ჩვენი საუბარი ამ პრობლემას ვერ გადაჭრის. ყველამ, ვისზეც ცენზურა მოქმედებს, ჩემი აზრით, უნდა მიბაძონ კახეთის გაზეთებს და დაიწყონ მოძრაობა, რომელიც შეაჩერებს მათ, ვისაც მედიაზე ცენზურისა და ზეწოლის მოხდენა ბუნებრივ მოვლენად ეჩვენება.

## ბერლინის კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე



ბრიტანელი მსახიობი შარლოტა რემპლინგი ბერლინის კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარედ აირჩიეს. ფესტივალი 9 თებერვალს დაიწყება და 19 თებერვლამდე გასტანს. ის გაისად 56-ედ ჩატარდება.

"მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჟიურის უხელმძღვანელებს არაჩვეულებრივი ქალბატონი და შესანიშნავი მსახიობი შარლოტა რემპლინგი", - განაცხადა ბერლინის კინოფესტივალის დირექტორმა დიტერ კოზლიკმა. შარლოტა რემპლინგმა ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი სახე შექმნა ფრანსუა ოზონის ფილმში "აუზი". აქ მან მწერალი ქალის როლი შეასრულა. რაც შეეხება ჟიურის დანარჩენ წევრებს, მათი ვინაობა ჯერ არ არის ცნობილი.

## კენედის ჯილდო ვარსკვლავებს



პრეზიდენტ კენედის ცენტრის პრესტიჟული ჯილდო 4 დეკემბერს გადაეცათ მომღერალ თინა თერნერს, რეჟისორსა და მსახიობ რობერტ რედფორდსა და სხვა დამსახურებულ ხელოვანებს. მიღებას ესწრებოდნენ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი.

2005 წლის ლაურეატები ასევე არიან მომღერალი ტონი ბენეტი, მსახიობი ჟული ჰარისი და ბალერინა და ქორეოგრაფი სიუზენ ფარელი.

კენედის ცენტრის ჯილდო 1978 წლიდან გადაეცემათ ყველაზე დამსახურებულ, მოქმედ ხელოვანებს. ეს ჯილდო ითვლება ყველაზე მაღალ დამსახურებად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ლაურეატებისა და სტუმრებისთვის ტარდება მიღება თეთრ სახლში, ასევე გალაკონცერტი კენედის სახელობის ხელოვნების ცენტრში ვაშინგტონში.

# ხევსურული ლექსიკონი

აზნი ფორხუა



გამომცემლობა "ქართულმა ენამ" დასტამბა ცნობილი ენათმეცნიერისა და მკვლევარის პროფესორ ალექსი ჭინჭარაულის ახალი წიგნი "ხევსურული ლექსიკონი", რომელზეც ავტორი თითქმის 40 წელი მუშაობდა.

წიგნის პრეზენტაცია გაიმართა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც ათეული წლებია მოღვაწეობს ბატონი ალექსი ჭინჭარაული. პრეზენტაცია გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა გუჩა კვარაცხელიამ, რომელმაც მიულოცა საზოგადოებას ახალი წიგნის გამოცემა, უფროს კოლეგას კი - იუბილე.

"ხევსურული ლექსიკონის" გამოცემა დაემთხვა ორ თარიღს - ალექსი ჭინჭარაულის 80 წლის იუბილეს და 25-ე რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიას, რომელმაც სამი დღე ნაყოფიერად იმუშავა.

"ხევსურული ლექსიკონის" რედაქტორმა, პროფესორმა ავთანდილ არაბულმა აღნიშნა, რომ ლექსიკონი უნიკალური ნაშრომია იმ მხრივ, რომ მსოფლიოს არც ერთი ენის დიალექტს არა აქვს ასეთი მდიდარი ლექსიკონი, ხოლო ის, რომ ქართველი მეცნიერები არაფერს წერენ, სინამდვილეს არ შეეფერება.

ხევსურული კილოს ლექსიკონი, რომელთან ზიარების შესაძლებლობა პირველად ეძლევა ქართველ საზოგადოებას, 25 ათასამდე ლექსიკოგრაფიულ ერთეულს შეიცავს. ლექსიკონს სოფელ შატილში დაბადებული და გაზრდილი, ძველი, ტრადიციული, ხევსურეთის მომსწრე და ზედმიწევნით მცოდნე ალექსი ჭინჭარაული მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში ქმნიდა.

წიგნი სასარგებლო იქნება ლინგვისტებისთვის, ასევე დიდ სამსახურს გაუწევს ლიტერატორებს, ფოლკლორისტებს, ქართველოლოგებს, ეთნოგრაფებს, საერთოდ, ისტორიული ქართული კუთხეებით დაინტერესებულ ადამიანებს.

წიგნი იყიდება და ღირს 35 ლარი.


## განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

1. ს/ს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"-ს მიერ I კატეგორიის საქმიანობაზე წარმოდგენილი გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაცია - გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 12 დეკემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში, მის: თბილისი, გულუას N6.

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 12 დეკემბერს 1100 სთ-ზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

## ტენდერი

- **"თი-ბი-სი ბანკი"**
- **საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არი"**

აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში, ზუბალაშვილების ქ. N37-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის ესკიზურ პროექტზე. *(ყოფილი რკინიგზის სადგურის შენობის რეკონსტუქცია ბიზნესცენტრად).*

**შენობის საერთო ფართი (სარდაფის ჩათვლით) - 2 570** მ²
**ტერასა: -** 298 მ²
**განაშენიანების ფართი: -** 1750 მ²
**სარდაფის ფართი:- ("თი ბი სი ბანკი" და საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არი") -** 135 მ² *(გაფართოების პერსპექტივით)*

**შენობა:** ორსართულიანი, სარდაფის გაფართოების პერსპექტივით.

**საერთო საპროექტო დავალება:**

- შენობის ფასადის რესტავრაცია
- "თი-ბი-სი ბანკის" ფართის რემონტი პირველ სართულზე - 736 მ²
- საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არი" - ავეჯის სალონის ფართის რემონტი პირველ სართულზე - 460. 5 მ²
- II სართულის ფართი - 1 028. 81 მ²
- პირველ სართულზე საერთო სარგებლობის რეკრიაციული ფართის რეკონსტრუქცია *(210 მ²)*, რომელსაც გამანაწილებელი ფუნქცია ექნება *(აუცილებელად გათვალისწინებულ იქნას ადგილი - მისაღებსა და ცნობათა ბიუროსათვის)*
- სარდაფის გაფართოვება 300 მ² *(აქედან ბანკის ნაწილი უნდა შეადგენდეს 150 მ²)*
- ელექტრობა, ცენტრალური გათბობა, ვენტილაცია, დიზელ გენერატორი
- ერთიანი ავტოსადგომი
- ეზოს მოწყობა სულ - 440 მ²

**კონკრეტული საპროექტო დავალებანი:**

**"თი-ბი-სი ბანკი" -ს მოთხოვნები** შენობის პირველ სართულზე კომპანიას სურვილი აქვს მოაწყოს რეგიონალური ფილიალი. სავარაუდო გეგმა მოცემულია *(დანართი N1 ბათუმის ფილიალის I სართულის გეგმა)*. გეგმამ შესაძლებელია ტრანსფორმაცია განიცადოს, "თი ბი სი ბანკის" მოთხოვნების გათვალისწინებით. აუცილებელია ბანკისათვის სპეციალური ასპექტების დამატებითი დაზუსტება შემსრულებლის მიერ "თი ბი სი ბანკის" წარმომადგენელთან შეთანხმების საშუალებით. შიდა ინტერიერი უნდა შეესაბამებოდეს ბანკის მარჯანიშვილის ფილიალში გამოყენებულ ინტერიერის კონცეფციას.

**საერთაშორისო კორპორაცია "აი-სი-არ" -ის მოთხოვნები**
შენობის პირველ სართულზე კომპანია მოაწყობს ავეჯის სალონს, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ორი შესასვლელი:

- საერთო ჰოლიდან
- შენობის ფასადიდან.

**კომპანიის კონკრეტული მოთხოვნები**

- 3 სამუშაო ოთახი *(სამხარეო მენეჯერის, მაღაზიის მენეჯერის, კონსულტანტების)* - 70 მ² *(სულ)*
- სამზარეულო 12 მ² და ერთი WC 3-4 მ²
- დარჩენილი ფართობი გამოყენებულ იქნას გაყიდვების დარბაზად
- მაქსიმალურ შესაძლებელ ფარგლებში მოხდეს კედლების გახსნა დიდი სივრცის მისაღებად
- საწყობი *(სარდაფში)*

**შენობის II სართული**

- **საოფისე ფართი.** ოფისების რაოდენობა დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე, ანუ არსებული ფართი სასურველია ექვემდებარებოდეს ტრანსფორმირებას, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას, რომელიც ამ ფართს იქირავებს, თავად მოახდინოს შიდა დაგეგმარება. საერთო მისაღები
- WC - მინიმუმ 2 დამოუკიდებელი ერთეული

**ესკიზური ნახაზების შემადგენლობა**

1. სიტუაციური გეგმა - მ. 1:1000
2. გენ-გეგმა - მ. 1:5000
3. სარდაფის, I, II და III სართულების გეგმები - მ. 1:100
4. ჭრილები: ყველა კიბეზე - მ. 1:100 ან 1:50 და რამოდენიმე სახასიათო განივი და გრძივი.
5. ოთხივე ფასადი: - მ. 1:100 ან 1:50
6. პერსპექტიული ხედები *(ექსტერიერი)*: სასურველია კომპიუტერული დამუშავებით
7. განმარტებითი ბარათი
8. ინტერიერის ესკიზები - კომპიუტერული დამუშავებით
9. ელ. ქსელები, სუსტი დენები: - სქემა
10. ვენტილაცია: - სქემა
11. კანალიზაცია, წყალმომარაგება: - სქემა
12. გარე განათება (ფასადის განათება): - სქემა
13. დაცვის სისტემა: - სქემა
14. სალაროებისა და საცავის მოწყობა ბანკისათვის

**კონკურსში მონაწილეებს გადაეცემათ:**

- არსებული სიტუაციის ფოტომასალა ციფრულ ფორმატში,
- ტოპოგრაფიული გეგმა
- სიტუაციური გეგმა
- გენგეგმა
- შენობის I სართულის გეგმა *(ანაზომი)*
- ბათუმის ფილიალის I სართულის გეგმა *(დანართი N1)*
- შენობის II სართულის გეგმა *(ანაზომი)*
- მანსარდის გეგმა *(ანაზომი)*
- სარდაფის გეგმა *(ანაზომი)*
- ჭრილები *(ანაზომი)*
- საკადასტრო რუკა
- შ.პ.ს "აჭარსპეცპროექტის" მიერ შესრულებული ტოპოგეგმა და საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.

**ესკიზური პროექტი წარმოდგენილი უნდა იქნეს:**

1. **ალბომის სახით A 3 ფორმატზე**
2. **ვიზუალიზაცია 3D-ში (რენდერებით)**
3. **ნახაზები: Archi ან Auto CAD-ში**

**ტენდერში გამარჯვებული დაჯილდოვდება:**
**I ადგილი - 10 000 ლარი**
**II ადგილი - 4 000 ლარი**
**III ადგილი - 2 000 ლარი**

სურვილის და შესაძლებლობის შემთხვევაში, გამარჯვებული ესკიზის ავტორი, ბოლომდე აიღებს პასუხისმგებლობას და სამი თვის განმავლობაში წარადგენს პროექტის სრულ პაკეტს, *(სრული პაკეტის ხარჯთაღრიცხვა, გადასახადების გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს 70 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, საპრემიო თანხის (10 000ლ) ჩათვლით).*

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ესკიზის ავტორს არ სურს, ან არ აქვს შესაძლებლობა, ან მის მიერ წარმოდგენილი სრული პაკეტის თახა აჭარბებს ზემოთ დასახელებულ *70 000 აშშ დოლარს*, კონკურსანტს გადაეცემა პრემია 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო ესკიზი დარჩება "აი-სი-არის" საკუთრებაში. კორპორაციას აქვს უფლება, ესკიზის განსახორციელებლად, მიმართოს ნებისმიერ სხვა ლიცენზირებულ საპროექტო ორგანიზაციას და ამასთან დაკავშირებით, გამარჯვებული კონკურსანტის მხრიდან პრეტენზიები არ განიხილება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 25 დეკემბერი.

ესკიზური პროექტი ჩაბარების ბოლო ვადა 1 თებერვალს.

გამარჯვებული გამოვლინდება 15 თებერვალს.

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ, მისამართზე: ალ. ყაზბეგი N44, II სართული

სტუდია "ჩემი სახლი". **ტელ: 39 46 17. 39 20 99**

საკონტაქტო პირი: თამარ წულუკიძე

გისურვებთ წარმატებას

# "იადონი მაშინ მოკვდეს, ოდეს ვარდმა იდამჭნაროს"

პირველი გვერდიდან

ამის შემდეგ "ვეფხისტყაოსნის" მეცნიერული შესწავლა აღარ შემწყდარა" (რევაზ სირაძე, "სახისმეტყველება", გვ. 181) და ალბათ ვერც ვერასოდეს შეწყდება. წარმოუდგენელია ყველა საინტერესო, დასაზუსტებელ, საკამათო, გამოსაკვლევ კითხვას თუ ცალკეულ სიტყვას, აზრს თუ სიტყვების მიღმა ჩამალულ საიდუმლოს ოდესმე ამომწურავი პასუხი გაეცეს. ამ დაუსრულებელ საფიქრალს თვით შოთა რუსთაველის იდუმალებით მოცული არცთუ იღბლიანი ცხოვრება და მოღვაწეობაც ემატება. განა შეიძლება იღბლით განებივრებულს, ბედნიერს ეთქვა: "კარგი რამ გჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!"-ო. მისი სახელისადმი უდიდეს ინტერესთან ერთად თანმდევმა უიღბლობამ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკის ხელყოფით თითქოს ახლებურად იჩინა თავი. ამასთან დაკავშირებით ბედის აღმნიშვნელი ერთი ძველისძველი ებრაული სიტყვა გამახსენდა - "მაზალ". ებრაული სიტყვების უმრავლესობა, რამდენადაც ვიცი, შედგენილია. ეს სიტყვაც ასეა შედგენილი, გააზრებულად: მ-მაკომ (ადგილი), ზ-ზმან (დრო), ლ-ლაასოთ (მოქმედება). ბედი მართლაც ადგილზე, დროზე და სწორ მოქმედებაზეა დამოკიდებული. ნუთუ რვა-ცხრა საუკუნის შემდეგაც სხვათა მოქმედებით განისაზღვრა დიდი პოეტის ბედ-იღბალი, მისი ფრესკის იერუსალიმში არსებობის მნიშვნელობა?! თუ ასეა, ჩვენც ხომ შეგვიძლია გონივრულად ვიმოქმედოთ, საპასუხო გააზრებული მოქმედებით სწორი მიმართულება მივცეთ შექმნილ მდგომარეობასა და მოვლენებს?! ალბათ ჩვენზე, ფრესკის დაზიანების შემსწრე თაობაზეა დამოკიდებული, თუ რა ემოციას, რა განწყობას გადავცემთ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის არსებობის მნიშვნელობაზე ჩვენს შემდგომ მოსულ თაობას.

ფრესკა "არაა რეალური სახე. ფრესკა მხოლოდ სათავეს უდებს ჩვენს ფანტაზიას, ჩვენს წარმოდგენას და ჩვენგანვე ითხოვს თანაშემოქმედებას. ასეთია ფრესკული სახის ბუნება. ხილული სახის მიღმა უნდა ვიხილოთ მისი დაფარული ნამდვილი შინაარსი, რომელსაც პირველსახე ჰქვია" (ჩვენს შემთხვევაში ალბათ შოთა რუსთაველის პირველსახე სწორედ მისი ღრმა ფილოსოფიური აზრები, მხოლოდ გენიოსისთვის დამახასიათებელი სილაღე და ყოვლისმომცველობა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რითაც მისი სახელის წარმოთქმისას გული სიამაყოთ გვევსება. მ. მ.). "მთავარი ყურადღება სწორედ პირველსახეს უნდა მიექცეს, მასზე უნდა იქნას გადატანილი ჩვენი ინტერესი" (რ. სირაძე, "სახისმეტყველება", გვ. 81). "იადონი მაშინ მკვდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს" - ასე ფიქრობდა შოთა რუსთაველი და განა უპრიანია ჩვენივე ხელით "ვარდის დაჭკნობა", გაუფასურება იმ განძისა, რისი მფლობელნიც ვართ?! ფრესკის მხატვრულ ღირებულებაზე მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ჩვეულებრივი მოქალაქეები ადრეც კამათობდნენ (მე თვითონ პირად ლაპარაკში არაერთხელ მომისმენია), რუსთაველია თუ არა ფრესკაზე გამოსახული, ამაზეც აზრთა სხვადასხვაგვარობა იყო აქამდეც და თუ ახლაც გაგრძელდა ეს დავა, ამით, ჩემის აზრით, იმდენი არაფერი დაშავდება (ხომ შეიძლება ყველას თავისი აზრი ჰქონდეს), როგორც რესტავრირებულ ფრესკასთან დაკავშირებით ფრესკის უნახავად და რესტავრატორის გაცნობა-გასაუბრების გარეშე აგორებულ სიტყვას "არ ვარგა", "ცუდია", "ცისფერი თვალები აქვს", "ქართველმა არ დახატა". არადა დახატა საქვეყნოდ აღიარებული ლენინგრადის სკოლის წარმომადგენელმა (რამდენადაც ვიცი, იერუსალიმის სიძველეთა დეპარტამენტის დაკვეთითა და ბერძნული საპატრიარქოს დაფინანსებით), არა ახალგაზრდა და ახალბედამ, არამედ გამოცდილმა, შუახანს გადაცილებულმა, მცოდნე და გაწაფულმა რესტავრატორმა ხაიმ კაპჩიცმა და, რაც მთავარია, დახატა უდიდესი სიყვარულით, ღრმა პატივისცემით საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, მოწიწებით შოთა რუსთაველისა და მისი ქმნილების, ჯვრის მონასტრის ძველ მხატვარ-ხელოვანთა მიმართ, თანაგრძნობით პილიგრიმებისა და მონასტრის მომნახველ-მომლოცველთა მიმართაც კი: "ტანსაცმელზე ამოკაწრული ჯვრები არ წავშალე, ვინ იცის, ვინ ამოჩხაპნა, როდის, როგორი სიყვარულით. იყოს, რას უშლის!" დახატა ჩვენი ისტორიის, ჩვენი დღევანდელობის გააზრებითა და გულშემატკივრობით: "იერუსალიმი ათასწლეულებს მანძილზე სხვის ხელში იყო, მაგრამ ჩვენ, ებრაელები, მას სულიერ საკუთრებად მივიჩნევდით და ყოველთვის ვლოცულობდით მისთვის. ასევეა თქვენთვის, ქართველებისთვის, ჯვრის მონასტერი. ის მატერიალურად ეკუთვნის სხვას, მაგრამ სულიერად ის თქვენია." განა შეიძლება ეს სიტყვები გულგრილ, განზე მდგომ ადამიანს ეთქვა. განა არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა გრძნობით, რამდენად კეთილსინდისიერმა, სუფთა, უანგარო ადამიანმა დახატა?! მისთვის არ იყო სულერთი, ქართველი საზოგადოებისთვის რამდენად მისაღები იქნებოდა ის, რაც მან შექმნა. ამას თუნდაც ის მაფიქრებინებს, რომ ბ-ნმა ხაიმმა თვითონ, საკუთარი ინიციატივით მოძებნა ბატონი კოტე ლერნერი - თბილისიდან წასული ენათმეცნიერი, ამჟამად იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი და მისი მეუღლე ქალბატონი ლარა მეგრელიშვილი (სწორედ მათ დაგვაკავშირეს ბატონ ხაიმთან, რისთვისაც უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო). უთხოვია, იქნებ დრო გამონახოთ, შეხედოთ რა გამოდის, რას იტყვით, რას იგრძნობთ, რა შენიშვნას მომცემთ, რას მოიწონებთ, რას არა, ყველაფერი მაინტერესებსო. განა არ ჰქვია ამას საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა, თავმდაბლობა, პასუხისმგებლობა, პატვისცემა?! პირადად ჩემთვის ამ ყველაფერს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს - ნაშრომი რა ემოციითაც იქმნება, შემდეგ ხომ იმავე ემოციის მატარებელი ხდება?! ასეთი უარყოფითი განწყობა კი ალბათ იმ გულისტკივილით აიხსნება, რაც ფრესკის დაზიანებამ მოგვაყენა. "ვეფხისტყაოსანში" ამაზეც არის პასუხი: "მართლად უთქვამს მეცნიერთა: "წყენაათ ჭირთა ბადე". ასე მგონია, ახლაც გვესაუბრება, გვმოძღვრავს ბრძენი, შორსმჭვრეტელი, დიდი პოეტი.

რა თქმა უნდა, ისევე, როგორც ყველა ჩვენთაგანს, მეც ძალიან მწყდება გული, რომ ვერ მოხერხდა, ქართველს ემუშავა. მაგრამ შექმნილ, რბილად რომ ვთქვა, დაძაბულ ვითარებაში (თუ რატომ დაიძაბა, ამაზე ცოტა ქვემოთ), როდესაც დაზიანებული ფრესკის სანახავად საქართველოდან ჩამოსული დელეგაციიდან ერთი თვალის შესავლებადაც კი ჯვრის მონასტერში არავინ შეუშვეს, ძნელი წარმოსადგენია, სამუშაოდ ქართველი მიეწვიათ. ჩვენ კი, ქართველებს, ჩვენდა სავალალოდ, ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით მხოლოდ მორალური უფლებები გვაქვს, რაც კანონის წინაშე სრულიად უძლურია. მოკლედ შეგახსენებთ, რომ პალესტინაში წმინდა ადგილების გამო გაუთავებელი დავის შესაწყვეტად სულტან აბდულ-მეჯიდმა 1852 წელს გამოცემული ფირმანით იმ წუთს ვინც რისი მფლობელი იყო, კანონიერადაც მას მიაკუთვნა. რამდენადაც იმ დროისათვის საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო პალესტინაში ქართული კერების უმრავლესობა მიტოვებული იყო, ჯვრის მონასტერში კი XIXს-ის დასაწყისში მხოლოდ ორი ქართველი ბერი მოღვაწეობდა - ბესარიონი და ლავრენტი, შუა წლებში კი ერთადერთი ქართველი - გრიგოლი, ჩვენდა სავალალოდ, ის ბერძენთა ხელში კანონიერად აღმოჩნდა. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით "24 საათის" ამა წლის 15 აპრილის ნომერში მოვახსენე მკითხველს და ახლა თავს აღარ შეგაწყენთ. როგორც არ უნდა გვწყინდეს და გვტკიოდეს, ფაქტი ფაქტად რჩება - ჯვრის მონასტერი დღეს ჩვენ არ გვეკუთვნის.

"ფრესკებზე... ქართული ზეცისა და მიწის ყველა ფერი არ დახარჯულა. ფრესკის მხატვარი არც ცდილობდა ამას. ის ცდილობდა სულის გამოსახვას. სული კი ფერით ვერ იხატება, ვერც იმ მშვენიერი ხორბლისფერით, რომლითაც აღვსილია დავით გარეჯის ფრესკები და ვერც ყინწვისის მხატვრის ლაჟვარდისფერით. ამიტომ ფრესკა ვერ გამოხატვის, მიუწვდომლობის განწყობილებას გვფენს და არა გამოხატულობით ტკბობის განწყობილებას" (რ. სირაძე, "სახისმეტყველება", გვ.115), მაგრამ შოთა რუსთაველის ძველი ფრესკა ანდამატივით მიზიდავდა და ტკბობის თუ სიამაყის განწყობილებასაც მიქმნიდა. შეიძლება ეს განცდა 1960 წლის ნოემბრიდან ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის ექსპედიციის მიერ ფრესკის ახლად აღმოჩენით გამოყოლილი განცდა იყო, მთელი საქართველო რომ შეძრა და ჩემს ბავშვურ წარმოსახვაზეც საყოველთაო დღესასწაულისა და აღტაცების სამუდამო კვალი დატოვა. შესაძლოა ფრესკის იერი მატყვევებდა. "თანამედროვე ტექნიკის პირობებში, ალბათ, ყველაფრის აღდგენა შეიძლება. მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია საუკეთესო რესტავრატორის ხელშიც კი გამეორდეს ფრესკის ის არაამქვეყნიური და, ამავე დროს, ასეთი მიწიერი გამოხედვა, რომელსაც დროთა ვითარებაში დაზიანებული მარჯვენა თვალიც კი რაღაცას ჰმატებდა. შეუძლებელია მისცე კვლავ ის ელფერი, რასაც სულის სიდიადე ჰქვია, შეუძლებელია გაიმეორო ის, რასაც ირაკლი აბაშიძემ "სადღაც ბავშვის გამომეტყველება დაჰკრავსო" უწოდა". ეს ჩემივე სიტყვებია ფრესკის დაზიანებისას თელ-ავივიდან გამოგაზავნილი წერილიდან, რომელიც ამავე გაზეთის 2004 წლის 9 ივლისის ნომერში დაიბეჭდა. დღეს დარწმუნებით შემიძლია იგივე გავიმეორო და არა იმიტომ, რომ რესტავრატორმა მარჯვენა თვალის დაზიანება შეგნებულად და სწორიცაა, რომ არ აღადგინა, არამედ იმიტომ, რომ ძველი ოსტატი, ფრესკის პირვანდელი ავტორი რომ გაცოცხლდეს, თავიდან დახატოს, იმ გამომეტყველებას ისიც ვერ გაიმეორებს. ეს შეუძლებელია! ვგონებ, არც არსებობს ორი ერთნაირი გამომეტყველების მქონე გამოსახულება, პორტრეტი, ფრესკა, ფოტო. არაერთისგან გავიგონე, ქართველმა რომ არ დახატა, გამომეტყველება ვერ ექნება ქართულიო, თითქოს ლოგიკურია, მაგრამ განა ძველ ფრესკას რითი ჰქონდა მხოლოდ ქართველისთვის დამახასიათებელი იერი?! ქართველებს რომ ემუშავათ, პირადად მე, გარდა ემოციური მხარისა, იმიტომაც მინდოდა, რომ რახან დაზიანება ბათქაშამდე ღრმად ჩავიდა, იქნებ სულ ოდნავ მაინც გვენახა, ქვედა ფენაზე რა იყო გამოსახული. მითუმეტეს, რომ სვეტის კიდეებზე, რომელზედაც იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთით შოთა რუსთაველის მინიატურული ფრესკაა გამოსახული, აშკარად მოჩანს ძველი ფენის ამჟამინდელი მეწამულისაგან განსხვავებული მომწვანო თამბაქოსფერი ქვედა ფენა. ან იქნებ სჯობია კიდეც, რომ ვერა ვნახეთ, ვინ იცის?! "რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების". "სპეციალისტებმა უკეთ იციან, მაგრამ ხომ არ აჯობებდა დარჩეს ფრესკა დაზიანებულ მდგომარეობაში, როგორც ახლაა - ვანდალიზმისა და ბარბაროსობის მაგალითად". ესეც ჩემი სიტყვებია ზემოთაღნიშნული წერილიდან და დღესაც ამ აზრისა ვარ. მაგრამ ფრესკის ისტორია გრძელდება. ისევე, როგორც "ვეფხისტყაოსანსა" და მის ავტორს, ეტყობა მასაც არ უწერია მოსვენებით ყოფნა. იერუსალიმში რუსული მისიის წარმომადგენელი მამა ელისე გაკვირვებით მეობნებოდა: "ნუთუ იმიტომ წაშალეს, რომ წმინდანი არ არისო". იმ დღეებში ბევრისგან მესმოდა: "რა მოხდა, რატომ წაშალეს, რით ახსნით?" მართლაც რა ხელმა წაშალა, რა განწყობამ, რა ძალამ უბიძგა, როგორ არ აუთრთოლდა ხელი ასე საგულდაგულოდ სიბოროტისთვის რომ აღმართა!

ბერძენ სასულიერო ბერებთან ცოტა ძნელია ლაპარაკი, ალბათ ისევე, როგორც ზოგიერთ სხვასთან, მაგრამ სრულებითაც - არა შეუძლებელი. ფრესკის დაზიანების შემდეგ მე პირადად სამჯერ შევედი მონასტერში, არა მალვით, არა შენიღბვით, არამედ პირდაპირ - კარზე ზარის დარეკვითა და გამომცნაურებით. მართალი გითხრათ, გამიკვირდა: პოლიციასთან კამათისას ხომ ყველა მათი არგუმენტი გავაბათილე და, სხვათა შორის, სანამ კამათობდნენ და ბჭობდნენ დასაწყისში იმაზე, რომ პოლიციის გარდა სხვა არავინ შემოეშვათ, მოვახერხე ვიდეოკამერით გადამეღო დაზიანება სხვადასხვა მხრიდან, რადგან ხმა გავრცელდა, თითქოს ფრესკა სიძველის გამო თვითონ ჩამოიშალაო. მეორედ შესვლისას შესაძლებლობა მომეცა, დამეთვალიერებინა ყველაფერი და დავრწმუნებულიყავი, რომ გავრცელებული ჭორი სხვა ფრესკების დაზიანების შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერებოდა. მხოლოდ შესასვლელიდან მარცხნივ, პირველ სვეტზე მთავარანგელოზების გაბრიელისა და მიქაელის ყრმა იესოსთან ერთად ფრესკის ქვეშ ომან, ქეიხოსრო და ბარბარა ჩოლოყაშვილების მოსახსენებელ წარწერაში "მოურავ ქეიხოსროში" "ქე" გაფერმკრთალებულია, თუმცა შეუიარაღებელი თვალითაც იკითხება. ჩემს მიერ 2002 წელს გადაღებულ სურათზე მკვეთრად ჩანს. ამ სვეტთან მერხი იდგა, შესაძლოა იმან დააზიანა. ამ უმნიშვნელო დაზიანების გარდა ახალი არაფერი შემინიშნავს. საერთოდ სრული პასუხისმგებლობით არაერთხელ განმიცხადებია, რომ ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში (1998-2004 წლები) ეკლესია და მისი ეზო-გარემო ყოველთვის მოვლილი და დასუფთავებული იყო. შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანებამდე ერთადერთიი რაც დაზიანდა, არის იოანე ნათლისმცემლის დაბადებისა და ცხოვრების ამსახველი ფრესკების ქვეშ ორნამენტზე ქართული ასოებით მსხვილად ამოჩხაპნილი "ვეფხო". არ ვიცი, ვის ეკუთვნის, მაგრამ ეტყობა, ძალიან უნდოდა, თავისი ჯვრის მონასტერში ყოფნა უკვდავეყო.

მუზეუმში შესვლაზე დიაკვანმა თავაზიანი უარი მითხრა. მეც არ დამიჩემებია, უკან ამოსასვლელი გზა რომ მქონოდა და მხოლოდ სიტყვიერ პასუხს დავჯერდი. მისი თქმით, ირაკლი აბაშიძის აღმოჩენილი ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილის) ლითონის დისკო წარწერით: "დექით მტკიცედ და შეურყეველად" (ირაკლი აბაშიძე, ფიქრები პალესტინაზე, 1989წ. გვ. 17) ისევ იქ კიდია, სადაც ეკიდაო. უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის შემოწირული მასიური ვერცხლის ჯვარი და ქართული ქვებით შემკობილი გუმბათის ქვეშ აღმართული ერისკაცობაში კახაბერ იმერლიშვილის მიერ შექმნილი დიდი ვერცხლის ჯვარიც მუზეუმში ინახებაო.

მესამედ მისვლისას ამა წლის აპრილის ბოლოს, როდესაც რესტავრატორსა და მის ორ ტექნიკურ დამხმარეს ვესაუბრე, დარწმუნებით შემიძლია ვიფიქრო, რომ უბრალოდ თვალი ამარიდეს. სხვა ვერაფრით ავხსნი იმას, რომ ორ საათზე მეტი დავყავი მონასტერში, ფოტო და ვიდეოფირზე აღვბეჭდე რაც და როგორც შევძელი და მე კი კარგად ვიცი, არასასურველი სტუმრის გამოჩენისას რა რეაქცია აქვთ! არაერთხელ შევსწრებივარ კიდეც. მონასტრის ტერიტორიაზე რომც არ იყონ, მყისვე აგზავნიან მავანთ. მობილური სულაც არ არის ბერებისთვის უცხო ხილი, არც კარებში დაყენებული "კამერები" აქვთ უქმად, ყველაფრით გაგრძნობინებენ, რომ ბატონ-პატრონნი არიან. მათი თანხმობის გარეშეც ძნელი წარმოსადგენია, მაღალ გალავანში დატანებული ძველი, მძიმე რკინის კარი გაეღოთ. კარებთან დაბმულმა ძაღლმა კი, კარის გაღებამდე ყეფით რომ შიშის ზარსა მცემდა (სხვათა შორის, ძაღლი მონასტრის ტერიტორიაზე არც ადრე მონახავს და ვგონებ არც ახლა უნდა ჰყავდეთ), შესვლისთანავე ყეფას უკლო და კეთილი მზერით შემოგვაჩერდა. ისევ სახლში ვიგრძენი თავი. მონასტერი მთლიანად დავათვალიერე. ყველაფერი ძველებურადაა, მხოლოდ კანკელთან ორი საყვავილე ლარნაკი დაუდგამთ. მეტისმეტად აჩქარებული საკუთარი გულისცემა ძალიან მიშლიდა ხელს, მაგრამ მაინც შევეცადე, ნანახი მაქსიმალურად აღმებეჭდა ვიდეოფირზე. ხაიმ კაპჩიცი კი რუსთაველის ფრესკის აღდგენის წინა სამუშაოებით სავსე ალბომებსა და ფურცლებს გვაჩვენებდა და მორიდებით გვიყვებოდა: ამ სვეტთან მოსვლამდე სამუშაომ ბევრად დიდი დრო წაიღო, ფერების შესწავლა-შეჯერებას ცალკე მუშაობა სჭირდებოდა, მაქსიმალურად შევეცადე ყველაფერში სიზუსტე დამეცვა. სხვა სამუშაოებისაგან განსხვავებით, როცა ფრესკას შტრიხებით ან წერტილებით აღვადგენთ, აქ სულ სხვა ამოცანა მქონდა - თქვენი პრეზიდენტის ჩამოსვლისას ნაუცბათევად და უხარისხოდ აღდგენით ხომ ის მცირედიც განადგურდა, რაც ფრესკის დაზიანების შემდეგ დარჩა. ასე რომ, თავიდან მომიხდა ყველაფრის დახატვა. ამ სვეტის მეორე მხარეს, რომელზეც წმინდა პეტრე და პავლეს ფერხთით დრანდელი ეპისკოპოსის ფრესკაა გამოსახული, მარცხენა კუთხეში უსწორმასწორო გვერდებიანი ფოსოა. ეს დაზიანება, ჩემ მიერ 2002 წელს გადაღებული სურათები რა მოსატანია, როცა ირაკლი აბაშიძის 1989 წელს გამოცემულ წიგნშიც "ფიქრები პალესტინაზე" ზუსტად იმავე ფორმის და სიდიდისაა. სწორედ ეს დაზიანება, რომელშიც ჯვრის მონასტრის მოხატვის სამი ფენა იკვეთება, ნათელს ჰფენს ჩვენში ცნობილ ვარაუდს, რომ მონასტერი იმ სახით, რაც დღეს გვაქვს, სამჯერ მოიხატა: 1) მონასტრის აღმშენებლის გიორგი-პროხორე შავშელი ბერის პერიოდში (XI ს.); 2) დავით VIII-ეს პერიოდში (XIV ს.), რომელმაც XIII ს-ში ეგვიპტის მამლუქთა მიერ მიზგითად გადაკეთებული "დატყვევებული" და "შეჭირვებული" (სწორედ ამ ტერმინებითაა მოხსენიებული აღაპებში) ჯვრის მონასტერი გაათავისუფლა, რისთვისაც "მეორედ აღმაშენებელი" ეწოდა; 3) ნიკიფორე ირბახის (ჩოლოყაშვილის) პერიოდში (XVII ს.), რომელმაც თავისი მოღვაწეობა მონასტერში შესასვლელი კარის თავზე არსებულ წარწერაში ასახა. "ეს მე არ აღმომიჩენია. ებრაელი სამი არქეოლოგი იყო და იმათ შეამჩნიეს" - კეთილსინდისიერად, გულწრფელად და სრულებით არა თავისი მნიშვნელობის წარმოსაჩენად და განსადიდებლად გვიყვებოდა ბატონი ხაიმი. ამჯერად მუზეუმში შესვლა არც კი მითხოვია, ჩემთვის უძვირფასესი ვიდეო და ფოტომასალის უსაფრთხოდ წამოღების შესაძლებლობას გავუფრთხილდი.

ბატონ ხაიმს ორი ახალგაზრდა ტექნიკური დამხმარეც ჰყავდა, მთის ებრაელები, ე.წ. ქარტები. ისინი ადრე დაღესტანში, განსაკუთრებით კი დარუბანდში მცხოვრები სპარსულენოვანი ებრაელები არიან, რომლებიც შემდგომში დაიფანტნენ და ყველაზე დიდი დასახლებები აზერბაიჯანში შექმნეს. საქართველოში მათ ქართველი ებრაელები ლახ-ლუხებს უწოდებენ. ეს ორი ახალგაზრდა ლახ-ლუხიც ბატონ ხაიმის მეთვალყურეობით, დიდი მონდომებითა და გულისყურით მუშაობდა.

ახლა კი: "აწ ენა მინდა გამოთმად, გული და ხელოვნება, - ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება".

ლოცვასავით ვიმეორებ, ლოცვასავით იმიტომ, რომ ძალა შემმატოს, შევძლო იმ სიტყვების ზუსტად მოძებნა, აზრის ისე დალაგება, სათქმელის ისე თქმა, რომ გული არავის ვატკინო, დამოძღვრასა და საყვედურშიც ნურავინ ჩამითვლის, მხოლოდ დიდი გულისტკივილი მალაპარაკებს და მაწერინებს.

არავისთვის არ არის ძნელი წარმოსადგენი ის მოზღვავებული, ძნელად გასამკლავებელი ემოციები, თითოეულ იქ მისულ ქართველს რომ ეუფლება. ქართველი რა გასაკვირია, როცა ისრაელში მყოფი თითქმის ყველა ელჩი და საელჩოს წარმომადგენელი გვყავდა ჯვრის მონასტერში და ისინიც ვერ ფარავდნენ აღტაცებას (სხვათა შორის, ავსტრიის მაშინდელმა ელჩმა ისრაელში ახლახან გამომიგზავნა ამონაბეჭდი კემბრიჯის უნივერსიტეტში გამოცემული წიგნიდად, სადაც ჯვრის მონასტერს რვა გვერდი ეთმობა. მართლაც რამხელა დაინტერესებაა.). ყველას ემოციას უდიდეს პატივს ვცემ, ყველას გულისტკივილს ვიზიარებ. ან კი როგორ შემიძლია არ გავიზიარო ის გრძნობა, რაც ყოველი იქ მისულის გულში ტრიალებდა, მაგრამ არავინ იცის, როგორი რუდუნებით, სიფრთხილით, ნაბიჯ-ნაბიჯ გვიწევდა თავიდან ურთიერთობის დალაგება, რად გვიჯდებოდა იქ დარჩენილებს ჩვენი ქართველობის დაცვა, რამდენი კარგი წამოწყება შეიწირა არცთუ ისე იშვიათმა მგზნებარე გამოსვლებმა: "თქვენ წაგვართვით", "ჩვენ დავიბრუნებთ", "რატომ "ვეფხისტყაოსანი" არ იყიდება ჯვრის მონასტერში", "რა გიქნიათ, ყველაფერი გაგიფუჭებიათ", "რატომ გვიშლით ხელს გათხრების ჩატარებაში", "ჩემს მონასტერში როგორც მინდა, ისე ვილოცებ", "ჩვენს მონასტერში რა შეკრება მოგიწყვიათ" და ა.შ. და ა.შ. არადა, ამ წუთში ხომ არ არის ჩვენი. რატომ ვაღიზიანებდით, რა გვაჩხუბებდა?!

ვანდალიზმსა და ბარბაროსობას რა ახსნაც არ უნდა მოვუძებნოთ, გამართლებას მაინც ვერ ვუპოვით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: შოთა რუსთაველის ფრესკის ისტორიას ახალი ფურცელი შეემატა - 2005 წლის მაისიდან მან ახალი ცხოვრება დაიწყო, ძველი ფრესკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი კი - ქუდი, სახე და წვერი, ჩვენდა სავალალოდ, მტვრად იქცა. ვის დავაბრალოთ, ან რა აზრი აქვს დამნაშავის ძებნას. "მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს", მაგრამ იმასაც ხომ გვასწავლიდა დიდი რუსთაველი: "არას გვარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგების!" ხომ არ აჯობებდა, ჩხუბის და დავიდარაბის ნაცვლად დიალოგი გაგვემართა. მონასტერი ხომ მათ ეკუთვნით, ე. ი. ვისაც არ უნდა დაეზიანებინა, პასუხი მათ მოეთხოვებოდათ, მათ უნდა მიეხედათ. დაზიანება რომ შევნიშნე, იატაკი უკვე მოწმენდილი იყო, ე.ი. ვისაც არ უნდა გაეფუჭებინა, მომხდარის შესახებ მათ უეჭველად უკვე იცოდნენ, პოლიციაში კი ჩვენ განვაცხადეთ და არა მათ. იქნებ საუბრით ქართველი ბერებისთვის იქ თუნდაც ცოტა ხნით ცხოვრების უფლება მოგვეპოვებინა კონტაქტების დასამყარებლად, შოთა რუსთაველის, გიორგი-პროხორეს - ჯვრის მონასტრის აღმშენებლის, პეტრე იბერისა და იოანე ლაზის (მათი სავარაუდო ფრესკები ხომ ყველაზე საპატიო ადგილას - შესასვლელი კარის გვერდითაა გამოსახული), რომელთა სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული ეკლესია-მონასტრების შენება წმინდა მიწაზე V ს-დან, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების (მათი ფრესკებიც ხომ ამშვენებს ჯვრის მონასტრის კედელს შემოსასვლელი კარის მარცხნივ), რომელთა "ბრძანებითა და მოწყალებითა" აშენებდა გიორგი-პროხორე ან სხვა ქართველ მოღვაწეთა ხსენების დღის დაწესება გვეთხოვა, რომლებზედაც საქართველოდანაც მიიწვევდნენ საპატიო სტუმრებს, რაც უსათუოდ წაადგებოდა შემდგომი ურთიერთობების გაღრმავებას, ან მეცნიერთათვის საბუთების შესასწავლად ბერძნულ საპატრიარქოში მუშაობის პირობა მიგვეღო. სხვათა შორის, ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში ცოტა ხნით შემიყვანეს, ამ გრძნობას ვერანაირი სიტყვებით ვერ გადმოვცემ. იმ რამდენიმე წუთში ათასმა აზრმა გამიელვა, იმედით ამანთო, მაგრამ მაშინაც ზემოთ აღნიშნულმა გარემოებებმა ისევ გაართულა ურთიერთობა და, მართალია იმედს არ ვკარგავ, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ხნით გადაიდო ჩემი იმედი.

"თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები". რამდენი რამის მოფიქრება და მოსინჯვა შეიძლებოდა!

"ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა;
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!"

თითქოს თავის თავზე დაწერაო და ჩვენ რაღა დაგვემართა, რატომ უნდა გავწიროთ, გავაუფასუროთ ის, რაც გვაქვს?! იქნებ სჯობდეს, ფრესკასთან დაკავშირებით "არ ვარგა" სიტყვა "ახალიათი" შეგვეცვალა. ვშიშობ, ფრესკის ზემოთ მოხსენიებული პირველსახის მნიშვნელობა წყენას არ გადავაყოლოთ და ამით, ჩვენდაუნებურად, მომავალ თაობას შოთა რუსთაველის ფრესკის სიყვარული და ინტერესი გავუნელოთ!



ძველი ფრესკა.



აღდგენილი ფრესკა.



ხაიმ კაპჩიცი მუშაობისას.

# საქართველო და კავკასია

პირველი გვერდიდან

ზურაბ ჟვანია

მოგესალმებით. დღეს მე მინდა თქვენთან ერთად ვისაუბრო იმაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქართველოში არსებული პრობლემები.

ნებისმიერ საკითხში არსებობს თეორია და არსებობს ის პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს თეორიის განხორციელებას. ეს ლექციების კურსიც დემოკრატიის თეორია და პრაქტიკაა. მე თქვენთან ერთად გავიარე ის თეორიები, რომლებიც საფუძვლად უდევს დემოკრატიის კონცეფციის ჩამოყალიბებას თანამედროვე მსოფლიოში. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით თეორიულ ასპექტებს, მაგრამ თქვენ ახლა უკვე წარმოდგენილი გაქვთ, როგორ ყალიბდებოდა თანამედროვე ტიპის სახელმწიფო მრავალი საუკუნის განმავლობაში, როგორ ივსებოდა იმ მამოძრავებელი თეორიებით, რაც საბოლოოდ ქმნის, დავუშვათ, დასავლეთ სამყაროში ეგრეთ წოდებულ კეთილდღეობის საზოგადოებებს, როგორ ახერხებენ მცირე სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობების შედეგად თავიანთი ინტერესებისა და უფლებების დაცვას. ეს შესავალი საჭირო იყო იმისთვის, რომ მივუახლოვდეთ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან თემას; ეს თემაა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ყველა ის თეორია იმ მიწაზე, სადაც თქვენ დაიბადეთ და, სადაც ღმერთმა გარგუნათ, რომ იმოღვაწეოთ. მე მინდა, რომ თქვენთან ერთად ჩავიაროთ, თუ რას ეფუძნება თანამედროვე ქართული სახელმწიფო. რა უძღოდა წინ თანამედროვე ქართულ პოლიტიკას. მინდა ერთი ლექცია დავუთმო იმ ათწლეულს, პირობითად ოთხმოცდარვა წლიდან, რომელმაც ყველაზე დიდი ცვლილებები მოუტანა თქვენს თაობას და შემდეგ ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ უნდა წყდებოდეს სამომავლოდ დღეს არსებული პრობლემები. ჩვენ გადავხედავთ ქართულ ისტორიას, იმასაც, თუ როგორ ვითარდებოდა იგი თუნდაც მეცხრამეტე საუკუნეში.

მინდა დავიწყოთ იმით, თუ რა ფენომენია საქართველო. მე მინდა, რომ თქვენ თავად გადაამოწმოთ თქვენი თავი, თუ რამდენად წარმოგიდგენიათ ის მრავალფეროვნება, ის წინააღმდეგობრივი სირთულე, რასაც წარმოადგენს საქართველო, როგორც ერთიანი ფენომენი. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ, თუ რას ნიშნავს, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მრავალფეროვნებაზე? ვინმეს თუ შეგიძლიათ დააფიქსიროთ, რომელ რეგიონებში რა ძირითადი ეთნიკური უმცირესობები არსებობს? - სომხები გვხვდებიან სამხრეთ ნაწილში: ქვემო ქართლის რეგიონში და სამცხე-ჯავახეთში; ჯავახეთის ორ რაიონში, ნინოწმიდასა და ახალქალაქში დიდ უმრავლესობას ქმნიან სომხები. ახალქალაქში დაახლოებით 80 პროცენტამდე, ნინოწმიდაში 90 პროცენტამდე, ხოლო ქვემო ქართლში, მარნეულის, დმანისის, ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში ასევე აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ აზერბაიჯანელები. მარნეულში 80 პროცენტამდე, გარდაბანში 65 პროცენტამდე, ბოლნისში 60 პროცენტს, დმანისში 50 პროცენტს და ასე შემდეგ. ბოლო ათწლეულში მოხდა ბერძნების დიდი მიგრაცია წალკიდან საბერძნეთში, ამიტომ იქ გაიზარდა სომხების წილი. დღესდღეობით წალკის რაიონში უმრავლესობა სომხები არიან, მაგრამ ეს არის პონტოელი ბერძნების დასახლების ადგილი. თუ იცით, პონტოელი ბერძნები რით განსხვავდებიან? - ისინი თურქულ ენაზე მეტყველებენ, მაგრამ არიან ამავე დროს მართლმადიდებლები. ეს, რაც შეეხება ყველაზე თვალშისაცემ განსხვავებებს ეთნიკური ტრადიციის თვალსაზრისით. ოსები ცხინვალში, შიდა ქართლშიც გვხვდებიან. ებრაელები თბილისში, ქუთაისში, ქარელში, სურამში. უმცირესობები ასე გაბნეულები არიან, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ წარმოვიდგინოთ ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემები და აგრეთვე მათი გადაჭრის შესაძლებლობები.

უმეტესობას ძალიან ბუნდოვანი, ზერელე და ზედაპირული წარმოდგენა აქვს იმ უაღრესად რთულ ფენომენზე, რასაც საქართველო წარმოადგენს. შემიძლია გავიხსენო, რომ ჩემს მეგობარს, გერმანიის ელჩს საქართველოში, ნორბერტ ბაასს, ერთხელ კერძო საუბარში, როდესაც რაღაც მორიგ პრობლემებზე ვსაუბრობდით, აღმოხდა ასეთი ფრაზა: "საქართველო ასეთი პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისი მართვა და აქ ლიდერობა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე უშველებელი იმპერიის მართვაო." და ეს მართლაც საოცრად ზუსტი დაკვირვებაა. იმის გამო, რომ საქართველო არის უნიკალური ქვეყანა, შეიძლება მრავალ სხვა მცირე სახელმწიფოთა რიგში, სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ საოცრად, წარმოუდგენლად მრავალფეროვანია. იმისთვის, რომ იმას ჩაწვდე და გაიგო, ქართული პოლიტიკა როგორ უნდა იყოს წარმატებული, როგორ უნდა უზრუნველყო ქართული სახელმწიფოს მდგრადობა და მისი წარმატებული განვითარება, აუცილებლად უნდა გქონდეს გონებაში წარმოდგენილი, თუ რა საზოგადოებასთან, რამდენად მრავალფეროვან, და ხშირად ამ მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, აუარებელი წინააღმდეგობით აღსავსე საზოგადოებასთან გვაქვს საქმე.

მე ვთხოვე გიორგის, რომ ეპოვა საქართველოს რუკა. დღეს დილით გამახსენდა, და ძალიან მოხარული ვარ, რომ GIPA-ში აღმოჩნდა საქართველოს რუკა. ეს არის სამოცდაათი ათასი კვადრატული კილომეტრი. ეს ძალიან პატარა ტერიტორიაა, მაგრამ, აი, გავანებოთ თავი დღევანდელ პრობლემებს აფხაზეთში. აი, აიღეთ, სანაპიროს რომ გავყვეთ, დავიწყოთ, დავუშვათ, სარფიდან - სარფი, თქვენ, ალბათ, იცით, ლაზური სოფელია. შემდეგ არის აჭარული მოსახლეობა, რომელიც თავისთავად ძალიან დიფერენცირებულია. სულ სხვა კულტურული გარემო არსებობს, დავუშვათ, აჭარის მთიანეთში, და სრულიად განსხვავებულია, დავუშვათ, იგივე ქობულეთის სოციალური სტრუქტურა. ბათუმი, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ყალიბდებოდა ასევე როგორც სრულიად განსხვავებული გარემოს მქონე ქალაქი. თავად მოსახლეობას რომ გადავხედოთ, ნახავთ, რომ ისიც საკმაოდ მრავალფეროვანია. ესე იგი, ერთის მხრივ - ეს არის "სამუსულმანო საქართველოს" დღევანდელი ჩვენს საზღვრებში დარჩენილი ნაწილი - აჭარა. "სამუსულმანო საქართველო" ილია ჭავჭავაძის შემოტანილი ტერმინია. ეს საკმაოდ დიდი ტერიტორია იყო, რომელიც მოიცავდა იზეს, ართვინს, და თურქეთის ტერიტორიაზე ოთხ თუ ხუთ ვილაიეთს. ეს აჭარაზე ფართობით ხუთჯერ, ექვსჯერ დიდი ტერიტორიაა, სადაც ასევე კომპაქტურად სახლობენ ქართველები, უბრალოდ გამუსულმანებულნი ოთხასწლიანი ოსმალური ბატონობის დროს. აჭარაში დღეს განსაკუთრებულად მძაფრი არ არის რელიგიური ფაქტორი და ძალიან ცოტა შეგიძლიათ იპოვოთ დასახლება, სადაც მძაფრად დგას მუსულმანობის საკითხი. მაგრამ ერთიანი მართლმადიდებლური კულტურული ნაკადის მიღმა ოთხასწლოვანმა ყოფნამ, ბუნებრივია, მრავალი თავისებურება დაამჩნია ამ მოსახლეობას.

მოდით, ავუყვეთ, ასე ვთქვათ, სანაპიროს. თქვენ გაივლით გრიგოლეთს, სადაც ცხოვრობენ ერთ-ერთი რუსული სექტის - მალაკნების წარმომადგენლები და იმათ თავისი, სრულიად თავისებური კულტურა აქვთ. ეს არის პატარა კომუნა, რომელიც დღეს, ალბათ, ორ ასეულ ადამიანზე მეტს არ ითვლის, მაგრამ ის თავისთავად ძალიან საინტერესოა, და თუ გავითვალისწინებთ სტაროვერების კომუნებს ჯავახეთის ტერიტორიაზე, ეს ქართული საზოგადოების ძალიან საინტერესო კომპონენტია.

შემდეგ ჩვენ შევდივართ სამეგრელოში, ხომ? მე ფოთზე არაფერს ვლაპარაკობ, რომელიც ასევე არ არის, ასე ვთქვათ, გამოცალკევებით სამეგრელოდანაც და გურიიდანაც, და ნიკო ნიკოლაძის შემდეგ ასევე სრულიად თავისებურ ფენომენს წარმოადგენს თავისებური ტრადიციებით, თავისებური ხედვით და განცდით იმისა, თუ რა არის ქალაქი ფოთი. შედიხართ სამეგრელოში, აი, თბილისის გადმოსახედიდან შეიძლება ჩათვალოთ, რომ სამეგრელო არის სამეგრელო, მაგრამ თვითონ სამეგრელო არის საოცრად მრავალფეროვანი. არსებობს ჩხოროწყუსა და წალენჯიხის მთიანეთი, ეგრეთწოდებული ლაკადა, სადაც მეგრული დიალექტიც კი განსხვავებულია იმ მეგრულისაგან, რომელზეც საუბრობენ, დავუშვათ, ზუგდიდში ან სენაკში. სამეგრელო ყოველთვის განიხილავდა თავის განუყოფელ ნაწილად იმ ტერიტორიას, რომელიც წარმოადგენს გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიებს მდინარე ღალიძგამდე. ესე იგი, აქაც არის განსხვავებული, მაგრამ მეგრულენოვანი მოსახლეობა, რომელსაც ცოტა განსხვავებული კულტურული ტრადიცია აქვს, ცოტა განსხვავებულ მეგრულ დიალექტზე საუბრობენ და სხვ. შემდეგ, თქვენ მოგეხსენებათ, ვთქვათ, რამდენად თავისებური და განსხვავებულია თავისთავად აფხაზური მოსახლეობა, განსხვავებული ლინგვისტურადაც და განსხვავებული ძალიან ბევრი სოციალური ტრადიციით. აი, თქვენ ხედავთ, ეს მონაკვეთი, რომელიც სამას კილომეტრსაც არ წარმოადგენს, განსხვავებული ენობრივი, რელიგიური, კულტურული ტრადიციების როგორ კალეიდოსკოპს გთავაზობთ.

და ახლა დავყვეთ გზას ამ კავკასიონის ქედის გასწვრივ, დაწყებული, დავუშვათ, აფხაზეთის მთიანეთით, რომელიც, სხვათა შორის, ბოლომდე არ ყოფილა, სამწუხაროდ, შესწავლილი არც ჩვენი ეთნოგრაფების, არც ჩვენი სხვა სპეციალისტების მიერ, და აბსოლუტურად უნიკალურ ანკლავებს წარმოადგენდა როგორც ბუნებრივი მემკვიდრეობის, ანუ ბუნების თვალსაზრისით, ქვემოთ აფხაზეთის დაბლობისაკენ, ქალაქებისაკენ, პირველ რიგში, სოხუმისაკენ - და იყო ერთგვარი გარდამავალი ტერიტორია.

სვანეთზე როდესაც ვფიქრობთ, უნდა წარმოვიდგინოთ, რამდენად ხანგრძლივი ტრადიცია აქვს მიგრაციის პროცესებს სვანეთის მთიანეთიდან ბარში. აი, მაგალითად, როდესაც ზუგდიდიდან მიდიხართ მესტიაში, დაახლოებით შუა გზაზე არის სოფელი ხაიში, სადაც ცხოვრობენ ძირითადად ჭკადუების გვარის წარმომადგენლები. ესენი თავს მიიჩნევენ სვანებად, და სვანები თვლიან, რომ ესენი მთლად სვანები არ არიან, და ეს ძალიან საინტერესო ფენომენია. მე, როდესაც ვიბრძოდი ხუდონჰესის წინააღმდეგ, ძალიან კარგად მახსოვს მაშინ მრავალი ქართველი ეთნოგრაფის მოსაზრება, რომ სოფელ ხაიშს თვითონ ამ მიგრაციული პროცესების სტრუქტურაში ჰქონდა სრულიად განსაკუთრებული ადგილი და როლი, ვინაიდან, თუ დაიტბორებოდა ეს სოფელი - მათი არგუმენტაცია ასეთი იყო, - ეს პრაქტიკულად ბევრად აგრძელებდა დისტანციას მესტიასა და მესტიის მახლობლად განლაგებულ დასახლებებსა და დაბლობს შორის, და პრაქტიკულად ეს არღვევდა ამ მოსახლეობის კულტურის, გამოცდილების მუდმივი გაცვლის სისტემას, რომელიც ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში.



ზურაბ ჟვანია

ჩვენი თაობის პრივილეგია

თქვენ შეიძლება ახლა უცნაურად მოგეჩვენოთ, რატომ გიყვებით მე ასეთ შემთხვევით სხვადასხვა დეტალებს. მე მინდა იმის დემონსტრირება მოვახდინო, რომ თითოეულმა თქვენთაგანმა წარმოიდგინოს, რომ საქართველო არის უნიკალური და განსაკუთრებული იმის გამო, რომ ერთ პატარა ტერიტორიაზე ერთ პატარა სოფელს შეიძლება ჰქონდეს ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ჩვენი ერთიანი ეროვნული ფენომენისათვის, აი, იმ ერთიანობისათვის, რასაც ჰქვია ქართული ფენომენი, ქართული ერთიანობისათვის, ვიდრე უშველებელ გუბერნიებს მრავალრიცხოვანი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებს სხვა ქვეყნებში.

აი, არის, მაგალითად, სოფელი არხოტი, რომელიც განლაგებულია მდინარე ასას ხეობაში. მასში შედის, თუ არ ვცდები, პრაქტიკულად სამი პაწაწუნა დასახლება - სოფელი, რომელთაგან თითოეულში სულ ოთხიხუთი კომლია ერთიმეორის გვერდით. ასას ხეობის ეს საკმაოდ დიდი ტერიტორია, რომელზეც ასე ცოტა კომლი სახლობს, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებს არ უკავშირდება არანაირი კომუნიკაციის საშუალებით, იქ არ არსებობს აქედან გასასვლელი და აქ შემოსასვლელი სამანქანო გზა. აქ ზამთარში ხევსურთა ორისამი ოჯახიღა რჩება. მაგრამ აი ეს სოფელი არხოტია პრინციპულად მნიშვნელოვანი ინგუშეთსა და ხევსურეთს შორის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთობების შესანარჩუნებლად, და ქართული ცნობიერებისათვის იქ ამ პაწაწინა რამდენიმე სახლის დაკარგვა შეიძლება არანაკლები ტრაგედია იყოს, ვიდრე ბევრად უფრო დიდი ტერიტორიის ჩამოცილება და სხვა.

კიდევ ერთხელ გიმეორებთ: მე მინდა, თქვენ წარმოიდგინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს გააზრებისათვის, თქვენ მყარად გესმოდეთ, რომ საქართველო ეს არ არის თბილისი, ეს არ არის ის "ტუსოვკები" და შეკრებები, რომლებიც არის ჩვენს დედაქალაქში, ეს არ არის ქუთაისი, ეს არ არის ზუგდიდი, ეს არ არის თელავი, საქართველო არის ეს ყველაფერი ერთად აღებული. და თუ შენ გინდა, წარმართო პოლიტიკა საქართველოში, შენ უნდა გქონდეს ზუსტად წარმოდგენილი, თუ რა პრობლემები აქვს ჯავახეთის სოფელს, და როგორი არის მისი ორიენტირები, რა პრობლემები აქვს, დავუშვათ, თუშეთის მოსახლეობას, რა არის თუშეთი. ეს არის ის, რომ ზამთარში იქ, არ ვიცი, დღესდღეობით შეიძლება ოციოცდაათი ოჯახი რჩებოდეს. მთათუშეთს ვგულისხმობ, დანარჩენი ოჯახები ჩამოდიან ალვანში და ბარში. თუშებისათვის განმსაზღვრელი არის, როგორი ურთიერთობები ექნება საქართველოს ჩეჩნეთთან ან დაღესტანთანაც, მაშინ როდესაც აჭარლების, ხულოს რაიონის მცხოვრებლისათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, როგორი ურთიერთობები ექნება საქართველოს, დავუშვათ, ართვინის ვილაიეთთან თურქეთში, და რამდენად გახსნილი იქნება აქ მისთვის კეთილმეზობლური გარემოს გამო ეკონომიკური შესაძლებლობები და სხვა.

მე ერთ-ერთ ლექციაზე გითხარით, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს კონცეფცია, ისევე როგორც ბევრი სხვა თანამედროვე სახელმწიფოს კონცეფციაც, არის ერთგვარად ხელოვნური. რას ნიშნავს ხელოვნური? მამაზეციერს არ უბრძანებია, რომ საქართველო უნდა ერქვას ქვეყანას იმ საზღვრებში, იმ შემადგენლობით, როგორიც არის დღეს. როგორ მოხდა ის, რომ, დავუშვათ, აი, ეს მეგრულ-ჭანური ტრადიციისა და ენის მატარებელი ტომები გაერთიანდნენ ქართველური ენის მატარებელ ტომებთან და ჩამოყალიბდა ერთიანი საერთო სახელმწიფოებრივი ცნობიერება?

**- მეგრული ეს არის ქართველური ენა...**

- კი, რა თქმა უნდა, ქართველური ენაა, მაგრამ, ასე ვთქვათ, მაინც ცალკე ენაა. ლინგვისტური თვალსაზრისით არასწორია, რომ მას ეწოდოს დიალექტი. მაგალითად, შვედურსა და ნორვეგიულს შორის განუზომლად ნაკლები განსხვავებაა, ან რუსულსა და უკრაინულს შორის, ვიდრე სალიტერატურო ქართულსა და მეგრულს შორის. ასე თუ ისე, მეგრელებს აქვთ თავისი სასაუბრო ენა, რომელსაც გამოიყენებენ ყოფაში, ოჯახში და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მათ განასხვავებს საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისაგან. ანალოგიური რამ ითქმის სვანებზე. მე არ მაქვს პრეტენზია, რომ ვარ ლინგვისტი. თამაზ გამყრელიძესთან მქონდა ბევრჯერ საუბარი, რომ პროტოქართულთან, ძველქართულთან ყველაზე ახლოს არის სვანური, შემდეგ მოხდა განვითარება მეგრულისა და აღმოსავლეთ ქართულისა. ფაქტია, რომ ჩვენი ლინგვისტური მემკვიდრეობა მოიცავს არა მხოლოდ ძირითად ქართულს, არამედ ისეთ საოცრად მდიდრულ ენებს, როგორიც არის მეგრული და სვანური ენები. ეს არის მემკვიდრეობა, რაც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს. და რისი კვლევითაც ჩვენ ძალზე ბევრი რამ შეგვიძლია გავიგოთ ჩვენი წარსულის შესახებ.

მაშ, როგორ მოხდა ის, რომ ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერება? მე ძალიან მიყვარს ამ თვალსაზრისით, აი, ის ლეგენდა, რომელიც ვახსენე უკვე, რომ ფარნავაზის ზეობის პერიოდში კოლხეთის მეფე ქუჯიმ გაუგზავნა მას წერილი და, - არ მახსოვს ახლა მემატიანის სიტყვები ზუსტად, - უთხრა, რომ შენ იყავი მეფეთ-მეფე სრულიად საქართველოსი, და მე ვიქნები შენი ერთ-ერთი ერისთავთაგანიო. მე ნამდვილად არ ვარ ისტორიკოსი, და ჩემი ამოცანა არ არის, რომ თქვენ მოგცეთ საქართველოს ისტორიის ცოდნა, მაგრამ ამ ლეგენდაში არის ის საკვანძო ელემენტი, ის გასაღები მოცემული, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, არის საერთო ქართული ერთიანობის საფუძველთა საფუძველი. აი, აქედან, ამ მომენტიდან ქართულ ისტორიულ ტრადიციაში ითვლება, საერთოდ, რომ ფარნავაზი იყო პირველი საერთო ქართველი მეფე. შემდეგ, თქვენ იცით, რომ ძალიან ხანმოკლე იყო მთელი ისტორიის გადმოსახედიდან ის მომენტები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როდესაც საქართველო იყო ერთიანი, სუვერენული სახელმწიფო. ამასთან შედარებით ბევრად უფრო ხანგრძლივი იყო პერიოდები, როდესაც ის იყო დაქსაქსული, და არა მხოლოდ დაქსაქსული სხვადასხვა ფეოდალურ სუბიექტებად, არამედ ეს სუბიექტები სხვადასხვა საგარეო ძალთა დომინირების ქვეშ იმყოფებოდნენ. დავუშვათ, ბიზანტიისა და სპარსეთის, მომდევნო უკვე შუა საუკუნეების პერიოდში ოსმალეთისა და სპარსეთის, შემდეგ შემოდის რუსეთი, როგორც მოთამაშე ან გეოპოლიტიკური ფაქტორი ქართულ რეალობაში და სხვა და სხვა. მაგრამ ფარნავაზიდან მოყოლებული ჩნდება აი ეს საერთო ქართული იდენტურობის განცდა. საბოლოო ჯამში, რა არის საკუთარი თავის მიკუთვნება რაღაცა ნაციონალური ერთობისათვის. ეს არის ის, როდესაც ყველა ადამიანი, იმის მიუხედავად, რომ, შეიძლება ერთმანეთისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობენ სახლში, როდესაც აცხადებენ, რომ მე, შენც და შენც ვართ ამ ერის წარმომადგენლები, ჩვენ ყველანი ვართ ქართველები.

რატომ ვუსვამ ხაზს ამას, აი ამ ერთგვარ ხელოვნურობას - და ანალოგიურად არის, სხვათა შორის, გერმანული სახელმწიფოს კონცეფცია, ანალოგიურად არის იტალიური სახელმწიფოს ან ესპანური სახელმწიფოს კონცეფცია და სხვა და სხვა.

**- სხვადასხვა, მაგრამ ახლა საპირისპიროს რომელს მოიყვანდით? აი, ბუნებრივი სახელმწიფო, მაგალითად, თუ არსებობს ზუსტად ხელოვნურის საპირისპირო, ხომ უნდა არსებობდეს, არა?**

- დავუშვათ, იგივე ბრიტანეთი, იმის გამო, რომ იყო იზოლირებული ოკეანითა და წყლით, ამის გამო იქ ცოტა სხვანაირად ვითარდებოდა ეს პროცესები.

**- ან იაპონია.**

- ან იაპონია, თუნდაც, მართალი ბრძანდებით. იგივე შეერთებული შტატები. იქ, საერთოდ, იცით თქვენ, სრულიად სხვა კანონზომიერებები ედო ამას საფუძვლად. თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ეს თვითონ ამ სახელმწიფოს სისუსტეს ან არამდგრადობას არანაირად არ ნიშნავს. უბრალოდ, მე ახლა მივალ იქამდე, რატომ ვუსვამ მე ამას ასე განსაკუთრებულად ხაზს.

ძალიან ხანგრძლივი ისტორიული პერიოდების განმავლობაში, მაგალითად, აფხაზური ეთნოსი იყო მატარებელი, აბსოლუტურად, საერთო ქართული ცნობიერებისა, და საერთო ქართული იდენტურობა ჰქონდა აფხაზეთს. ამის მაგალითია აი ის, როდესაც ხშირად იყენებენ ქართული მხარეც და აფხაზური მხარეც სპეკულაციისათვის იმ ფაქტს, რომ ქართველი მეფეების ტიტულატურა ასე იწყებოდა: მეფე აფხაზთა, რანთა და ა.შ. ეს იყო პირველი ტიტული, და იცით თქვენ, მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში აფხაზური შტო იყო ძალიან ძლიერი და პრაქტიკულად ის ბატონობდა ქუთაისში, და იყო დომინანტური ფეოდალური გვარი, ასე ვთქვათ, ყოველ შემთხვევაში დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მასშტაბით. ეს იმიტომ კი არ იყო, რომ მათ დაიპყრეს საქართველო, დავუშვათ, და სხვა ქართული ტომები. ეს იყო იმის გამო, რომ იმ ერთობაში ისინი ახდენდნენ საკუთარი თავის გამოყოფას, გამოცალკევებას სხვა ქართული ფეოდალური სუბიექტებისაგან, სხვა ქართული ფეოდალური წარმონაქმნებისაგან. მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული, ძალიან ინტენსიური მუშაობის შედეგად, და განსაკუთრებით ახლა, რაც მე მესმის აფხაზეთთან ურთიერთობის დროს, თვითონ როგორ აღიქვამენ ისინი ბოლო საუკუნის საკუთარ ისტორიას, განსაკუთრებით ბერიას რეპრესიების შემდეგ, ესე იგი, აფხაზებს გაუჩნდათ ამ საერთო ქართული ეთნოსისგან აბსოლუტური დისტანცირების გრძნობა. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში, თქვენ გახსოვთ, როდესაც იხილებოდა სოხუმის ოლქის კრასნოდარის გუბერნიასთან მიერთების საკითხი, შერვაშიძის თაოსნობით მთელმა აფხაზურმა თავადაზნაურობამ მიმართა პეტიციით იმპერატორს იმ მოთხოვნით, რომ სოხუმის ოლქი დარჩენილიყო და შეყვანილიყო ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში, და ამას განსაკუთრებით მიესალმა ილია ჭავჭავაძე თავის სპეციალურ პუბლიკაციებში, და ეს იყო ერთ-ერთი აპოთეოზი, სხვათა შორის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა, და ის გამოხატავდა აფხაზური ელიტის აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვან ორიენტაციას, ვთქვათ, იმისადმი, თუ სად არის ცენტრი. მართლაც, თითქოს, რაში სჭირდებოდათ ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შემოყვანა, ბოლოს და ბოლოს, იგივე ეკონომიკური თვალსაზრისით უშუალოდ ერთ-ერთ რუსულ გუბერნიაში შესვლა, შეიძლება, უფრო მომგებიანიც ყოფილიყო მაშინ მათთვის, მაგრამ ეს იმდენად ძლიერი საერთო იდენტურობის განცდა იყო, რომ მათ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს.

ასეა თუ ისე, ამ მიზანმიმართული იმპერიული პოლიტიკის შედეგად და სხვა და სხვა ფაქტორების გამო, ფაქტია, რომ სამოციანი წლებიდან, ხრუშჩოვის პერიოდიდან მოყოლებული, ძალიან ძლიერდება აფხაზეთში სეპარატისტული ტენდენციები, განწყობილება და მენტალიტეტი, რომელიც უკვე სრულიად ცალკე გამოყოფდა, ხშირ შემთხვევაში უპირისპირებდა აფხაზურ იდენტურობას საერთო ქართულ იდენტურობას. გესმით? აი, ამიტომ მინდა თქვენ, როგორც მომავალმა ჟურნალისტებმა და სახელმწიფო მოხელეებმა, მუდმივად გაითვალისწინოთ, რომ თითოეული კომპონენტი იმ რთული სისტემისა, რაც არის საქართველო, იმდენად იქნება ინტეგრირებული საერთო ქართულ სახელმწიფოში, რამდენ ძალისხმევასაც ჩვენ გავწევთ მათი ინტეგრაციისათვის. ეს უნდა იყოს მუდმივი პროცესი და ისინი მუდმივად უნდა გრძნობდნენ თავს უფრო დაცულად, უფრო რეალიზებულად სწორედ აი ამ ერთობის ჩარჩოებში.

იყო პერიოდები, როდესაც ამ გაუთავებელი, განსაკუთრებით მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული, კატაკლიზმებით საქართველოს მოსახლეობა მკვეთრად შემცირდა. ძალიან, დაახლოებით თხუთმეტჯერ, თვრამეტჯერ შემცირდა, და იყო პერიოდები, როდესაც ქართველი მეფეები, სადღაც მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებიდან მოყოლებული, მიზანმიმართულ პოლიტიკას ატარებდნენ ქართულ მიწებზე პონტოელი ბერძნების ჩამოსახლების თვალსაზრისით, სომხების ჩამოსახლების თვალსაზრისით. ხდება სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლების ჩამოსახლება და პოლიტიკა ესწრაფვის იმას, რომ მოხდეს ამ ხალხების, ამ სხვადასხვა ერების წარმომადგენლების ასიმილაცია, იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი იქნებიან ერთგულნი ქართული ტახტისა. ანუ, როდესაც საქართველოს ქვეშევრდომობას იღებენ, ისინი განიცდიან სრულ ინტეგრაციას ქართულ სახელმწიფოში. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო ნაკარნახევი კარგი ცხოვრებით, და გამოწვეული იყო იმ უდიდესი პრობლემებით, რომლებიც საქართველომ გაიარა. ეს რამდენიმე ტალღა აზვირთდა ჯალალედინის დროიდან, და იცით თქვენ, პრაქტიკულად მართლაც, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, გაუთავებლად იყო შემოსევები, რომლებიც აბსოლუტურად აპარტახებდა ქვეყნის ტერიტორიას, ანადგურებდა მის ეკონომიკურ პოტენციალს და მკვეთრად ამცირებდა მოსახლეობის რაოდენობას. მაგრამ, როგორც ამის შედეგი, ჩვენ მივიღეთ აი ასეთი მრავალეთნიკური და ძალიან მრავალფეროვანი საქართველო.

როგორ უნდა შევხედოთ დღეს ამ პრობლემას? ამაზე ჩვენს ლექციებზე შემდეგ კიდევ გვექნება არაერთი საგანგებო საუბარი - როდესაც განვიხილავთ ჩვენი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ბოლო თორმეტი წლის ისტორიას და გამოცდილებას იმაზე თუ, ჩემი აზრით, რა შეცდომები, ძალიან საბედისწერო შეცდომები იქნა დაშვებული, მაგრამ საზოგადოდ ქართულ სახელმწიფო პრაქტიკაში ისტორიულად ყოველთვის იყო ხოლმე ორი მიდგომა, როდესაც ქვეყნის მრავალფეროვნება არ აღიქმებოდა როგორც მისი სისუსტის აუცილებელი პირობა.

ჩემთვის, მაგალითად, დავით აღმაშენებელი არის აბსოლუტურად გენიალური მოღვაწე, პირველ რიგში, იმის გამო, რომ მან ყველაზე ზუსტად დაინახა ის ფორმულა, რომლითაც საქართველოს სისუსტეები მან აქცია მისი ძლიერების წყაროდ, და ის იყო პირველი, - პირველი არა ისტორიულად, სხვა მისი წინამორბედი მეფეებიც ამას ნაწილობრივ ახორციელებდნენ, - მაგრამ მან ეს აიყვანა უმაღლეს დონეზე და ძალიან მკაფიოდ ჩამოაყალიბა როგორც თავისი სახელმწიფო დოქტრინა, რასაც მე დავარქმევდი აი ამ პრინციპს, რომ მან ეს მრავალფეროვნება აქცია თავისი სამეფოს ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ და საფუძვლად. ამ თვალსაზრისით ეს გამოცდილება ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ჩვენს გონებაში, დავუშვათ, იმ გამოცდილებას, რომლის მომსწრენიც ჩვენ ვიყავით არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, როდესაც აშკარა იყო, რომ მოძალებული ქსენოფობიის გამო ჩვენ ვთვლიდით, რომ თავისთავად ამდენი ეროვნული უმცირესობის არსებობა ჩვენს ტერიტორიაზე ეს არის ქვეყნისათვის დამანგრეველი, და ყველაზე უაზრო მეთოდებით ვცდილობდით ამ პრობლემის გადაწყვეტას.

ახლა რომ კითხონ, გინდა თუ არა შენ, რომ საქართველოში იყოს დაახლოებით 30 პროცენტი არაქართული მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ნებისმიერი იტყვის, რომ არ გვინდა; მაგრამ მეორე არის ის რეალობა, რომელიც არსებობს დღეს და გვმართებს იმის გაგება, რომ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანები დღეს სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით. როდესაც ეროვნული მოძრაობა იწყებოდა, რეაქცია ამ მრავალფეროვნებაზე ისეთი იყო, რომ ეს სახიფათოა, და როგორმე უნდა განვერიდოთ მას. როგორ უნდა განერიდო, თუ არის ბევრი აზერბაიჯანელი, უნდა ეცადო, რომ შეამცირო მათი რიცხვი. თუ გახსოვთ, ოთხმოციანი წლების ბოლოს იყო მძაფრი დაპირისპირებები ბოლნისში, დმანისში, მარნეულში, საკმაოდ ფეთქებადი ვითარება იყო ოთხმოცდაცხრა, ოთხმოცდაათ, ოთხმოცდათერთმეტ წლებში. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მრავალფეროვნება არის რეალობა, რომელსაც ვერ გაექცევი. გამოსავალია ის, რომ კი არ უნდა გვეშინოდეს და ეს ჩვენი სისუსტის წყარო კი არ უნდა იყოს, არამედ გავხადოთ ეს ჩვენი ძლიერების წყაროდ და გვახსოვდეს, რომ ამის რეცეპტები საქართველოს გამომუშავებული ჰქონდა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს.

მეორე ძალზე მნიშვნელოვანი ფენომენი, რომელიც მინდა, რომ თქვენ დააფიქსიროთ, საქართველოს შიდა მრავალფეროვნებასთან ერთად, ეს არის საქართველოს შემოგარენის წარმოუდგენელი მრავალფეროვნება. იმ გარემოს მრავალფეროვნება, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ. სხვათა შორის, როცა მუსულმანებზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ორი დიდი ჯგუფი. ჩვენში არიან სუნიტი მუსულმანები და არიან შიიტი მუსულმანები. აზერბაიჯანული მოსახლეობა ძირითადად არიან შიიტები. ხოლო აჭარაში არიან თურქეთში გავრცელებული სუნიტი მუსულმანები. შიიტებს და სუნიტებს შორის არის უფრო მძაფრი დაპირისპირებები, ვიდრე მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის. აი, როგორი რთულია საქართველოში ცხოვრება.

არსებობს თუ არა გამოსავალი ასეთი მრავალფეროვანი ქვეყნისათვის, სადაც უნდა ჩაუღრმავდე თითოეულ კუთხე-კუნჭულს, ამდენ ერთმანეთისაგან განსხვავებული ტრადიციების მქონე ჯგუფს. ჯავახელი სომხები იყურებიან ერევნისაკენ, მაშინ როდესაც მათგან რამდენიმე ათეულ კილომეტრზე ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც იყურებიან თურქეთისაკენ, რომელიც

გაგრძელება B2 გვერდზე

# საქართველო და კავკასია

B1 გვერდიდან

საშინლადაა დაპირისპირებული ისტორიულად სომხებთან. დღემდე მათ არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ გააჩნიათ. ვიღაცისათვის საინტერესოა, რა ხდება მაჰაჩყალაში, ვიღაცისათვის მნიშვნელოვანია, რა ხდება ნალჩიკში. შეიძლება თუ არა იპოვო მშვიდი განვითარების ფორმულა ასეთ გარემოცვაში? ეს არის ქართული პოლიტიკის ყველაზე მთავარი კითხვა. ესაა კითხვა, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს ყველანაირ დენის ტარიფებს ან მინიმალური ხელფასის საკითხებს. ეს არის არსებითად ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის პრობლემა: შეიძლება თუ არა მთლიანობის შენარჩუნება იმ სახით, როგორიც ის დღეს არის.

ამიტომ, როდესაც ვცდილობთ წარმოვიდგინოთ საქართველოს სისუსტეები და ძლიერი მხარეები, ეს აუცილებლად უნდა ხდებოდეს საერთო-კავკასიურ კონტექსტში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და განსაკუთრებულო კოზირი ქართული სახელმწიფოსი ყოველთვის იყო ის სრულიად განსაკუთრებული როლი და ადგილი, რომელიც საქართველოს ეჭირა მთელს კავკასიაში. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე. დღეს შეიძლება გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის ისტორიული ტრადიცია, რომელიც ყალიბდებოდა მართლაც საუკუნეებისა და საუკუნეების განმავლობაში.

თავისთავად, როდესაც კავკასიაზე არის საუბარი, ყველაფერი, რაც მე ვთქვი საქართველოს შესახებ, მისი წარმოუდგენელი მრავალფეროვნების შესახებ, ათჯერ უფრო მეტად ითქმის კავკასიასთან დაკავშირებით.

ძალიან ხშირად მიფიქრია, რა არის კავკასიური სამყარო. ბოლოს და ბოლოს, არის ის ევროპის ნაწილი, არის აზიის ნაწილი, თუ რა არის? ჩემი აზრით, ეს რაღაც სრულიად ცალკე მყოფი სამყაროა. საოცრად თავისებური და განსხვავებული ყველა დანარჩენისაგან. საერთოდ, რატომ ვლაპარაკობ კავკასიურ სამყაროზე? იმიტომ, რომ ძალიან ბევრია ის კულტურული ტრადიცია, ძალიან ბევრი ფენომენი სხვადასხვა კავკასიელ ხალხებს შორის ბევრად უფრო მსგავსია, ვიდრე, დავუშვათ, რელიგიურად ჩვენთან უფრო ახლოს მყოფ ხალხებთან - ბევრი თვალსაზრისით მათგან უფრო განვსხვავდებით, ვიდრე იგივე მუსულმანი ჩეჩნებისაგან. ამიტომ აუცილებლად კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ საქართველო, საქართველოს პრობლემები და საქართველოს შესაძლებლობები, შანსები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, სხვა ფაქტორებთან და სხვა განზომილებებთან ერთად, სწორედ ამ საერთო-კავკასიურ განზომილებაში უნდა წარმოვიდგინოთ.

კავკასია დასახლებულია დაახლოებით ორასამდე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებით. აქ არიან სრულიად სხვადასხვა რელიგიური ტრადიციების მატარებელი ეთნიკური ჯგუფები. იცით, ალბათ, რომ კავკასიაში ხლისტებიც კი გვყავან. აქ არის ისეთი საოცარი ფენომენი, როგორიცაა მთის ებრაელები - ქარტები, რომლებიც ცხოვრობენ აზერბაიჯანისა და დაღესტნის ზოგიერთ სოფელში და რომლებიც რამდენადმე განსხვავებულნი არიან დანარჩენი ებრაელობისაგან, ეს კიდევ სრულიად ცალკე, პრაქტიკულად ცალკე ხალხია.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დომინირებენ ჩეჩნურ-ჩერქეზულ-ადიღეური ტომები. მოგეხსენებათ, ცენტრალურ ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობენ ოსები, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით ენათესავებიან ირანელებს. შემდეგ არიან ვაინახური ხალხები და შემდეგ ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთს კეტავს ხალხების აბსოლუტური კალეიდოსკოპი დაღესტანში, სადაც წამყვანი ეთნოსი ხუნძები და ყუმუხები არიან. ხუნძები კავკასიური ენების ჯგუფს მიკუთვნებული ხალხია, მაშინ როცა ყუმუხები თურქულენოვანი ხალხების წარმომადგენლები არიან. აქ შიგადაშიგ სახლობენ ისეთი ხალხები, როგორიც არიან ყარაჩაელები, ბალყარელები, რომლებიც ასევე თურქულენოვანი ხალხების წარმომადგენლები არიან.

სტალინის ცნობილი ნაციონალური პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ჩრდილო კავკასიაში იმთავითვე ჩაიდო რამდენიმე ნაღმი. მაგალითად, თქვენ იცით, რომ არსებობს ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ყაბარდო-ბალყარეთი. ყაბარდოელები, ეს ერთ-ერთი ჩერქეზული ტომი, აბსოლუტურად იგივე ენაზე ლაპარაკობენ, როგორც ჩერქეზები ან ადიღეელები, მაშინ, როდესაც ყარაჩაელები და ბალყარელები არიან ერთი ტომი, რომელიც ლაპარაკობს პრაქტიკულად ერთი და იგივე თურქულ ენაზე, თურქულზე კი არა, თურქულ ჯგუფს მიკუთვნებულ ენაზე. მოხდა მათი ხელოვნურად დაყოფა და დაჯგუფება იმ ნიშნის მიხედვით, რომ არსებობდა ისტორიული წინააღმდეგობები მათ შორის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ის, რომ, დავუშვათ, დამოუკიდებლობის ან გამოყოფის მოწადინე მოძრაობის ჩამოყალიბების ნებისმიერი ძლიერი და წარმატებული მცდელობა იწვევდა დაპირისპირებას არა მხოლოდ მეტროპოლიასთან - მოსკოვთან, არამედ ერთმანეთს შორისაც.

ანალოგიურად განვითარდა, დავუშვათ, თქვენ იცით, ეს ცნობილი დავა ინგუშებსა და ოსებს შორის. ინგუშური ტერიტორიები მეორე მსოფლიო ომის პირველ წლებში გადაეცათ ოსებს. აი ეს ვლადიკავკაზის ე.წ. პრიგოროდნი რაიონი, რომელიც იყო ერთ-ერთი ცენტრალური დასახლება-დაბა ინგუშებისათვის, და აქაც ჩაიდო ძალიან ხანგრძლივი კონფლიქტის საფუძველი. მაშინ საქართველოს შეუერთეს ინგუშეთის და ჩეჩნეთის დღევანდელი ტერიტორიის დიდი ნაწილი და იქ შეასახლეს ქართული ოჯახები. ორმოცდაათიანი წლების შუაში შუა აზიის გადასახლებიდან დაბრუნებულ ჩეჩნებს ქართველებმა მათი სახლები ხელუხლებელი ჩააბარეს. სახლები, მათი ჭურჭლითა და ყველაფრით, რაზეც დღემდე დიდი მადლიერების გრძნობა აქვთ ჩეჩნებს. ამისგან განსხვავებით, ოსებთან იმ დროს ჩამოყალიბდა ის კონფლიქტები, რომლებიც დღემდე გრძელდება.

აი ამიტომ უნდა გვესმოდეს, რომ ვარსებობთ რეგიონში, სადაც არის მუდმივი, აუარებელი კონფლიქტის პოტენციალი. აღარ ვლაპარაკობ იმ კონფლიქტების შესაძლებლობებზე, რომლებიც არსებობს სამხრეთ კავკასიაში, ამიერკავკასიაში, და რომელთაგან დღეს ბევრი აქტუალური და მოქმედი კონფლიქტია.

საქართველო არის, და სხვათა შორის, ალბათ, ჯერ კიდევ ათი წლის წინ იყო ის უნიკალური ქვეყანა, რომელსაც შეეძლო განსაკუთრებული დიალოგის წარმოება პრაქტიკულად ყველა ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან და, ამ თვალსაზრისით, სხვათა შორის, გადამწყვეტი იყო მეოცე საუკუნეში მოვლენების ისეთი განვითარება, როდესაც სწორედ თბილისმა აიღო თავის თავზე იმის ფუნქცია, რომ ამზადებდა კადრებს ლინგვისტიკაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს და ასე შემდეგ, პრაქტიკულად ყველა კავკასიური ხალხისათვის, რის შედეგადაც იმ პატარა ხალხებში უკვე დიდ როლს თამაშობენ სწორედ აი ამ ჰუმანიტარული სფეროების წარმომადგენლები; თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, რომ ჩრდილო კავკასიური ხალხების ელიტათა უდიდესი ნაწილი, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც პროფესიონალი მეცნიერი, გაიზარდა თბილისში და სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული მასთან, და ეს იყო ის პოტენციალი, რომელიც ჩამოყალიბდა იმ ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, რაც არსებობდა საქართველოში, და რომელიც განპირობებული იყო ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკით. ძალიან ხომ არ დაგაბნიეთ?

**- საინტერესოა.**

- აი, მე მინდა ასეთი უცნაური შეკითხვა დაგისვათ. რამდენად იცნობთ ქართულ სამზარეულოს, და რამდენად გაქვთ წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის ქართული სამზარეულო? რამდენი ქართული კერძი შეგიძლიათ დაასახელოთ?

**- (ხმაური, არ ისმის)**

- არა აქვს მნიშვნელობა, საქართველოში რა კერძებს ჭამენ ადამიანები. ამას შემთხვევით არ გეკითხებით. რომელიმე თქვენთაგანი, ვინც ყოფილა ევროპაში, ყოფილა, დავუშვათ, იტალიურ ან ფრანგულ რესტორანში... მე დარწმუნებული ვარ, რომ იტალიურ რესტორანში ორჯერ-სამჯერ სტუმრობა საკმარისია იმისათვის, რომ ბევრად უფრო სრულფასოვანი წარმოდგენა გქონდეთ იტალიურ სამზარეულოზე, ვიდრე შეიძლება იყოთ მთელი სიცოცხლე საქართველოში, და წარმოდგენა არ გქონდეთ იმაზე, თუ რამდენად მრავალფეროვანია ქართული სამზარეულო.

**- ბატონო ზურაბ, მე მგონი, სუფთა ქართული კერძი არის მაწონი... (ხმაური).**

- ამ შემთხვევაში, არ ვლაპარაკობ იმაზე, თუ რა არის სუფთა ქართული კერძი, ამას არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა. მე ისევ და ისევ ვუბრუნდები იმ აზრს, რომ, სამწუხაროდ, სათანადოდ არ ვიცნობთ და არ ვაფასებთ საკუთარ მემკვიდრეობას, სამზარეულო კი, სხვათა შორის, ნებისმიერი ხალხისათვის კულტურული მემკვიდრეობის, მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია. და ეს არის მატერიალური კულტურის ძალიან მნიშვნელოვანი - ცენტრალური ნაწილი, რომლის მიხედვითაც ბევრ რამეზე შეიძლება მსჯელობა, გარდა იმისა, რომ მისგან სიამოვნების მიღება შეიძლება. აი, რომ გადავხედოთ საქართველოს რეგიონებში არსებულ კერძებს, დავუშვათ, დაწყებული მთიან აჭარაში სხვა ქართული რეგიონებისაგან სრულიად განსხვავებული სხვადასხვა ტიპის რძის პროდუქტების წარმოების გამოცდილებით, დამთავრებული, ვთქვათ, თუშეთში დამზადებული კერძებით... აი, მაგალითად, დამბალხაჭო. ეს დაახლოებით ისეთივე კერძია, როგორიცაა თქვენთვის ბევრად უკეთ ცნობილი ფრანგული ყველი - როგეტტო, და მისი დამზადების ტექნოლოგიაც დაახლოებით ისეთივეა.

მე კიდევ და კიდევ ვუბრუნდები იმ აზრს, რომ თქვენ აუცილებლად უნდა განიმსჭვალოთ იმ განცდით, რომ სათანადოდ არ იცნობთ თქვენს ქვეყანას და იმ საოცრად მრავალფეროვან მემკვიდრეობას, რომელიც შექმნა საქართველომ თავისი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების მანძილზე.

ჩვენ დღეს ვისაუბრებთ ჯერ გასული ათი-თორმეტი წლის მანძილზე საქართველოში მდგარ პრობლემებზე, შემდეგ კი გადავალთ ჩვენს დღევანდელ პრობლემებზე, იმ გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე, რომლებიც დგას საქართველოს წინაშე. პირველ ყოვლისა, გთხოვთ, რომ იყოთ გულწრფელნი, ღიად, ისე თქვათ თქვენი სათქმელი, რომ არ ჩათვალოთ, თითქოს თქვენ სათანადოდ კარგად იცნობთ თქვენს სამშობლოს. და, სხვათა შორის, თქვენი თაობის მნიშვნელოვანი მოვალეობა და ამოცანაა ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების იმ სტადიაში, რომელშიც ჩვენ ახლა შევდივართ, ბევრად უკეთ, ბევრად უფრო რეალურად და უფრო ხელშესახებად გაიცნოთ ის ფენომენი და გააცნოთ, პირველ ყოვლისა, ამ ქვეყნის მოქალაქეებს, და შემდეგ სხვებსაც, რასაც წარმოადგენს საქართველო მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და ნაირსახეობით.

დღეს მე ამ დებულებასთან ერთად კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან მომენტს მინდა გავუსვა ხაზი. რა არის პირადად ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართულ ისტორიულ გამოცდილებაში და რატომ ვარ მე, მაგალითად, აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ საქართველო ვერც ერთ სისტემაში, ვერც ერთ ოჯახში, - საერთაშორისო ოჯახებს ვგულისხმობ, - ვერ მოიპოვებს წყნარ, მშვიდ, სტაბილურ ადგილს, გარდა ევროპული ოჯახისა; იმიტომ, რომ მთელი ქართული გამოცდილება, ჩვენი ისტორიული გამოცდილება, ყველა მომენტი ჩვენი ისტორიისა, როდესაც ქართველებს ეძლეოდათ თავისი თავის თავისუფლად გამოხატვისა და რეალიზების საშუალება, ვექტორი განვითარებისა ყოველთვის მიმართული იყო იმ ფასეულობებისაკენ, რასაც იმ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში წარმოადგენდა დასავლური ფასეულობები. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, სხვათა შორის, ქართული ჯვაროსნული ომების გამოცდილება, და როდესაც კი ოდნავ მაინც არსებობდა ამის საშუალება და წინაპირობა, დავუშვათ, გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში, რომელიც არ იყო ყველაზე ძლიერი და გაბრწყინებული ეპოქა საქართველოსათვის, ქართველობა აუცილებლად ცდილობდა, რომ საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა საერთო დასავლურ კალეიდოსკოპში.

> **ჩვენ ვხდებით მძევლები იმ ისტორიული მემკვიდრეობისა, რომელიც გვერგო ჩვენი წინაპრებისაგან. ის, რაც იყო ჩვენამდე, გვავალდებულებს, სავსებით კონკრეტული ქმედებები განვახორციელოთ. ეს განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა ვიფიქროთ ჩვენ ჩვენს მომავალზე. იმიტომ, რომ, იყო ქართველი, თითოეული თქვენთაგანის შემთხვევაში, ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ შენ ხარ ამაყი იმით, რომ გაქვს ყველა სხვა ანბანისაგან განსხვავებული ანბანი. შენ ხარ იმ კულტურის მფლობელი, რომელმაც შექმნა მსოფლიოში სრულიად უნიკალური, დავუშვათ, მრავალხმოვანი სიმღერის ფენომენი. შენ ხარ იმ კულტურის მატარებელი, რომელსაც რამდენიმე მართლა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი შემოქმედი მიეკუთვნებოდა. შენ ხარ იმ კულტურის მატარებელი და იმ ხალხის შთამომავალი, რომელმაც მთელ საქართველოში ამდენი წარმოუდგენლად საინტერესო ლამაზი ძეგლი შექმნა და ასე შემდეგ. ეს, ერთი მხრივ, თქვენი სიამაყის წყაროა. მაგრამ ეს არის ასევე ის, რაც მუდმივად გავალდებულებთ, რომ იყოთ უფრო ამბიციურები, ვიდრე სხვა ბევრად უფრო მცირე მემკვიდრეობის მქონე ადამიანები.**

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ერის მამად დამსახურებულად, გააზრებულად სახელდებოდეს, პირველ ყოვლისა, ილია, რომელიც დღევანდელი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიის უპირველესი ფუძემდებელი და განმსაზღვრელია. მისი ფილოსოფია და კონცეფციები ეფუძნებოდა და აგებული იყო სწორედ ევროპულ კონცეფციებზე, და არასოდეს აჯერებდა მათ იმ თავისთავად საინტერესო მიმდინარეობებთან, რომელიც, თუნდაც, მეზობელ სპარსეთში, ან სხვა ქვეყნებში - თუნდაც თურქეთში იყო.

ძალიან საინტერესოა ის, რომ, აი, დავუშვათ, თურქეთი, ათათურქის მოსვლის შემდეგ, 1915-1918 წლებიდან, წარმოუდგენლად ვითარდება. იქ ყალიბდება ძალიან საინტერესო მკვეთრად გამოხატული და სპეციფიკური თურქული ნაციონალისტური კონცეფცია, რომელმაც, სხვათა შორის, გადაარჩინა უკვე პრაქტიკულად დაყოფილი და დაქუცმაცებული ტერიტორია, რომელიც იყო ნაშთი ოსმალეთის იმპერიისა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა, ამან ვერ მოახდინა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაზე ისეთი დონის ზეგავლენა, როგორსაც ახდენდა გერმანიაში ან საფრანგეთში არსებული პოლიტიკური მიმდინარეობები. ასე რომ, აქ გეოგრაფიული სიახლოვე არ ყოფილა არასოდეს გადამწყვეტი იმიტომ, რომ ქართული მენტალიტეტი ყოველთვის საკუთარ თავს განიხილავდა, ასე ვთქვათ, ევროპული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, და ყველა პერიოდის ქართული ელიტა, რომელიც აყალიბებდა იმ ხაზს, რომელსაც უნდა გაყოლოდა მთელი საზოგადოება, ყოველთვის იყო მიმართული და ორიენტირებული იმაზე, რაც ხდებოდა ევროპაში. აი, ამ თვალსაზრისით, უბრალოდ, აი, ასეთი ყველაზე ხელშესახები ძეგლი და საბუთი ამისა არის ჩვენი პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც, - ამას შეიძლება ინტერვიუში არ ვიტყვი, - მაგრამ, ჩემი თვალსაზრისით, გარკვეულად ზედმეტად პრეტენზიული, და ამ მხრივ ცოტა მაიმუნურიც კი იყო. იმიტომ, რომ მასში ბევრად უფრო მეტი მცდელობა იყო იმის დემონსტრირებისა, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ბევრად უფრო მაგარი სოციალ-დემოკრატები არიან, ვიდრე კაუცკი ან სხვა ევროპული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები, და მასში ბევრი ისეთი დებულება იყო ჩადებული, რომელთა განხორციელებას ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ბრიტანეთი, ან შვედეთი, ან შვეიცარია, დასჭირდა მრავალი წლის სოციალური მოძრაობები, დავუშვათ, იგივე საყოველთაო საარჩევნო უფლების გარანტირების, საარჩევნო პროცესში ქალების მონაწილეობის თვალსაზრისით, და სხვა, და სხვა.

როდესაც პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლები ამ კონსტიტუციას აყალიბებდნენ, იმთავითვე ითვალისწინებდნენ, და ჰქონდათ იმის ამბიცია, რომ ეს უნდა ყოფილიყო ევროპის მასშტაბით აუცილებლად, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ ადგილზე მდგომი და ყველაზე წინწაწეული სამართლებრივი დოკუმენტი.

ძალიან საინტერესო წიგნია, და თუ გექნებათ საშუალება აი ამ თვალსაზრისით, საქართველოს დასავლეთზე ორიენტაციის ისტორიის თვალსაზრისით, წაიკითხეთ მიხეილ თამარაშვილის "კათოლიკობის ისტორია საქართველოში". ის არის ოდნავ ტენდენციურად დაწერილი იმიტომ, რომ მიხეილ თამარაშვილი იყო ძალიან დიდი კათოლიკე ქართველი მოღვაწე და ოდნავ ტენდენციურად არის დაწერილი იმ თვალსაზრისით, რომ ის ატარებს ყველაფერს იმ პრიზმაში, რომ მისი შეხედულებით, ჯერ კიდევ თამარმა დაიწყო ფიქრი საქართველოს მოქცევაზე კათოლიციზმში, მაგრამ, ამავე დროს, არის ძალიან საინტერესოდ გაანალიზებული და ჩამოყალიბებული მთელი ისტორია განსაკუთრებული ურთიერთობებისა საქართველოში, - დაწყებული მეთორმეტე საუკუნიდან, - დასავლურ სამყაროსთან და იმჟამინდელი დასავლური სამყაროს ცენტრთან - წმინდა საყდართან.

მე კიდევ ერთხელ, უბრალოდ, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ, ჩემი ღრმა რწმენით, თუ ავიღებთ ჩვენი ისტორიის თითოეულ ფურცელს, თითოეულ ეპიზოდს, ეს იქნება იმის საბუთი, იმის დემონსტრირება, რომ ქართული მენტალიტეტი ყოველთვის ახდენდა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას საერთო ევროპულ სამყაროსთან.

ასე რომ, დღეს ვცადე სამ მომენტზე გამემახვილებინა თქვენი ყურადღება იმისათვის, რომ შემდეგ გადავიდეთ დღევანდელი აქტუალური ქართული პოლიტიკის ქარტეხილებზე.

პირველი, რომ საქართველო არის ძალიან მრავალფეროვანი, ამდენად, გარკვეულად წინააღმდეგობრივი ფენომენი, მაგრამ აი ეს ქართული მრავალფეროვნება, თუ დავეყრდნობით დავით აღმაშენებლის გამოცდილებას, იქცეოდა ჩვენი ძლიერების და ამ რეგიონში სრულიად დომინანტური პოზიციის წყაროდ. თუ ჩვენ ამას სწორედ ისე მივუდგებით, როგორც დავით აღმაშენებლის დროს ხდებოდა, აი, ეს შემწყნარებლობა იქნება სახელმწიფოს განმსაზღვრელი პოლიტიკა. ახლა წარმოიდგინეთ პიროვნულად დავით აღმაშენებელი, ადამიანი, რომელიც ოცი წელი თუ არ ვცდები, ებრძოდა არაბებს, რათა საკუთარი დედაქალაქი, სატახტო ქალაქი დაებრუნებინა. აი, როგორი ემოციები უნდა ჰქონოდა მათ მიმართ - პრაქტიკულად თექვსმეტი წლის ასაკიდან მთელი მისი პიროვნება ჩამოყალიბდა თბილისის საამიროსა და არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არ იყო გულჩვილი და სენტიმენტალური ადამიანი. თქვენ იცით, ეს იყო ადამიანი, რომელიც დაუფიქრებლად ძელზე სვამდა იმ ხალხს, ვინც იყვნენ ურჩი ფეოდალები და ვინც საშიშროებას უქმნიდა მის სახელმწიფოს.

**- წმინდანი იყო.**

- წმინდანი შემდეგ გახდა. მე მინდა, ერთი წუთით წარმოიდგინოთ ის, როგორც რეალური პიროვნება, უბრალოდ, ფიზიკურად არსებული ადამიანი, რომელსაც ჰქონდა თავისი ემოციები, თავისი განცდები. კიდევ ვამბობ, რომ ის არ იყო სენტიმენტალური ადამიანი და, ამის მიუხედავად, მე იმის თქმა მინდა, რომ, როდესაც ის მიდიოდა მეჩეთში ან სინაგოგაში, ეს გულჩვილობის გამოხატულება კი არ იყო, რომ, ვაიმე, ნახეთ, როგორია ის - მოდი, ვიყოთ კეთილები და ყველას მოვეფეროთ და თავზე ხელი გადავუსვათ. ეს იყო ძალიან მტკიცე, ძალიან სასტიკი, ძალიან ძლიერი სახელმწიფო მოღვაწის გააზრებული ქმედება. აი, მე მინდა, რომ ამას გავუსვა უბრალოდ ხაზი. სხვა არის დავით აღმაშენებლის წმინდა მორალური სახე. ის ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფიგურაა საერთოდ არა მარტო ქართულ ისტორიაში, და მისი "გალობანი სინანულისანი" საერთოდ აბსოლუტურად სწორუპოვარი ფენომენია, და აქვე იმის დემონსტრირებაა, რომ ყველა ის სისასტიკე, რასაც ის ჩადიოდა, ის მის გულს წყლულავდა, და ის ამას განიცდიდა როგორც პიროვნულ ცოდვას. ეს, სხვათა შორის, მართლა საოცრებაა, და პირადად მე ასეთი პრეცედენტები არ ვიცი მსოფლიო ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს ეს ასე ხელშესახები და ასე მკაფიოდ დემონსტრირებული რომ იყოს. მართლაც, სრულიად გამორჩეული ადამიანი იყო, როგორც ჩანს, თავისი მორალითაც. მე კიდევ ვამბობ, ხაზს ვუსვამ იმას, რომ მან ეს დანერგა, როგორც ქართული სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი პრიორიტეტი, და მე მაქვს, სხვათა შორის, თეორია, რომ დავით აღმაშენებელმა გიორგი ჭყონდიდელთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ერთგვარად იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს ქართული *Raison d'tat*. ესე იგი, ის, რაც გააკეთა რიშელიემ მეჩვიდმეტე საუკუნის ევროპაში. ეს, ცხადია, არა ისეთი ექსპლიცისტური ფორმით, არა ასე ჩამოყალიბებულად, მაგრამ ამისი გარკვეული ნიშნები სწორედ არსებობდა დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში. და, როგორც ჩანს, ამაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ასევე გიორგი ჭყონდიდელი, და აქ იგულისხმება, სხვათა შორის, იგივე საეკლესიო რეფორმა, აქ იგულისხმება ჯარის რეფორმა, აქ იგულისხმება იგივე ყივჩაღების ჩამოყვანა და ძალიან ბევრი ის გადაწყვეტილება, რომლებიც მეტყველებს იმაზე, რომ სწორედ სახელმწიფო ინტერესი იყო გააზრებული დავით აღმაშენებლისა და მისი გუნდის, თანამოაზრეების მიერ, როგორც უმაღლესი და უზენაესი ღირებულება.

მეორე მომენტი, რაზეც მე დღეს გავამახვილე თქვენი ყურადღება, ესაა ის, რომ, როდესაც ვლაპარაკობთ საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემებზე, ჩვენს შესაძლებლობებზე, ჩვენს სისუსტეებზე, არამც და არამც არ უნდა შემოვიფარგლოთ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრით, და უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ვართ იმ ისტორიული ერთობის განუყოფელი ნაწილი, რასაც ჰქვია კავკასიური ერთობა, და როგორ თავისუფლადაც არ უნდა ვისაუბროთ ჩვენ ჩვენს ევროპელობაზე, რამდენადაც არ უნდა ვგრძნობდეთ თავს ევროპელებად, და სხვა, ჩვენ ყოველთვის დავრჩებით კავკასიელებად, და ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა. ჩვენ ვერსად გავექცევით კავკასიურ პრობლემებს, იმ პრობლემებს, რომლებიც არსებობს ჩვენს სამეზობლოში, მაგრამ, ამავე დროს, სხვათა შორის, დანარჩენი მსოფლიოსათვის ეს გვხდის ჩვენ ბევრად უფრო საინტერესოებად და მიმზიდველებად.

და მესამე მომენტი, ასე ვთქვათ, მესამე სიბრტყე არის ის, რომ ქართული ეროვნული თვითშეგნება ყოველთვის ყალიბდებოდა და ვითარდებოდა აი იმ ერთობაში, რასაც ჰქვია პირობითად დასავლური ერთობა, რასაც ჰქვია ევროპული ერთობა, რომ ყოველთვის ქართული ელიტა ახდენდა საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ამ სამყაროსთან, ყოველთვის მიილტვოდა ამ სამყაროსთან ინტეგრაციისაკენ. ყველა ეს ბრძოლა, შეტაკება, უბრალოდ, გარკვეული ფილოსოფიური დისტანციიდან რომ გავაანალიზოთ, ვნახავთ, რომ ეს ყოველთვის იყო იმისკენ ლტოლვა, რომ მორიგი ბარიერი მოხსნილიყო, - იქნებოდნენ ისინი რუსები თუ მონღოლები, არა აქვს მნიშვნელობა, - რომ მივსულიყავით უფრო ახლოს დასავლეთთან. ყოველთვის, აი თითოეულ ისტორიულ მომენტში, როდესაც კი ქართველებს ეძლეოდათ იმის შანსი და შესაძლებლობა, რომ თავად განესაზღვრათ საკუთარი ბედი, თავად განესაზღვრათ მიკუთვნება მსოფლიოს ამა თუ იმ პოლიტიკური თუ კულტურული ოჯახისათვის, ყოველთვის იყო ერთმნიშვნელოვანი არჩევანი დასავლეთის სასარგებლოდ. არ ყოფილა სხვა შემთხვევა. მე არ ვსაუბრობ იმ მომენტებზე, როდესაც კახეთის ან ქართლის მეფეებს თავისი და საკუთარი სამეფოს ფიზიკური გადარჩენისათვის უხდებოდათ მუსულმანობის მიღება და სპარსეთის კარზე ხლება და სხვა. ეს ძალისმიერად თავს მოხვეული გადაწყვეტილებები იყო, მაგრამ საკუთარი ნებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება ყოველთვის იყო მიმართული იმისაკენ, რომ საქართველო დაახლოებოდა იმ ერთადერთ დიდ კულტურულ ოჯახს, დაბრუნებოდა იმ ერთიან აკვანს, საიდანაც აღმოცენდა მთლიანობაში ერთიანი ევროპული კულტურის ფენომენი. აი ესეც არის ის, რაც განსაზღვრულია, კოდირებულია, წინასწარაა განსაზღვრული მთელი ჩვენი ისტორიული განვითარებით, და სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერი მცდელობა იქნება ისევ ძალმომრეობა ქართველების და საქართველოს, როგორც ცოცხალი ორგანიზმის ბუნებაზე, და ეს ახალ ტკივილს და ახალ სირთულეებს გამოიწვევს.

ამიტომ, რომ დავუბრუნდეთ ამას, ახლა ჩვენი საუბრის ამოცანაა სწორედ ის, რომ ვიპოვოთ, თუ როგორია ქართული წარმატების, ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის რეცეპტი. აი ეს ფაქტორიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რადგან მიმაჩნია, მე მართლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, იმდენად, რამდენადაც მე მესმის ჩვენი ისტორია, ჩვენი კულტურა, ჩვენი მეობა, რომ დემოკრატიული და ევროპული არჩევანი საქართველოსათვის სინამდვილეში არის ერთადერთი შესაძლებელი და ერთადერთი მისაღები არჩევანი. ეს არის ევროპის ოჯახი, ევროპის ოჯახი არის ის ერთადერთი ოჯახი, სადაც ჩვენ თავს ვგრძნობთ საკუთარ ნავსაყუდელში და არ ვგრძნობთ თავს გაუცხოებულად და მუდმივად, ასე ვთქვათ, უბედურების მოლოდინში.

აი, ეს მინდოდა მეთქვა მე დღეს თქვენთვის, ასე ვთქვათ, შესავლის სახით, და გახსოვდეთ, რომ თქვენ არ იცნობთ სათანადოდ კარგად თქვენს ქვეყანას, და უნდა ეცადოთ, რომ ბევრად უფრო ზუსტად, ბევრად უფრო სრულად წარმოიდგინოთ, რა არის თქვენი სამშობლო. იმიტომ, რომ თითოეული ახალი სოფელი, რომელსაც თქვენ მოინახულებთ, ეს შეიძლება იყოს სრულიად ახალი ფურცელი თქვენს გაგებაში იმისა, თუ რა არის საქართველო, ვინ არის ქართველი, რითაა იგი განსხვავებული, თუნდაც, რომელიმე შედარებით ახალგაზრდა სხვა ერის წარმომადგენლებისაგან? იმიტომ, რომ გარდა აი იმ კონკრეტული გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, თუ სოციალური ფაქტორებისა, და შეიძლება, ხშირად მათზე უფრო მეტად, ჩვენ ვხდებით მძევლები იმ ისტორიული მემკვიდრეობისა, რომელიც ჩვენ გვერგო ჩვენი წინაპრებისაგან. ის, რაც იყო ჩვენამდე, გვავალდებულებს, სავსებით კონკრეტული ქმედებები განვახორციელოთ. ეს განსაზღვრავს იმას, თუ როგორ უნდა ვიფიქროთ ჩვენ ჩვენს მომავალზე. იმიტომ, რომ, იყო ქართველი, აი თითოეული თქვენთაგანის შემთხვევაში, ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ შენ ხარ ამაყი იმით, რომ გაქვს ყველა სხვა ანბანისაგან განსხვავებული ანბანი. შენ ხარ, დავუშვათ, იმ კულტურის მფლობელი, რომელმაც შექმნა მსოფლიოში სრულიად უნიკალური, დავუშვათ, მრავალხმოვანი სიმღერის ფენომენი. შენ ხარ, დავუშვათ, იმ კულტურის მატარებელი, რომელსაც რამდენიმე მართლა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი შემოქმედი მიეკუთვნებოდა, როგორიც არის, დავუშვათ, რუსთაველი ან ფიროსმანი, და ასე შემდეგ. შენ ხარ იმ კულტურის მატარებელი და იმ ხალხის შთამომავალი, რომელმაც მთელ საქართველოში ამდენი წარმოუდგენლად საინტერესო ლამაზი ძეგლი შექმნა და ასე შემდეგ. ეს, ერთი მხრივ, ხომ თქვენი სიამაყის წყაროა. მაგრამ ეს არის ასევე ის, რაც მუდმივად გავალდებულებთ, რომ იყოთ უფრო ამბიციურები, ვიდრე სხვა ბევრად უფრო მცირე მემკვიდრეობის მქონე ადამიანები.

***- ვისაც მეტი მიეცემა, მეტი მოეთხოვება***

- ეს ნამდვილად ასეა. ამიტომ ჩვენი არჩევანი, ჩვენი გადაწყვეტილებები ამ ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორითაც არის შეზღუდული. აი, რომ წარმოიდგინოთ, ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა იყოს საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა. ამ შემთხვევაში რუსეთზე ვთქვათ: მათ უნდათ ისევ შეგვიყვანონ თავიანთი ორბიტის ქვეშ. რა ვქნათ: დავანებოთ ამათთან გაუთავებელ ჭიდაობას თავი, უარი ვთქვათ ჩვენს სუვერენულობაზე და მთლად გუბერნიაც თუ არ ვიქნებით, რაღაცა სპეციალური სტატუსი გვექნება, შეიძლება ბელორუსიაზე უკეთესიც კი?

ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია სწორედ ამ მემკვიდრეობის გამო, სწორედ იმ სიამაყის გამო, რომელიც დევს თითოეულ ქართველში, ვინც ოდნავ მაინც არ არის გაუცხოებული თავისი მემკვიდრეობისაგან, და არა მხოლოდ ეს... აი, როდესაც საუბარია საქართველოს უცილობელ ევროპულ არჩევანზე, ესეც განსაზღვრულია ჩვენი მთელი იმ წინა კულტურით, რომელიც არსებობდა ჩვენამდე.

მე ნამდვილად არ ვაპირებ, რომ ჩვენ გავაკეთოთ ძალიან ღრმა ექსკურსები ქართულ ისტორიაში, მაგრამ, უბრალოდ, ძალზე მნიშვნელოვნად ვთვლი იმას, რომ თქვენ მართლაც იფიქროთ ყველა იმ საკითხზე, რასაც მე დღეს შევეხე, და თქვენ აუცილებლად უნდა იყოთ შინაგანად გახსნილები ერთი აზრის გასაზიარებლად... იცით, ნუ გეწყინებათ, მაგრამ თქვენ უნდა იმთავითვე ჩათვალოთ, რომ თქვენ არ იცნობთ კარგად იმ ქვეყანას, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ. თქვენ უნდა გახსნათ თქვენი გონების კარი იმისთვის, რომ მართლაც შეიცნოთ ეს ქვეყანა, დაინახოთ ის მთელი თავისი მრავალფეროვნებით, დაინახოთ თქვენი სამშობლო, რომელიც წარმოუდგენლად ლამაზია. თქვენ თუ დაინახავთ, რომ საქართველო ბევრად, განუზომლად უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ თბილისი ან მხოლოდ თბილისი და ქუთაისი, და ზუგდიდი და თელავი, დავუშვათ, თქვენ ბევრად უფრო ლამაზ სამშობლოს დაინახავთ, რომელიც მოგცათ ღმერთმა, და ამის დაუნახავად თქვენ ძალზე გაგიჭირდებათ, რომ ჩვენ ერთობლივად ვიპოვოთ თანამედროვე კონკრეტულ ვითარებაში ის გამოსავლები, რომლებიც აუცილებლად უნდა ვიპოვნოთ თქვენთან ერთად. თუ გაქვთ რამე შეკითხვები? არა გაქვთ შეკითხვები? ....

**- ბატონი ზურაბ, გამიჩნდა ასეთი შეკითხვა თქვენს საუბართან დაკავშირებით: მიუხედავად იმისა, რომ მცდელობა იყო საქართველოს ევროპულ ცივილიზაციასთან და ევროპულ კულტურასთან ინტეგრაციისა, მაინც ასეთი დასკვნა გამომაქვს, რომ ეს ლტოლვა ლტოლვად დარჩა და მცდელობა მცდელობად, მიუხედავად წარმატებებისა. და არა მგონია კიდევ, რომ ევროპაში აფხაზეთის პრობლემას აღიქვამდნენ სუფთა ევროპულ პრობლემად. ეს მაინც რჩება პრობლემად, კავკასიის პრობლემად და არა ევროპის...**

